

R 19608

-

فوج



ს ა ს ძ მ ნ მ ბ ი ბ ლ ი თ ი ა კ ა

899 962 1.09

6 162 5.

1030

გიორგი ნადირაძე

851-1

6 162

R 13608  
1

5

## პოეტი და აღაშვილი

ხიდოლოზ ბარათავალი



ხაშველი და ახალგაზრდობის ლიტერატურის  
გამომცემლობა

କ/ମ୍ବ. ରେଧାଯ୍ୟତାନ୍ତରି: ଡ. ଜୀନ୍ଦୁଳୁଙ୍ଗ

ଗାନ୍ଧାରୀ ପାଠ୍ୟବାସ 19/IX-38

ଫାଲ. ଥର୍ମା 72X105

ରୂପରାଶି 10.100

ଶ୍ରେଣ୍ମରିଷ୍ଟେରିଲାଇ ରାଶାବ୍ଦୀକରାଇ 22/XI-38

ମତାବ୍ଲେଟି ନେ 4909

ଅନାଫ୍ରମନବିଲ୍ ଥର୍ମା 5X8

ଶ୍ରେଣ୍ମରିଷ୍ଟେରି ନେ 1092

„მე უბედური, უბედურად ქმნილი, მო-  
ვაკლდი ჩემს სიხარულს შეიღს, და რა  
შეიღს? რომლისაგანაც მოველოდი ყო-  
ველს სიხარულს. ვაი და ვაი ჩემს მოს-  
ტრებას, ჩემს თვალის დაბნელებას!“

პოეტის დედის — ეფემიას წერილიდან

ნეტა რა ქარმან დააზრო  
მისის სიცოცხლის ყვავილი?

ბარათაშვილი

**ნ**იკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრება განუყრელად  
არის დაკავშირებული მის პოეტურ სულთან. ჩვენ ვერ  
ავაგებთ ფსიქოლოგიურად და ლოგიკურად დამთავრე-  
ბულ ცხოვრების სურათს შემოქმედებითი ფაქტების გა-  
რეშე. მხორე მხრით, რა ინტერესი უნდა ჰქონდეს ჩვენ-  
თვის უდიდესი მგოსნის ბიოგრაფიულ პორტრეტს, თუ  
ის მოკლებული იქნება პოეტურ სალებავებს?

უკანასკნელ დროს ჩვენი სალიტერატურო კრიტიკა  
დიდ ყურადღებასა და პუნქტუალობას იჩენს ბიოგრაფი-  
ული „წვრილმანების“ მიმართ. ყველაფერი ეს კარგია და  
საჭირო, მაგრამ ზოგჯერ ხდება ისიც, რომ ყველა  
„წვრილმანი“ ვიცით, მაგრამ ბიოგრაფია მაინც არა  
გვაქვს.

დიდი ადამიანის ბიოგრაფია არ არის ფაქტების  
უბრალო აღწერილობა, სადაც გარეგნულად ყველაფერი  
რიგზეა, მაგრამ შინაგანად არაფერი არაა სწორი. ასეთ  
„ბიოგრაფიას“ უკილოდ სჯობია ისეთი ნარკვევი, რომე-  
ლიც რამდენიმე ფაქტით აღადგენს პოეტის ცოცხალ  
სახეს, მოუნახავს მას ისტორიულ ჩარჩოს და შეუძ  
მოქმედს მწერლის შემოქმედებას. შეიძლება ასეთ პიო-  
გრაფიას ბევრი დეტალი აკლდეს, მაგრამ, მიუხედავად  
ამისა, ის უფრო უნაკლო წარმოდგენას გვაძლევდეს  
საგანზე, ვიდრე ფაქტოლოგიური მასალით გადატვირ-  
თული უშველებელი გამრკვლევა. საქმე ისაა, რომ  
ახსნილი მთელის შემდეგ გასაგები ხდება ყოველი აუხ-  
სნელი ნაწილი, რომელიც ძალიან ადვილად შეავსებს  
ჩვენს წარმოდგენას საგანზე. ერთი სიტყვით: ბიოგ-  
რაფიული სურათის შემუშავებისას დესკრიპტულ (აღ-  
წერილი) მეთოდს აუცილებლად უნდა დაემატოს ექს-  
პლიკატური (ახსნითი) მეთოდი.

ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიული ფაქტების დადგენას  
დიდი სიძნელები ელობება წინ. უწინარეს ყოვლისა, ეს  
არის შემოწმებული დოკუმენტალური მასალის სიმცირე.  
უეჭველია, დღეს უფრო მეტი ვიცით ნ. ბარათაშვილზე,  
ვიდრე იცოდნენ ილია ქავჭავაძის დროს, როცა პირვე-  
ლად დაიბადა მძღვანელი ინტერესი პოეტის შემოქმედე-  
ბისა და ცხოვრების აღწერილობისადმი. როგორია პერს-  
პექტივა?

უნდა ვიგულისხმოთ, რომ ჩვენი არქივები კიდევ არა  
ერთსა და ორს საინტერესო დოკუმენტს, წერილს თუ  
პოეტის ხელნაწერს ინახავენ. უკანასკნელი წლების გან-  
მავლობაში ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიასა და შემოქმე-  
დებას ზოგი ისეთი მასალა შეემატა, რაც სრულ მოულო-  
დნელობას წარმოადგენდა ჩვენი ლიტერატურული სახო-

გადოებრივობისათვის. ავილოთ თუნდაც პოეტის „პირველი ბარათი, რომელიც 1935 წელს გამოაქვეყნა“ აკ. გამგერელიამ,<sup>1)</sup> ან ბაბალე და ოლექსანდრე საგინაშვილებთან მიწერილი, დღემდე უცნობი წერილები, რომლებიც ილია ჭავჭავაძის კოლექციაში აღმოჩნდა გასულ წელს.<sup>2)</sup> საინტერესოა ახალი მასალების აღმოჩნის ისტორიისათვის ნ. ბარათაშვილის უცნობი ლექსი „მთიებოსეტო ნათლისა“, რომელიც უკვე დაბეჭდილი ყოფილა უურნალ „ცისკარში“ 1862 წელს!<sup>3)</sup>.

ჩვენი არქივების უძვირფასესი კოლექციები ჯერ კიდევ არაა შესწავლილი. უკანასკნელი დროის აღმოჩენები საფუძველს გვაძლევს ვიუიქროთ, რომ მომავალში ამ მასალებიდან ზოგი რამ კიდევ მიემატება ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიას.

ამჟამად პოეტის საბიოგრაფიო წყაროებად გამოდგება შემდეგი მასალები:

1. პოეტის შემოქმედება და კერძო წერილები. ეს არის ყველაზე სანდო და სარწმუნო წყარო ბარათაშვილის ბიოგრაფიის დასადგენად. შეიძლება არცერთი ქართველი მწერლის შემოქმედება ისე ლრმად არ იყოს დაკავშირებული პოეტის პირად ბედთან, როგორც ბარათაშვილის პოეზია. მისი ლექსები სულიერი ცხოვრების მამხილებელი ფრაგმენტებია. ისინი თვალწინ გვიშლიან პოეტის შინაგან სამყაროში უკუფენილ სინამდვილეს, ხელში გვაწვდიან მისი ტკივილისა და სიხარულის გასა-

<sup>1)</sup> „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, 1935, წ. I, ტ30-633.

<sup>2)</sup> გრიგოლ აბაშიძე: „ნ. ბარათაშვილის ახლად აღმოჩნილი წერილები“, „ლიტერატურული საქართველო“, 1937, №3.

<sup>3)</sup> ი. ბალახაშვილი: „ნ. ბარათაშვილის უცნობი ლექსი“, „ლიტერატურული საქართველო“, 1936, №2.

ლებს. ჩემის აზრით, ნ. ბარათაშვილის ბრძოლის მისი  
შემოქმედების მაგისტრალურ ხაზს უნდა გაჰყვეს.

სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პოეტის  
კერძო წერილებს. გარდა იმისა, რომ ისინი ზოგიერთ  
შემთხვევაში პირდაპირ აგრძელებენ და ავსებენ შემო-  
ქმედებაში მოცემულ სოფლმხედველობას და განწყობილე-  
ბას, მრავალ საინტერესო ფაქტსაც გვაწვდიან პოეტის  
პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ გარემოზე.

2. დიდი ღირებულება აქვს ღოკუმენტალურ მასალას.  
მაგრამ ეს კოლექცია მეტად მცირეა და აქედან, ორიოდე  
საბუთის გარდა, რომლებიც თვითონ პოეტის ცროვრე-  
ბაზე მოგვითხრობენ, უმეტესობა ეხება მის მშობლებს,  
ნაკანონებს და გარემოს. უფრო მეტი: ზოგი ღოკუმენტის  
მნიშვნელობა საეჭვოა და მხოლოდ მათი საშუალებით  
არ შეიძლება ფაქტების დადგენა.

3. ბიოგრაფიული ცნობების უმეტესობას მაინც სხვათა  
დაკვირვებები და მოგონებები გვაწვდიან. ცნობათა სიზუს-  
ტის მხრით დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგალითად,  
გრიგოლ ორბელიანისა და ლევან მელიქიშვილის ბარა-  
თებს. ამ წერილების ერთმანეთთან შედარებას უთუოდ  
შეუძლია ზედმიწევნით გამოარკვიოს ზოგიერთი ფაქტი.

1881 წელს გაზეთ „დროებაში“ დაიბეჭდა ნ. ბარა-  
თაშვილის მეგობრის კონსტანტინე მამაცაშვილის მო-  
გონება, რომელიც 1893 წელს ცალკე წიგნაკადაც გამო-  
სცა ზაქარია ჭიჭინაძემ. კ. მამაცაშვილის მოგონებებით  
იწყება ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიის აღდგენა მეტუ-  
არული მასალებით. ამავე დროს ეს არის ყველაზე ვრცე-  
ლი და დიდად სანდო მემუარი. საერთოდ ასეთი უანრის  
ლიტერატურა, ცოტად თუ ბევრად, მუდამ საეჭვოა.  
კ. მამაცაშვილის მოგონებას განსაკუთრებული კეთილსინ-  
დისიერება ახასიათებს. ეს იქედან მტკიცდება, რომ არც

ერთი შემდგომი ცნობა ბარათაშვილის შესახებ ეწი-  
ნა აღმდევება კ. მამაცაშვილის მიერ წარმოდგენილ  
ტებს.

6. ბარათაშვილის ბიოგრაფიის აღსადგენად გასული  
საუკუნის მეორე ნახევარში ყველაზე მეტი გააკეთა იონა  
მეუნარგიაშ. მით უმეტეს ადვილი იყო ეს, რომ უძვი  
1892 წელს ილია ჭავჭავაძემ თავის შესანიშნავ კრიტი-  
კულ წერილში მოხაზა ნიკოლოზ ბარათაშვილის შემო-  
ქმედებითი პორტრეტი, რომელმაც გეზი მისცა პოეტის  
ბიოგრაფიული სურათის აღდგენას. ი. მეუნარგიას „ცხოვ-  
რება ნიკოლოზ ბარათაშვილისა“ შესანიშნავ ნარკვევს  
წარმოადგენს მემუარულ ცნობებზე დამყარებულ ბიო-  
გრაფიითა შორის. მან თავი მოუყარა ყველა იმ პირდა-  
პირ ცნობას და გადმოცემას, რომლებიც მოგონებათა  
სახით მოიპოვებოდა შაშის და ყოველივე ეს მზრუნველი  
ხელით გაჩერიკა, ასწონ-დასწონა და შეაფასა. იონა  
მეუნარგიას მეოხებით ბარათაშვილის ბიოგრაფიაში შე-  
ვიდა და განმტკიცდა ბევრი ისეთი ფაქტი, რომელთაც  
მთავარ ხაზებში აღადგინეს ჩვენი სახელოვანი პოეტის  
ცხოვრების სურათი. ჩვენ თავის აღაგას ვისარგებლებთ ამ  
მოგონებებით, რომელთა შორის საკუთრივ ნიკოლოზის  
შესახებ, ზოგჯერ ორიოდე, მაგრამ საგულისხმო ცნობებს  
გვაწვდიან გრ. ორბელიანი, ლ. მელიქიშვილი, ნიკო-  
ერისთავი, ბიძინა ჩოლოყაშვილი და ლუკა ისარლი-  
შვილი.

1922 წლის აკადემიური გამოცემის რედაქციაში გამო-  
აქვეყნა ორი პატარა მოგონება, რომელთაც დიდი მნი-  
შვნელობა აქვთ. ორივე ნ. ბარათაშვილის პიროვნებას  
ეხება: ერთი ეკუთვნის პოეტის დას — ბარბალე ვეზირი-  
შვილისას, ხოლო მეორე — დიმიტრი ყიფიანის მეუღლეს  
(კოტე ყიფიანის ჩანაწერი). ეს მოგონებები არსად არ

წინააღმდეგებიან არსებულ ცნობებს და, გვაწვდებიან ამისა ბეჭედის ზოგიერთ ახალ ფაქტსაც გვაწვდიან.

ასეთიც ნ. ბარათაშვილის მთავარი საბიოგრაფიო წყაროები. აღსანიშნავია, რომ მთელი ეს მასალა არ იძლევა პოეტის ცხოვრების ამომწურავ სურათს და ლიად სტოვებს ზოგიერთ მნიშვნელოვან კითხვას. პოეტის შინაგან სამყაროზე ჩვენ უფრო დამთავრებული წარმოდგენა გვაქვს. რა თქმა უნდა, ესეც მხოლოდ შედარებით და არა აბსოლუტურად. ამიტომ ბუნებრივია, თუ დასაყრდენ წერტილად ჩვენ ყველგან შემოქმედების ფაქტებს გამოვიყენებთ.

## გარათაშვილების ოჯახი

**ბ.** ბარათაშვილის მამა მელიტონი საინტერესო პიროვნებაა, როგორც საკმაოდ მკვეთრი ტიპიური ფიგურა ქართველი თავად-აზნაურობის თვალსაჩინო და გავლენიანი ნაწილისა მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში.

ეს საუკუნე ახალი პოლიტიკური ვითარებით დაიწყო.

ირანისა და თურქეთის შეუნელებელი მტრობით შეწუხებული საქართველო იძულებული გახდა თავის ძლიერ მეზობელთან გამოენახა საერთო ენა პოლიტიკური შეთანხმებისათვის. თუ ასეთი რამ მოუმწიფებელი და განუხორციელებელი იყო XVII საუკუნეში, XVIII საუკუნის დამლევს რუსეთი უკვე რეალურად დაინტერესდა აღმოსავლეთის საქმეებით და ქართველი შეფეხების დიპლომატიურ მისიებს დიდი თანაგრძნობით ეკიდებოდა. 1783 წლის 24 ივლისს გეორგიევსკი, ერთი მხრით, ერეკლე მეფის რწმუნებულებით — სპასალარმა ივანე ბაგრატიონმა და მანდატურთ უხუცესმა გარსევან ჭავჭავაძემ და მეორე მხრით მეფის რუსეთის რწმუნებულმა პ. პოტიომკინმა ხელი შორიერეს „მეგობრული პირობის“ არტიკულებს. ტრაქტატი შეიცავდა პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური შეთანხმების ძირითად პრინციპებს აღმოსავლეთის საკითხები, რომელიც საერთო ინტერესებით უნდა გადაჭრიოს მაგრამ ისე, რომ საქართველოს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას არავითარი ზიანი არ მიჰყენებოდა. მაგრამ გეორგიევსკის ტრაქტატი მაღლე მიივიწყეს რუსეთში,

სადაც კაპიტალისტური ექსპანსიის ნიშნები უკვე საგრძნობი გახდა. მეთვრამეტე საუკუნის დამლევს რუსეთის სათვის აღმოსავლეთის საკითხი გადაიქცა ეკონომიკურ პრობლემად, რომელმაც გარკვეული მიმართულება მისცა პოლიტიკურ ინტერესებს. ადრე თუ გვიან დინასტიური საქართველო უნდა გაეწირათ ამ პოლიტიკისათვის. სულ თრი ათეული წელიც კი არ იყო გასული ტრაქტატის ხელმოწერის დღიდან, რომ საქართველოს „ებოძა“ აღექსანდრე პირველის უმაღლესი მანიფესტი შეერთების შესახებ.

ეს მოხდა 1801 წლის 12 სექტემბერს.

პირველ ხანს ქართველი თავად-აზნაურობის უმეტესშანა წილმა ალლო ვერ აულო შექმნილ მდგომარეობას. მაგრამ ახალ პოლიტიკურ ვითარებაში გარკვევას არც დიდი დრო დასჭირებია. რუსეთის კოლონიალური მისწრაფების შეგნებამ თავად-აზნაურობის უმეტესი ნაწილი მკაცრი პროტესტისა და ამბოხების გუნებაზე დააყენა. ეს განწყობილება ბრძანებლობს მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში. მაგრამ მანიფესტის გამოქვეყნების დღიდანვე, და უფრო ადრეც, არსებობდა შემარიგებელთა მიმდინარეობა, რომელიც, მართალია, უმნიშვნელო უმცირესობას შეადგენდა, მაგრამ პირველ ხანს რუსეთის პოლიტიკის მტკიცე და საიმედო დასაყრდენს წარმოადგენდა საქართველოში.

ნ. ბარათაშვილის მამა მელიტონი ამ უმცირესობის ერთერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო. მისი ცხოვრების აღწერილობა გვაძლევს შემარიგებელ თავად-აზნაურობის ტიპიურ სახეს, მისი საქმიანობისა და განწყობილების სურათს. მელიტონ ბარათაშვილის ბიოგრაფიან, უწინარეს ყოვლისა, ცხადი ხდება ის გარემოება, რომ ამ შემარიგებლობისა და ერთგულების საფუძველს

ეროვნული ინტერესები კი არ შეადგენდა, მარამეთ უმთავრესი პირადი კეთილდღეობა. ოფიციალურად შემარიგებელნი საქართველოს ეროვნულ ინტერესებზე ლაპარაკობდნენ, არსებითად კი პირად საქმეებს აჭახრავებდნენ.

მელიტონი დაიბადა 1793 წელს. ჩამომავლობით დიდი თავადი, თავისი მდგომარეობითაც წელმაგარი მემამულე იყო. მაგრამ მელიტონის ხელგაშლილ ცხოვრებას ძალიან ადრე შეურყევია მისი ქონებრივი მდგომარეობა. საქართველოში რუსეთის შემოსვლის უაშს, მელიტონის ქონება უკვე იმდენად მიწურულა, რომ მას სახელმწიფო მოხელის კარიერა უნდა ეძებნა შერყეული მდგომარეობის გამოსასწორებლად. ბუნებით ნიჭიერ და მცოდნე კაცს არ გაუჭირდებოდა მაშინ თვალსაჩინო თანამდებობის შოვნა რუსეთის მიერ ახლად შექმნილ შშართველობის აპარატებში, სადაც საჭირო იყვნენ ერთეული და გამოცდილი ქართველები. მელიტონი მშვენიერი ზოქართულე იყო და, ამის გარდა, კარგად იცოდა რუსული, სომხური და თათრული ენები. მაშინ რუსულის ცოდნა უკვლაბე მეტად ფასობდა. ახალ ხელისუფლებას ენის უცოდინარობა უჭირებდა საქმეს. თარჯიმნებს სანთლით დაეძებდნენ, დიდად აფასებდნენ. 1810 წელს მელიტონს უკვე თარჯიმნად ვხედავთ საქართველოს მთავარმართებლის ტორმასოვის კანცელარიის შტაბში. ამავე წლიდან იწყება მისი დამსახურებათა და წარჩინებათა ისტორია. მისი ერთგული მსახურების ყოველ წვრილმანს შეფის რუსეთის მოხერხებული დიპლომატები უპასუხებენ დაუსრულებელი სამადლობელო ბრძანებებით, ქებითი განკარგულებებით და სამხედრო ხარისხების აღმატებით. 1811 წელს მელიტონი უკვე პრაპორჩიქია, 1813 წელს — პორფიქი. დამახასიათებელია, რომ 1832 წელს, როდესაც მეფის რუსეთის ხელისუფლება მკაცრად უსწორდებოდა.

ოპოზიციურ თავად-აზნაურობას ამბოხების მშადებისათ  
ვის, მელიტონ ბარათაშვილს ერთგულებისათვის ების  
მაიორობა და 900 მანეთი წლიური ჯამაგირი. მაგრამ ეს  
იყო ის უმაღლესი „წარჩინება“, რომელსაც მელიტონმა  
ვილარ გადააძიჯა.

საქმიარისია მოკლედ ჩამოვთვალოთ მელიტონის  
„დამსახურებანი“, რომ მისი მაიორობის ხარისხი გასაგე-  
ბი გახდეს. ცენტრალქივის აუწერელ ფონდში დაცულია  
მელიტონ ბარათაშვილის ფორმულიარი, სადაც დაწვრი-  
ლებით არის აღნუსხული მისი მოლვაწეობა.

„საქართველოს მთავარმართებელთან თარჯიმნად  
ვიყავი. ვმონაწილეობდი 1811 წელს ახალციხის ექსპედი-  
ციაში ქავალერიის გენერალ ტორმასოვთან. ამ საქმეში  
გამოჩენილი სიმამაცისა და ერთგულებისათვის უმოწყა-  
ლესად მებოძა ჩინი პრაპორშჩიკისა, რის შესახებაც არ-  
სებობს მისივე, გენერალი ტორმასოვის, ქებითი განკარ-  
გულება 1811 წლის 6 აპრილის თარიღით, № 602.  
1812 წლის ოქტერვალს გენერალ-ლეიტენანტ (ახლა ინ-  
ფანტერიის გენერალი) მარკიზ პაულუჩისთან ვიყავი კა-  
ხეთს, სოფელ ჩუმლაყის აღებისა და მეამბოხეების დამარც-  
ხების დროს, რის შესახებაც არსებობს გენერალ მარ-  
კიზ პაულუჩის ქებითი განკარგულება 1812 წლის 6 ოქ-  
ტერვლის თარიღით. 1813 წელს, კახეთის ექსპედიციის  
დასაწყისში, კახელ მეამბოხეთი წინააღმდეგ ვიყავი გე-  
ნერალ-ლეიტენანტ თავად ორბელიანთან სხვადასხვა სამ-  
სახურისათვის. შემდეგ ვმონაწილეობდი ყველა ბრძოლა-  
ში და თავი გამოვიჩინე სამაგალითო სიმამაცით, განსა-  
კუთრებით 13 ოქტომბერს სოფ. შალდასთან. ამ სოფლის  
შიგ შუაგულში მეამბოხეები გარს შემოერტყნენ გენერალ-  
მაიორის (ახლა გენერალ-ლეიტენანტის) თავად ერისთავის  
მცირერიცხოვან რაზმს. მე შევეცადე თავს დავსხმოდი მათს

საგუშაგოებს. მეამბოხეებმა ოომ იერიში მოიტანეს, მე ლედ-  
დენიმე ქართველით, გაცხარებული სროლის დროს, ხმილ-  
დახმალ ჩავერიო ბრძოლაში და პირადი სიმამაჯისა და  
თავგამოდების გამოჩენით უკუვაგდეთ მეამბოხენი. ამისა-  
თვის დაჯილდოვებული ვარ პოდპორუჩიკის ჩინით და  
ჯამაგირით, რის შესახებაც არსებობს ქებითი განკარგუ-  
ლება გენერალ ტატიშჩევისა 1814 წლის 31 იანვრის თა-  
რილით, № 142. იმავე 1813 წელს ვახლდი ინფანტერიის  
გენერალს რტიშჩევს სამსახურის სარგებლობისათვის გუ-  
ლისტანში სპარსეთთან. ზავის ჩამოგდების დროს, რაზე-  
დაც არსებობს იმავე გენერლის რტიშჩევის ქებითი გან-  
კარგულება 1816 წლის ოქტომბრის 12-ს თარილით,  
№ 920, სხვადასხვა სამსახურში თავის გამოჩენისა და  
შრომისათვის უმოწყალესად მებოძა პორუჩიკობა... და  
ნება მომეცა მეტარებინა მსუბუქი კავალერიის საერ-  
თო საკავალერიო მუნდირი. მთავრობის განკარგულება-  
თა ერთგულად და უნაკლოდ შესრულებისათვის 1819  
წლის 24 ოქტომბერს უმოწყალესად გამოიცა ბრძანება  
პოდპორუჩიკის ჯამაგირის, 200 მანეთის ასიგნაციის  
მაგივრად ეძლიათ ჩემთვის ჯამაგირი ვერცხლით.  
1820 წლის მაისის 17-ს უმაღლესი ბრძანებით სამსახუ-  
რებრივი ერთგულებისა და შრომისათვის მებოძა კა-  
პირინობა სათანადო ჯამაგირით... 1824 წელს დამნიშ-  
ნეს განჯის პოლიცმეისტრად და ოლქის უფროსიდ.  
ეს თანამდებობა მაღე მნიშვნელოვანი და ძნელი შე-  
იქნა, რადგან სპარსეთის ჯარი შემოიჭრა ჩვენს სა-  
ზღვარში და საჭირო გახდა განსაკუთრებული ზომები,  
რომ მორჩილებაში გვყოლოდა მერყევი მცხოვრებნი ხსე-  
ნებული ოლქისა. მე ზუსტად შევასრულე ყველა დავა-  
ლება და ყურადღება მივიქცი მთავარმართებლისა.. რა-  
ზედაც არსებობს ქებითი ატესტატი გენერალის ერმო-

ლოვისა 1827 წლის 28 მარტის თარიღით, № 1817  
1829 წლის 17 მარტიდან მთავარმართებულმა, გრაფში  
პასკევიჩმა დამნიშნა საგანგებო საქმეებისათვის. საქართ-  
ველოს თავად-აზნაურობის წინამდლოლ გენერალ-მაიორ  
ბაგრატიონ-მუხრანსკისთან... ვმონაწილეობდი ყველა სა-  
კირო საქმეში, როგორც ლაშერის შეგროვების, ისე ლე-  
კებზე ალაზანგაღმა ლაშერიბაში... 1832 წელს ჭარის  
ოლქში შემოჭრილი მთიელების მოსაგერიებლად მილი-  
ციის შეგროვებაში ერთგულებისა და თავგამოდების გა-  
მოჩენისათვის უმოწყალესად მებოძა მე-3 ხარისხის სტა-  
ნისლავის ორდენის კავალერობა. 1835 წლის 25 იანვრი-  
დან, ჩემი პირდაპირი მოვალეობის გარდა, საქართველოს  
გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამდლოლის არყოფნის  
დროს, მჩავალჯერ შემისრულებია მისი თანამდებობა“.

ასეთია მელიტონ ბარათაშვილის პორტრეტი, რომე-  
ლიც საკუთარი ხელითაა შესრულებული. ყურადღებას  
იქცევს ფორმულიარში მოთხრობილი ამბის სტილი, რო-  
მელსაც ერთგვარი თავმომწონეობა ახასიათებს. მელი-  
ტონს არ ეთავისულება იამაყოს მეამბოხეთა წინააღმდეგ  
რუსი გენერლების ერთგულებისათვის ჩადენილი გმირო-  
ბით. პირიქით, ეს დიდ დამსახურებად მიაჩნია მას. ასეთი  
იყო შემარიგებელ თავად-აზნაურთა აზრი და საქმია-  
ნობა!

ალბათ, იმ დაფასების გამო, რომლითაც სარგებ-  
ლობდა მელიტონი რუს შპართველთა წრეში, ქართველი  
არისტოკრატები 1832 წლიდან მას ორჯერ ირჩევინ  
ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა მარშლად: „გავლე-  
ნიან“ კაცს უფრო მეტს დაუჯერებენო.

მელიტონის პორტრეტის სისრულისათვის საჭიროა  
მისი პირადი ხასიათი და ზნეობრივი ვინაობაც გავიც-  
ნოთ.

ნ. ბარათაშვილის მეგობარი კ. მამაცაშვილი თვალს  
მოგონებაში წერს: „მელიტონი იყო ქართულს ენაზე გა-  
ნათლებული კაცი, კარგი მოლაპარაკე, ზედმიშევნით  
მცოდნე ქართული ლიტერატურისა. იმის სახლში ნახავ-  
დით ძველს ჩვენს სწავლულ ქართველებს, იმათ შორის  
თითქმის ყოველ დღე მელიტონთან დაიარებოდა მღვდე-  
ლი ეგნატე იოსელიანი (მამა ჩვენი მწერლის პლატონისა).  
ეგნატე იოსელიანმა ჩინებულად უცოდა ქართული და სომ-  
ხური ლიტერატურა, იყო ლრმად მოხუცებული, გაზრ-  
დილი მეფის სასახლეში და მნახველი ჩვენის საქართვე-  
ლოს ცხოვრებისა წარსულს საუკუნეში მეფის ირაკლის-  
გან შეფის გიორგის გარდაცვალებამდისინ.

„მელიტონის სახლში ხშირად დადიოდნენ ღენ. ლეიტ.  
ალექსანდრე ჭავჭავაძე, ორნი ძმანი ნიკოლოზ და მიხეილ  
ფალავანდიშვილები, სოლომონ მეითაძი თარხნიშვილი,  
გიორგი და ალექსანდრე საგინოვები (დისტულები მელი-  
ტონისა) და ბევრნი მაშინდელს დროის განათლებულნი  
ქართველნი“.

მელიტონი უთუოდ ნიჭიერი და თავისი დროისთვის  
განათლებული იყო, მაგრამ მერცხვი და უხასიათო. ამ  
ადამიანში საოცრად იყო შეხამებული ერთიმეორის საწი-  
ნააღმდეგო თვისებები. ერთი მხრით შესანიშნავი მოქარ-  
თულე, ქართული ისტორიისა და მწიგნობრობის მოსიყ-  
ვარულე, პროტესტანტი თავად-აზნაურობის წარმომად-  
გენელთა გულუხვი მასპინძელი და მეგობარი, მეორე  
მხრით, მეფის რუსეთის ტახტის ერთგული, ნაციონალურ  
ამბოხებათა ჩამოგნების მონაწილე. აღსანიშნავია, რომ  
ასეთი ადამიანები ქართველ თავად-აზნაურობაში ტიპიუ-  
რი იყო მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში, რო-  
დესაც ჩვენი ცხოვრება თვათონ გადაიქცა მოწინააღმდე-  
ვე ძალთა ჭიდილის ასპარეზად.

მელიტონის პირად თვისებებზე რამდენიმე სარტყელი ნო ცნობა გვაქვს. „ნიკოლოზ ბარათაშვილის მამას უყვარდა კარგი ცხოვრება, სიუხვე და პურ-მარილიანობა: იმისი სადილები განთქმული იყო თბილისში“, სწერს კ. მამაცაშვილი. მელიტონი ნამდვილი დარღიმანდი და უდარდელი თავადი იყო. მელიტონის არიფობა და მასპინძლობა თითით საჩვენებელი ყოფილა. მარტო თევზის საჟრად მუდამ დღე ორი ყმა კაცი ჰყოლია დაბანდებული. ვაი მათ, თუ ისინი შინ უთევზოდ დაბრუნდებოდნენ! <sup>1)</sup> მაგრამ ქართული ტრადიციული ლხინისა და შექცევის მოტრფიალე მელიტონი თურმე ისეთი მკაცრი, ანჩხლი და მყვირალა ყოფილა, რომ ზინაური და გარეშე აკლებული ჰყოლია. ი. მეუნარგიამ შეგვინახა ივ. კერესელიძის ნაამბობი: „მელიტონი თავის სადგომში რომ გააბიძდა ყვირილს ანჩისხატის გვერდით, თეკლე ბატონიშვილის სახლში გვესმოდაო... მის გულ-ფიცხობისაგან მის სახლობას არა ერთხელ ცხარე ცრემლი ულვრია და მწარე პური უჭამია, ერთხელ, მაზრის მარშლად ყოფნის დროს, იმან გუბერნატორის სეკრეტარი გალახა, რომელმაც რაღაც ქალალდის მოძებნის უარი უთხრა“ <sup>2)</sup>.

მელიტონის სიმკაცრეს განსაკუთრებით მწვავედ მისი ყმები გრძნობდნენ. გლეხების დამრბევი, მცემელი, მათთვის რეზიდენციანი შვილების მტანჯველი და მჩაგვრელიო — ასეთი ეპიტეტებით ახასიათებს მას ივ. კერესელიძე ზ. ჭიჭინაძის სიტყვით. <sup>3)</sup> ამაში მეათედიც რომ მართა-

<sup>1)</sup> ზ. ჭიჭინაძე: „საქართველოს ბატონიშმობის ფაქტიური მასალები“, 1925 წ. ტ. VI, 382.

<sup>2)</sup> ი. მეუნარგია: „ცხოვრება ნიკოლოზ ბარათაშვილისა“. ბარათაშვილის თხშულებათა 1922 წლის აკადემიური გამოცემა, VII.

<sup>3)</sup> ზ. ჭიჭინაძე: ibid.




ლი იყოს, მელიტონის „კაი კაცობას“ მარნუარტაფერი  
ეშველება!

მელიტონის უდარდელობამ და დაუდევარმა ხელ-  
გაშლილობამ ოჯახი გააღარიბა და დაავალიანა. 1835  
წელს მელიტონი მძიმედ ივად გახდა. მახლობლები შეწუ-  
ხებულან: მელიტონი რომ გარდაიცვალოს, ოჯახს უკანას-  
კნელი გროშიც მოაკლდება და ცოლშვილი შიმშილით  
ამოწყდებათ. აი რას სწერს გრიგოლ ორბელიანი თავის  
ძმას ზაქარიას: „მელიტონის უიმედოდ ივადმყოფობამ  
ძალიან შემაწუხა, მთელი ღამე მწუხარებისაგან თვალი  
არ მომიხუჭავს.—რა უნდა ჰქმნას საბრალო ეფემიამ, თუ  
მართლად ეს უბედურება მიადგა! რით უნდა შეინახოს  
თავის წვრილი შვილები ანუ რით გადიხადოს ვალები,  
რომელიცა უეჭველად ბევრი დარჩება.—ღმერთმან დაი-  
ფაროს ამა უბედურებისაგან; მაგრამ შენ ასე რიგადა  
მწერ, რომ მგონია საწყალი მელიტონი კიდეც მომკვდა-  
რა.—ცრემლნი მდიან თვალთაგან ამ წერაში.—საწყალს  
მელიტონს უყვარდით ჩუენ ძალიან და იყო ჩუენი კეთილის  
მსურველიცა.—იმედი მაქვს, რომ თუ ბარონ როზინი  
მანდ არის, ნიკოლაი იოსებიჩისა და მუხრანის ბატონის  
შემწეობით პენციაზე წარადგინოს ეფემია.—ეს ერთი ლო-  
ნისძიება არის ეფემიასათვის სანუგეშოდ.—ჩვენც ასეთს  
სიღარიბეში ვართ, რომ შემწეობა მაგთენი არა შეგვიძ-  
ლიან რა.—ახ! ღ-თო, რა უბედური ოჯახი შეიქმნა სახ-  
ლი ჩუენი—ოხ! რა ძნელია მოსაომენად, რომ კაცი ჰე-  
დავდეს ესრეთ გულის საყვარელს დას უკანასკნელ განწი-  
რულებაში, და არა შეეძლოს შემწეობა.—მომწერე, გე-  
თაყვა, ზაქარიავ, ყოველივე ეფემიას საქმე დაწვრილებით,  
ნურას დამიმალავ ჩემს სანუგეშოდ.—Нельзя ли ее по-  
местить в нашем доме как-нибудь до времени.<sup>1)</sup>

1) გ. რ. ორბელიანის „წერილები“, აკ. გაწერელიას რედაქ-  
ციით, 1930, ტ. I, 28.

2. პოეტი და ადამიანი

მაგრამ ავადშეყოფობას ბედნიერად გაუვლია /— მელო—  
ტონი გადარჩა.



\* \*

პოეტის დედა ეფემია, ზურაბ (დიმიტრი) ორბელიანის  
ასული, სრული წინააღმდეგობა იყო თავისი ქმრისა.  
„მშვენიერი ქალი და ქართულად ქარგად გაზრდილი“,  
— ასე ახასიათებს მას კ. მამაცაშვილი. ეფემიას მიმზიდვე-  
ლი სათნიოანობა უკვდავჰყო გრიგოლ ორბელიანმა თავი-  
სი ლექსით „ჩემს დას ეფემიას“, რომელიც მის ერთერთ  
საუკეთესო ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს. ამ ლექსის  
პოეტური აზრი, განსაკუთრებით მისი ნალვლიანი გრძნო-  
ბითი ტონი, გვაფიქრებინებს, რომ ის დიდ გავლენას  
მოახდენდა ბარათაშვილზე.

ამ ლექსში მოხაზულია ეფემიას პორტრეტი. „დაო  
სასურაფელ! — მიმართავს მას ნალვლიანი პოეტი, რომელ-  
საც დედა წაართვა სიკვდილმა პყრობილობის უამს, —  
შენი ალერსი მშეგიდი წყნარი მიხარის შორით და გულ  
დაჩაგრულს მენატრების კვალად ხიცოცხლე.“

აი როგორი ბარათაშვილური სასოწარკვეთილებით  
შესჩივის პოეტი თავის დას:

ვისგან და ვისთვის განიხაროს აწ გულმან ჩემმან?  
ვისა შევპბრალდე, რომ ეგებ მით გული განგრილ-  
დეს?

ლრუბელი ჭმუნვის განმიბნიოს აწ ვისმან ლიმმან?  
უდროდ დავბერდი და ცხოვრებით გული როს  
დასტკბეს?

სიყვარულისა სურვილი მას ვერ დაუთრობს გულს,  
მისი სიცოცხლე ვერა დასტკბეს მართლ სიხარუ-  
ლით,

ვინც სოფელს მუხთალს, საამურის ოცნებით  
ალვსილს,

უმზერს ვით აწ მე, მიუნდობელ, გამოცდილ

ხვალე არღა მრწამს, ვით ლამეში მაცდური სხვი. ვინ სთქვას: ხვალეცა ვიქნები მე ვით დღეს ბედნიერ? ვისწავლე ესე, როს განმექრო ბედის ვარსკვლავი, და აწ თუ განვლის დღე მშვიდობით, მწუხრს პირჯვარს ვიწერ!

პოეტი ეფემიაში, მის ლრმად ადამიანურ, ჭეშმარი-ტად ქალურ ბუნებაში ჰპოვებდა შვებას და ნუგეშს:

მაგრამ ნუგეშად, ჩემად შვებად სასიხარულოდ, ლხენად გულისა, უდროოდა მწარ-დამჭენარისა, დაო სასურველ! ამა სოფელსა შენ დამშთი მხოლოდ და განმისვენე კვეთებათგან ბოროტ მხვედრისა! მისთვის ვლოც ცასა, შავნი დღენი ჩვემთვის

შთომილნი,

არ შესწყდნენ, ვიდრე კვალად ჩემთა თვალთ არ  
გიხილონ,

და მაშინ, ოდეს საუკუნოდ მივლულო თვალნი,  
მშობლიურ მიწა ხელთა შენთა გულს დამაყარონ.

ნიკოლოზ ბარათაშვილს მუდამ ნაზად უყვარდა  
თავისი დედა. პატარა ბავშვი, ყრმა და ჭაბუკი ტატო  
გამთბარი იყო დედის ტკბილი მშობლიური ალერსით.

ასეთი იყო ის ოჯახი, რომელშიაც დაიბადა და ალი-ზარდა საქართველოს უდიდესი პოეტი ნიკოლოზ ბარათა-შვილი. მისი ხასიათის გამომუშავებაზე, უეჭველია, ოჯახს უპირველესი გავლენა ჰქონდა. ჯერ აქ, და შემდეგ გარეთ ყალიბდებოდა პოეტის სულიერი სამყარო. ზოგჯერ და-პირისპირებისა და ზოგჯერ მიმბაძველობის მძლავრი ინ-სტინქტებით გამოიკვეთა პოეტის შინაგანი თვისებები.

ჩვენ ქვევით ვნახავთ, როგორ მიმდინარეობდა ეს  
პროცესი.



\* \* \*

მელიტონისა და ეფემიას ოჯახი მრავალშვილიანი  
ყოფილია, მაგრამ თოთხმეტი შვილიდან უბედურ დედას  
ცხრა მცირეწლოვანი ბავშვი დაუმარხია. ნიკოლოზი პირ-  
ველი შვილი იყო, მის მეტი ვაჟი ოჯახს არ შერჩენია.

როდის დაიბადა ნიკოლოზი?

ბოლო დროს ეს საკითხი სადაო გახდა. დღემდე და-  
ბადების თარიღად მიღებული იყო 1816 წლის 22 ნოე-  
მბერი (ძვ. სტილით). ოცდაორი წლის წინათ მთელმა  
საქართველომ ამ დღეს აღნიშნა ასი წლისთავი პოეტის  
დაბადებიდან.

ჩვენ აქ არ მოვიყვანთ საწინააღმდეგო ცნობებს და  
მოსაზრებებს, მაგრამ არა იმიტომ, რომ პოეტის დაბადე-  
ბის თარიღის დადგენას მნიშვნელობა არ ჰქონდეს, არა-  
მედ იმიტომ, რომ ასეთი დავა ყოველთვის უსაფუძვლო  
და უნაყოფოა, როცა ჩვენს განკარგულებაში არაა კატე-  
გორიული ხასიათის, უდაოდ დამარტინებელი საბუთები.

ჩვენ მხარს ვუჭერთ ტრადიციულად მიღებულ თა-  
რიღს—1816 წლის 22 ნოემბერს (ძვ. სტილით), რადგან  
ეს თარიღი დღემდე არაა დარღვეული ეჭვმიუტანელი  
საბუთებით.

ჯერჯერობით სრული საფუძველი გვაქვს ვიმსჯელოთ  
ასე: როდესაც განჯის ეკლესიის გალავანში პოეტის საფ-  
ლავზე მარმარილოს ფიცარს ამაგრებდნენ, ნიკოლოზ  
ბარათაშვილის პატივისმცემლებმა, უკველია, დარწმუ-  
ნებით იცოდნენ, რომ იგი 29 წლისა გარდაიცვალა. ამის  
გამოსარჩევევავად მათ დროც ჰქონდათ და შესაძლებლო-  
ბაც. ვერ გამიგია, რას უნდა გამოეწვია შეცდომა?

გარდა ამისა, ჩვენს ხელთ არის კ. მამაცაშვილის ცნობა, რომელშიაც უსაფუძვლოდ ეჭვს ვერ შევიტანთ. 1881 წელს „დროებაში“ გამოქვეყნებულ მოგონებას გამოეხმაურა პ. უმიკაშვილი, რომელმაც შესწორება შეიტანა კ. მამაცაშვილის ცნობაში პოეტის გარდაცვალების უთარილის გამო. ამ შენიშვნის გამო კ. მამაცაშვილი თავის პასუხში სხვათა შორის წერდა: „დაბადების წელიწადი ნიკოლოზ ბარათაშვილისა ვიცოდი თვითონ ჯიმისგანო“.

## ტფილისის გიმნაზიის პგავილი

**პატარა ტატოს პირველი მასწავლებელი მისი გულ-  
კეთილი დედა უნდა ყოფილიყო. ძველ ქართულ საოჯახო  
წესებზე აღზრდილი ეფემია თავის საყვარელ შვილს ძუ-  
ძუსთან ერთად მიაწვდიდა ტრადიციულ სულიერ საზრ-  
დოს, გრძნობიერი ბავშვის სულში დანერგავდა ნაყოფიერ  
თესლს გარდასულ დროთა სურნელებისას, სამშობლოს  
სიყვარულისა, გმირობისა და წრფელი მეგობრობისას.**

აღსანიშნავია, რომ ხალხური პოეტური ენის სიყვა-  
რული ნათლად ამჩნევია ბარათაშვილის პოეზიას. საერ-  
თოდ მისი ენა საოცარი პარალელიზმით ხასიათდება. ერ-  
თი მხრით: ბიბლიური არქაზმი, რომელიც ბრინჯაოს  
სიმძიმეს მატებს მის სტრიქონებს (ეს არის დომინიური  
სტილი), მეორე მხრით: ხალხური პოეზიიდან შემოსული  
გამჭვირვალე და ნათელი ფერადები.

აი მაგალითი:

1. ცხოვრების წყაროვ, მასვ წმიდათა წყალთაგან  
შენთა,

დამინთქე მათში სალმობანი გულისა სენთა!  
არა დაპქროლონ ნავსა ჩემსა ქართა გნებისა,  
არამედ მოეც მას სადგური მყუდროებისა!

(„ჩემი ლოცვა“)

2. მადლი შენს გამჩენს, ლაშაზო,

ქალო შავთვალებიანო,

დლისით მზევ, ლამე მთოვარევ,

წყნარო და ამოდ ხმიანო!



მე სხვა სიმდიდრე რად მინდა?

მე შენი გულიც მეყოფის:

მის ფასი კიდე საუნჯე

ცას ქვეშეთ განა იმყოფის?

(„მაღლი შენს გამჩენს“)

საიდან მოდის ეს ხალხური პოეტური ენა სისადავითა და ელვარებით აღსავსე?

მისი სათავე ბავშვობის პერიოდში უნდა ვეძიოთ, როცა ცნობისმოყვარე ტატოს ფანტაზია მოწყურებული იჭრდა დედის მიერ ქართული სადა ენით ნაამბობ ზღაპრებს, ან როცა შინამოსამსახურეთა და გლეხთა ფერადოვან და მაძლარ ლაპარაკს მიაპყრობდა გულისუყრს. სკოლის პერიოდში სადა მეტყველების ადგილს, უკველია, მძიმე მწიგნობრული ენა დაიჭერდა.

შვიდი თუ რვა წლისა უნდა ყოფილიყო ტატო, როცა ის კალოუბნის სკოლაში მიუბარებიათ. ეს იყო სამრევლო სასწავლებელი, სადაც სწავლა დაუწყია გრიგოლ ორბელიანსაც.

ზაქარია ჭიჭინაძე ასე გვისურათებს ამ სკოლას:

„ზაფხულში კარში სწავლობდნენ და ზამთარში—დარბაზში. ამ სკოლის მასწავლებელნი თავის დღეში არც პურსა და არც წყალს არ ყიდულობდნენ. შეგირდები რომ პურს მიიტანდნენ, ოსტატი გამოართმევდა იმ პურს, გადასტეხდა შუაზე, ნახევარს თვითონ დაიტოვებდა და ნახევარს შეგირდს მისცემდა. ახლა შუადღისას დაუძახებდა შეგირდებს: სათითაოდ ზოგს კოკას მისცემდა, ზოგს ლიტრას, დაირეკამდა ყმაწვილებს წყალზე წასასვლელად და თვითონ მასწავლებელიც თან მიჰყვებოდა“.

საოცარია, რა უნდა გაეკეთებია ამ გუდამშეირ მას  
წავლებლებს! ზ. ჭიჭინაძის ცნობა, ალბათ, განვიადებუ-  
ლი უნდა იყოს. ერთი კი ნათელია, რომ კალოუბნის  
სამრევლო სკოლაში ბავშვთა აღზრდისა და სწავლების  
საქმე მეტად პრიმიტიულ წესებზე იქნებოდა დამყარებუ-  
ლი. კალოუბნის სკოლის ოსტატები თავის შეგირდებს  
უნერგავდნენ მდიდარი ქართული ენისა და მწერლობის  
სიყვარულს. რა ოქმა უნდა, საღვთო წერილი და სასუ-  
ლიერო ლიტერატურა მთავარი სასწავლო საგანი იყო.  
უნდა ვიგულისხმოთ, რომ ბარათაშვილს აქედან გამოჰყვა  
ის ბიბლიური არქაიზმი, რომელიც მის პოეზიას ნათლად  
ამჩნევია.

თერთმეტი წლისა იქნებოდა ტატო, როცა ის კი-  
თილშობილთა სასწავლებელში გადაუყვანიათ. უნდა ით-  
ქვას, რომ აქ ალიზარდა არაერთი ქართველი მწერალი და  
საზოგადო მოღვაწე, რომელიც პროტესტანტული სულის-  
კვეთებით იყვნენ გამსჭვალულნი მეფის რუსეთის პოლი-  
ტიკის წინააღმდეგ. მით უფრო აღსანიშნავია ეს, რომ  
კეთილშობილთა სასწავლებელი მიზნად ისახავდა რუსე-  
თის ტახტისადმი ერთგული ადამიანების აღზრდას ადგი-  
ლობრივი გცხოვრებლებისაგან.

კეთილშობილთა სასწავლებელი დაარსდა 1802 წელს.  
მთელი ხუთმეტი წლის განმავლობაში ეს იყო ერთად-  
ერთი საშუალო სასწავლებელი ტფილისში. ერმოლოვის  
მთავარმართებლობის დროს, 1817 წელს, იმავე რუსი-  
ფაკატორული მიზნით, დაარსდა სასულიერო სემინარია.  
1830 წლიდან კეთილშობილთა სასწავლებელი გადაკეთ-  
და ტფილისის გიმნაზიად.

აქ გატარებული მოწაფეობის წლები მეტად საინ-  
ტერესო პერიოდია ბარათაშვილის ბიოგრაფიაში. ამ სას-  
წავლებელში ალიზარდა და საბოლოოდ მომწიფდა ის

პბრწყინავი პოეტური ნიჭი, რომელმაც შესანიშნავთ ლი-  
რიკულ ლექსებს აუხილა თვალი ქართულ პოეზიაში.

ნიკოლოზ ბარათაშვილი ეკუთვნოდა იმ პოეტების  
რიცხვს, რომელნიც ლიტერატურაში შემოდიან ძალიან  
ადრე, მაგრამ დასრულებული ტალანტების სახით და მტკი-  
ცე ნაბიჯით. ბარათაშვილის პირველი შესანიშნავი ლექ-  
სი „ბულბული ვარდზე“, რომელიც შედევრს წარმოადგენს  
თავისი ფილოსოფიური იდეით და პოეტური ფერადების  
განლაგებით, სწორედ კეთილშობილთა სასწავლებლის  
სკამზე დაიწერა, როცა პოეტი თვრამეტი წლის ჭაბუკი  
იყო!

ამის გარდა, კეთილშობილთა სასწავლებლის პერიოდი  
სხვა მხრითაც არის საყურადღებო. ჩვენ ქვევით ვნახავთ,  
რომ ოცდაათიანი წლების დამლევს ბარათაშვილის პო-  
ლიტიკურ სოფლმხედველობაში დიდი გარდატეხა მოხდა.  
ქართლის ბედის მაძიებელი პოეტი „შეურიგდა“ იმ ბედს,  
რომელიც ისტორიულმა ვითარებამ არგუნა საქართველოს.  
ქართლის ბედის პერიოდი კი სწორედ კეთილშობილთა  
სასწავლებელში გატარებულ წლებს ემთხვევა. აქ აღი-  
ზარდა ის პროტესტანტული სულისკვეთება, რომელიც  
1832 წლის ამბებთან დაკავშირებული პოლიტიკური  
იდეებით იკვებებოდა. უფრო მეტი: ბარათაშვილი ამ ამ-  
ბების მონაწილე პირთა შორის ყველაზე რაღიკალური  
ჯგუფის აზრებს იზიარებდა, და ეს მასზე უკეთ არც  
არავის გამოუთქვამს მწერლობაში.

კეთილშობილთა სასწავლებელში ჩამოყალიბდა მოწი-  
ნავე და გონიერაგასსნილი ახალგაზრდობის ჯგუფი, რომე-  
ლიც თავისებურად და, უნდა ითქვას, მეტად თამამად  
და რაღიკალურად ებმაურებოდა სასწავლებლის გარეთ  
დატრიალებულ პოლიტიკურ ამბებს. მაგრამ ვიდრე

ამაზე ვიტყოდეთ რამეს, ჯერ სასწავლებელს გაუცნოთ  
უფრო ახლო.

დიმიტრი ყიფიანის „მემუარებში“ ვკითხულობდა:  
„...მთელი მაშინდელი პედაგოგიური სიბრძნე ორი უმთავ-  
რესი და ამასთან ერთადერთი წესით გამოიხატებოდა:

გაკვეთილების სწავლა ზეპირად, ე. ი. შეუგნებლად,  
შექანიკურად და ყოველი დანაშაულისათვის ხელის  
გულზე სახაზავით ცემა“.

ამ წესს მხოლოდ სამი მასწავლებელი არ ემორჩი-  
ლებოდა: გიმნაზიის დირექტორი, რუსული ენისა და სი-  
ტყვიერების მასწავლებელი ე. პ. მანასეინი. „ყურებისა  
და თმების მოწევა, სახაზავით ცემა, დაჩოქება ან სხეუ-  
ლის სხვაგვარი სასჯელი მანასეინის დროს გულში გასავ-  
ლებადაც კი შეუძლებელი იყო“. მისი პედაგოგიური ეფექ-  
ტიც შესანიშნავი ყოფილა. მაგრამ მანასეინს ერთი წლის  
შემდეგ მიუტოვებია სასწავლებელი. მისი ადგილი დაუ-  
კავებია ხარკოვის უნივერსიტეტის კანდიდატს ნ. ტ. დე-  
მენტიევს. მოწაფეთათვის დიდად საყვარელი ყოფილა  
აგრეთვე ისტორიის მასწავლებელი ი. ზ. არლუთინსკი—  
დოლგორუკოვი. დ. ყიფიანის სიტყვით, სხვა დანარჩენ  
მასწავლებლებთან მოწაფენი შეგნებულად მხოლოდ სიც-  
რუეს სწავლობდნენო.

რა განსაცვიფრებელ ეკზემპლიარებს წარმოადგენდნენ  
ეს დანარჩენები, ამას ორიოდე დამახასიათებელი მაგა-  
ლითი დაგვანახვებს.

გეოგრაფიის მასწავლებელი გამოცდის დაწყებამდე  
ორი კვირის წინ გაკვეთილს აძლევს მოსამზადებლად:  
ერთს—შვეციას; —არა, სჯობს მე პორტუგალია მომცეთ!  
—კარგი, პორტუგალია იყოს; —მეორეს — ესპანეთს — ჰა?



რაო? შვეცია გინდა? შვეცია იყოს! მესამეს შეინგლისს და  
სხვა და სხვა.<sup>1)</sup>

გრამატიკის მასწავლებელმა ყორლანოვმა თავისი  
საგანი მარტო ზმნამდის იცოდა (აღვილი წარმოსადგენია,  
როგორი იქნებოდა ეს ცოდნა!) ამის გამო მთელი წელი-  
წადი სულ ერთსა და იმავეს გაჰქიოდა: „ზმნამდის  
გაიკვეთეთო“. ეს იყო და ეს. შეგირდების გრამატიკა ამას  
იქით არ მიღიოდა.<sup>2)</sup>

მასწავლებელთა უმრავლესობა ასეთი შემთხვევითი პი-  
რებისაგან შესდგებოდა. ამ გარემოებაში სასაცილოც კია  
ლაპარაკი ბავშვთა გონივრულ აღზრდაზე. ვის შოუვი-  
დოდა თავში თავისუფალი და დამოუკიდებელი აზროვ-  
ნების უნარი განევითარებია ბავშვებში! ცემა-ტყეპა, სა-  
ხაზავების ტრიალი, ფეხების ბრახუნი, დამაშინებელი  
ყვირილი და აყალმაყალი—აი იქაური სწავლების პედა-  
გოგიური ხერხები.

დიმიტრი ყიფიანს უკვე დამთავრებული პქნდა სას-  
წავლებელი, როცა იქ მასწავლებლობა დაიწყო სოლომონ  
დოდაშვილმა. ეს უალრესად საინტერესო პიროვნება შესა-  
ფერისად დაფასებულ: არ არის ჩვენს მიერ. ს. დოდაშვილმა  
თვალსაჩინო როლი შეასრულა მეცხრამეტე საუკუნის  
პირველი ნახევრის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ის მა-  
შინ დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, როგორც სე-  
რიოზული პოლიტიკური მოღვაწე, მოაზროვნე და საქმის  
ადამიანი. ყველა ეს შესანიშნავი თვისება მან სასწავლე-  
ბელშიც შეიტანა. ეჭვი არაა, ის დიდ გავლენას მოახდენ-  
და გონებაგახსნილ ახალგაზრდობაზე, მიუხედავად იმისა,

<sup>1)</sup> დ. ყიფიანი: მემუარები, 1930, გვ. 3—8.

<sup>2)</sup> ი. მეუნარგია: ibid., XI.



რომ მცირე ხანს მოუხდა იქ დარჩენა: 1832 წელს იქ შეიპყრეს შეთქმულებაში მონაწილეობისათვის და სამშობლო ქვეყანას განაშორეს. დოდაშვილი გადასახლებიდან აღარ დაბრუნებულა.

კეთილშობილთა სასწავლებლის (შემდგომ—გიმნაზიის) ატმოსფერო აუტანელი იყო ნიჭიერი ახალგაზრდობისათვის. არსებითად სკოლა მათ არაფერს აძლევდა. კოდნის შეძენა მათთვის პირადი წყურვილითა და თაოსნობით შეიძლებოდა, ხოლო დამოუკიდებელი აზრის შემუშავება—მალევით.

მოსწავლეთა მოწინავე ჯგუფს დაუარსებია ხელნაწერი ურნალი “Цветок Тифлисской Гимназии”. 1916 წელს მიხეილ თუმანიშვილის არქივში გიორგი თუმანიშვილმა აღმოაჩინა ამ ურნალის ოთხი ნომერი. სულ გამოსულა ხუთი ნომერი 1835—1836 წლების განმავლობაში. აქედან, სამწუხაროდ, დაკარგულია მეოთხე ნომერი, ჩვენთვის ყველაზე უფრო საინტერესო, სადაც მოთავსებული ყოფილა ნ. ბარათაშვილის წერილები. <sup>1)</sup>)

ხელნაწერი ურნალის არსებობა და ის მასალა, რომელიც მოთავსებულია მასში, ააშკარავებს იმდროის ახალგაზრდობის გონიერივ სიმწიფეს, ინტერესთა მრავალფეროვანობას და ღიტერატურულ გემოვნებას.

ურნალის დამაარსებელი და ხელმძღვანელი ყოფილა ტატოს უფროსი მეგობარი მიხეილ ბირთველის ძე თუმანიშვილი, შემდგომ ცნობილი ურნალისტი და პოეტი, რომელიც მხატვრული შემოქმედებით ენათესავებოდა ბარათაშვილს. ურნალი როდი ისახავდა მიზნად მარტო სიტყვაკაზმული მწერლობის ამოცანებს. მისი საგანი იყო გაერკვია აგრეთვე ხელოვნების, მეცნიერების, მრეწველო-

<sup>1)</sup> „სახალხო ფურცელი“, 1916, № 637.

ბისა და სოფლის მეურნეობის საკითხები და, გარდა ამისა, გონივრული დასვენების საზრდოც მიერა მყითხველობის. თავისი ვრცელი და მრავალფეროვანი პროგრამით იგი მოგვაგონებს იმუამად გავრცელებულ უწრნალს „Библиотека для чтения“. მაგრამ ამ ვრცელ პროგრამას აერთებს განწყობილების მთლიანი სული. რაში გამოიხატება იგი?

მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევარი მძაფრი ისტორიული ცვლილების პერიოდია საქართველოს ცხოვრებაში. ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ამ ცვლილებებმა ოვითონ უმაღლეს არისტოკრატიაში შეიტანეს განხეთქილება. მისი უმცირესი ნაწილი რუსეთის კოლონიალური პოლიტიკის დასაყრდენად გადაიქცა პოლიტიკური ვითარების შეცვლის უმაღლეს, ხოლო უდიდესმა ნაწილმა მახვილი აიღო ხელში. გასული საუკუნის პირველ ათეულ წლებში უთუოდ ამ უკანასკნელი ჯგუფის პოლიტიკური სულისკვეთების დომინანტა გვაქვს. ეს იყო პოლიტიკური და ლიტერატურული რომანტიზმის ეპოქა, როცა უგვირგვინოდ დარჩენილი არისტოკრატიის ბოლმა და აღშფოთება უძლურებით გამოწვეული მწუხარება და სევდა, ერთი მეორეში არეული, ერთი მეორეზე გადახლართული, თავ-განწირვით ეხეთ ქებოდა რუსეთიდან მოგარდნილ ქოლონიზატორულ ნიაღვარს. ეს განწყობილება იმდენად მძლავრი და საყოველთაო იყო, რომ მისი ხმაური კეთილშობილ-თა სასწავლებლის (შემდგომ ტფილისის პირველი გიმნაზიის) სქელ კედლებსაც ატანდა და ძლიერ გამოხმაურებას პოულობდა გონებაგახსნილ ახალგაზრდობაში.

ფრიად დამახასიათებელია, რომ გიმნაზიის ხელნაწერ უწრნალში ვერ შევხდებით ოფიციალურ ხოტბას მონარქიის მისამართით. ახალგაზრდა მწერლების აზრი და ფიქრი საქართველოს ისტორიის გმირთა სახელებს შე-

უპყრია, მათი პოლიტიკური და ლიტერატურული სოფლ-  
შედეველობა რომანტიზმის გავლენას დამორჩილებია.  
**უურნალში** მოთავსებული პოეზიის მაგისტრალური  
ფონი რომანტიკული ხევდაა.

აი მაგალითად სტროქონები მიხეილ თუმანიშვილის  
ლექსიდან:

К чему друзья дары фортуны?  
К чему нам слава юных лет?  
Изменчив славы блеск мишурный,  
Опасен счаствия обет.

მეხუთე ნომერში მოთავსებულ ვილემსის ლექსს ტიპი-  
ური რომანტიკული სათაური აქვს: „მსოფლიო ამაოება“.  
განსაცვიდობელია ასეთი უცოდველი ჭაბუკების პესი-  
მიზმი, მათი ფიქრი ამაოებაზე, მათი სურვილი გაექცნენ  
ქალაქის აურზაურს და სოფლის მყუდროებას შეაფარონ  
თავი!

ზოგიერთ ლექსში ანაკრეონიზმის ნოტები ისმის:  
ჩქარა, შესვი ცხოვრების სიტკბოება, თორემ სიჭაბუკე  
გაივლის და მკაცრი სინამდვილე გაგტეხავს წელში! ცხა-  
დია, ეს ანაკრეონიზმიც რომანტიკული განწყობილების  
შედეგია, „მსოფლიო ამაოების“ სევდითაა ნაკარნახევი.<sup>1)</sup>

ჩვენთვის განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ ტფი-  
ლისის გიმნაზიის ახალგაზრდა პოეტების და მწერლების  
აზრსა და ფიქრს ბარათაშვილური სულისკვეთება დაუ-  
ფლებია. ესეც საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ

1) შემცდარია მ. გ. თუმანიშვილის აზრი, თითქოს ამ ლექსში  
სრულიად სხვა განწყობილება მოჩანდეს. პირიქით, განწყობილების  
მთლიანობა ისე ნათელია, რომ აზრთა სხვაობისათვის იორის  
ოდენა საფუძველიც არ არსებობს. (იხ. მისი საინტერესო წერილი  
„თბილისის ახალგაზრდობის ლიტერატურული წრე ასი წლის  
წინათ“, „საბჭოთა ხელოვნება“. 1937, N 1).

ჩვენი პოეტის სოფლმხედველობა მისი განმარტოებული  
და მეამბოხე სულის ინდივიდუალური ნაყოფი გრძელი იყო,  
არამედ მთელი თაობის აზრთაშეცობა და განცდა.

რა ეკუთვნის ამ ეურნალებში ნ. ბარათაშვილს?

როგორც აღვნიშნე, დაკარგულია მეოთხე ნომერი,  
სადაც მოთავსებული იყო მისი კორესპონდენცია(?) „Пись-  
мо из деревни“ და ისტორიული ნარკვევი „О папской  
власти“. ცხადია, ორივე წერილი საინტერესო მასალას  
მოგვცემდა ჩვენი პოეტის შესახებ. სამართლიანად წერს  
ა. გაწერელია: „Маრტин Гюмнахиони პროგრამის გავლენით  
არ შეიძლება ავხსნათ ასეთი ნარკვევის დაწერის იდეა...  
აქ ჩანს ახალგაზრდა პოეტის ვრცელი გონებრივი ჰო-  
რიზონტი“.<sup>1)</sup>

საერთოდ ნ. ბარათაშვილს უთუოდ ფართო ცოდნა  
ჰქონდა, რისთვისაც თანამედროვენი დიდად აფასებდნენ.  
ეს ჩანს შემდეგი ფაქტიდან. შიხეილ ბარათაშვილმა (1784 – 1856) 1844 წელს გამოსცა შესანიშნავი შრომა:  
„Нумизматические факты грузинского царства“, რო-  
მელმაც ევროპელ მეცნიერთა ყურადღება მიიპყრო.  
ამ წიგნთან ერთად მიხეილმა მელიტონს გამოუგზავნა  
წერილი, სადაც სხვათა შორის სწერდა: „Меरტის მეტად  
გამეხარდება ჩვენი საერთო საყვარელი თ. ნიკოლოზ მელი-  
ტონის-ძე თუ თავის უხევის ცოდნითა და ნიჭით შეავსებდა  
თავის მოხუცი ბაპის პირველ ნაშრომს, განსაკუთრებით  
ისეთი ამბების მოთხოვნით, რომელშიაც მონაწილეობას  
იღებდნენ ბარათაშვილების მხცოვან ოჯახის წინაპრე-  
ბი“.<sup>2)</sup>

1) „ნიკ. ბარათაშვილის უცნობი ნაწერები“, „ლიტერატურული  
საქართველო“, 1931, № 19.

2) პოეტის თხზულებათა 1922 წლის გამოცემა, გვ. 144. ბარა-  
თაშვილის ცოდნაზე ყოვლად ყალბი და შეუსაბამო აზრი გამოთქვა  
ერთხელ არტურ ლეისტმა („საქართველოს გული“, წიგნი მეორე  
1927, გვ. 21).

უურნალის მეორე ნომერში მოთავსებულია „თარგმანი „ვისრამიანიდან“: Плач Шахро по Висси. Отрывок из грузинского романа Вис-Рамиапи. Соч. С. Тмогвели. ჯერ კიდევ 1916 წელს გ. თუმანიშვილმა, რომელმაც აღმოაჩინა ეს უურნალები თავისი მამის არქივში, ამ თარგმანის ავტორად ნიკოლოზ ბარათაშვილი გამოაცხადა, მაგრამ რას ემყარებოდა იგი, არ ჩანს. პოეტი ი. გრიშაშვილი და ა. გაშვირელიაც მთარგმნელად ბარათაშვილს ასახელებენ, მ. გ. თუმანიშვილის აზრით კი, თარგმანი უურნალის რედაქტორს — მ. გ. თუმანიშვილს ეკუთვნის<sup>1)</sup>. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მთარგმნელის ვინაობის დასადგენად არცერთს არ მოეპოვება დაწარწმუნებელი საბუთი.

\* \* \*

მოუსვენარი, ცელქი, ნერვიული, მოჩხუბარი, მაგრამ გულკეთილი და ტოლამხანაგების მოყვარული, — ასე ახასიათებს ბარათაშვილს ყველა. მრავალი დამცინავი ეპიგრამა დაუწერია და არაერთი ოინი მოუწყვია. სასწავლებელში საცეკვაო კლასიც ჰქონიათ და ტატო ჩინებული მოცეკვავეც ყოფილა. ანცობამ და ოინებმა უბედურებაც შეამთხვიერს. 1832 წელს ორივე ფეხი მოუტეხია, ძლივს გადარჩენილა, მაგრამ მთელი სიცოცხლე კოჭლობდა.

მოვიყვან ერთ ეპიზოდს მისი ოინებიდან.

ერთხელ კეთილშობილთა სასწავლებელში ქართველმა მოწაფეებმა კონცერტი გამართეს. კარგი იყო თუ ცუდი ეს კონცერტი, არავინ იცის, მხოლოდ ეს კია, რომ სომხებმა სასაცილოდ აიგდეს მისი მონაწილეობა. როცა ეს ბარათაშვილმა შეიტყო, ჯავრის ამოსაყრელად სატირა

1) „ტფილისის ახალგაზრდობის ლიტერატურული წრე ასი წლის წინათ“, „საბჭ. ხელოვნება“, 1937, № 1.

დასწერა სომხებზე და, სხვათა შორის, ზოგიერთი ქართველიც შეამკო.



ბარათაშვილის ამხანაგებმა კონვერტში ჩასდეს სატირა და ფანჯრიდან ქუჩაში გადააგდეს. როცა ეფექტი ვერ მიიღეს, ლექსი ხელახლა გადასწერეს და ფოსტის დამტარებელს „კნილაში“ ჩაუდეს დაბეჭდილი პაკეტით, რომელზედაც დააწერეს: მიერთვას - თავად-აზნაურობის წინამძლოლს თ. ფალავანდიშვილს. ალბათ დიდი სააწინაღმდეგო რამ უნდა წერებულყო ამ ლექსში, რომ მთავრობამ ასე დიდი ყურადღება მიაქცია... იმავე საღამოს სასწავლებელში მოვიდნენ: უანდარმის ოუიცერი, პროკურორი, პოლიციის უფროსი... ამხანაგებმა კაცი აფრინეს ტატოსთან (ტატო თუმცა პანსიონში იყო, მაგრამ ლამით შინ მიდიოდა)... საქმე ასე დაბოლოვდა: მთავარმართებლის გოლოვინის ბრძანებით დამნაშავენი — ბარათაშვილი და პეტრე ბაგრატიონი დასასჯელად გაგზავნეს მშობლებთან. ამ ბრძანების თანახმად ტატო წაუყვანეს მის მრისხანე მამას. უნდა გენახათ პროცესია: წინ მიდიოდა დამნაშავე, უკან მისდევდნენ გუვერნიორი და გუვერნიორს დარაჯი „როზგით“. ადვილი წარმოსადგენია, რა დღე დაადგებოდა თოთხმეტ-ხუთმეტი წლის ვოლტერს თავისი სატირისათვის. იმის სახარულით, რომ შვილი სკოლიდან არ გამოურიცხეს, მამამ იმდენი სცემა, რომ კინაღამ სული აშოართვა.<sup>1)</sup>

<sup>1)</sup> ი. მეუნარგია: *ibid.*, XIV—XVI.

3. პოეტი და ადამიანი



## მაგა და შვილი

**გ**ელიტონ ბარათაშვილის ოჯახს მყუდროება აკლდა. ჯერ ერთი მელიტონი მაინცა და მაინც თავს არ იტკიებდა თავისი შვილის სასკოლო მუშაობის წესიერებისათვის. სახელმძღვანელოების ყიდვა სახლში ვაივაგლახსა და აურზაურს იწვევდა, მაშინ როდესაც ქეიფისათვის უკანასკნელ გროშს იმეტებდნენ. ადვილი წარმოსადგენია, რაოდენ მწკივნეული უნდა ყოფილიყო ეს ისეთი პუნქტუალური და გულისხმიერი მოწაფისათვის, როგორიც ნიკოლოზი იყო. ი. მეუნარგია გადმოგვცემს ლევან მელიქიშვილისაგან გაგონილ ამბავს, რომელიც საკმაოდ ახასიათებს მელიტონის დამოკიდებულებას მოსწავლე შვილისადმი:

„დოდაშვილმა თვითონ შეადგინა შეგირდებისათვის ლრამატიკა — გრეჩის წიგნი გადმოაკეთა — და დაბეჭდა თუ არა, გასცა კლასებში ბრძანება, ეყიდნათ მისი თხზულება. ბრძანება ყველამ აღასრულა, ბარათაშვილის გარდა. ამის ფული ვერ ეშოვა. როცა ავტორი-მასწავლებელი, შემოვიდა კლასში და კმაყოფით გადახედა შეგირდებს, რომელთაც წინ ეწყოთ მისი ახალი თხზულება, შენიშნა, რომ ბარათაშვილს წიგნი არ ჰქონდა.

— ბარათაშვილო!

— ბატონო!

— მამა შენი რა არის, ლოტრანგია თუ ქართველი?

— ქართველი გახლავთ, შენი ჭირიმე.

— მაშ რატომ წიგნი არ უყიდნია? წადი და მოახსენე: თუ დღესვე წიგნი არ გქონია, კლასში არ შემოგიშობ,

შეტი რა ლონე იყო. ამ ულტიმატუმისა შემინდ პო-  
ტის მამა და აყიდვინა იმას ერთის ვაი ვაგლახით დოდ-  
შვილის სწორმეტყველება.“ <sup>1)</sup>

ამას დაუმატეთ მელიტონის ანჩხლი და მყვირალა ხა-  
სიათი, ხშირად ცხარე ცრემლს რომ აღვრევინებდა  
ოჯახის წევრებს და ადვილი წარმოსადგენი იქნება ის  
მამა-შვილური კონფლიქტი, რომელიც ბარათაშვილის  
ბიოგრაფების ცნობებში გვხვდება.

ნიკოლოზი არაფრით გვანდა თავის მამას. ადამიანუ-  
რი ლირსების დამამცირებელი თვისებები სრულიად უც-  
ხო იყო მისი ბუნებასთვის. ის იყო ბავშვივით ჩვილი  
გულის ადამიანი, ყველასთვის საყვარელი პიროვნება.  
„ნიკოლოზს სიკვდილამდისრნ ჰქონდა შეუცვლელი მეგობ-  
რული კავშირი თავის ტოლამხანაგებთან, იმათ შორის  
ჩემთანაცო“, წერს კ. ჩიმაცაშვილი. და განა მის პოეზიას,  
რომელსაც თავის იდეალად ადამიანის მაღალი ზნეობა  
გაუხდია და ადამიანობისათვის წამებულა, კიდევ სჭირია  
მოწმე?

ბარათაშვილმა შემოიტანა მეცხრამეტე საუკუნის შეერ-  
ლობაში უდიდესი მორალური ცნება სულის მშვენიერე-  
ბისა. თვალისათვის სასიამოვნო შესახედაობა, გარეგნული  
მიმზიდველობა, ფიზიკური სილამაზე არაფერია კაცისა-  
თვის, თუ მისი გულისთქმა არაა წრფელი, უმშიკვლო,  
მოსიკვარულე (ლექსი: „რად პყვედრი კაცსა, ბანოვანო,  
პირუმტკიცობას“.).

ჯერ კიდევ სრულიად ჭაბუკმა სიყვარულით გამობა-  
რი ლექსით უმღერა უბიშო ტრფიალებას, ჰაეროვანს,  
კეთილი გულის ქალწულს. (ლექსი: „ქეოვან“). „კაცთა  
სიავით“ გულმოკლული იყო პოეტი (ლექსი: „ვპოვე ტა-

<sup>1)</sup> ი. მეუნარგა: ibid., X—XI.

ძარი“). მისი ლოცვა ველჩებაა ბოროტლელვილივნებები—  
საგან განწმენდისათვის (ლექსი: „ჩემი ლოცვა“). აი რა  
იყო მისი ნატურა:

მინდა მზე ვიყო, რომ სხივნი  
ჩემს დღეთა გარსა მოვავლო,  
საღამოს მისთვის შთავიდე,  
რომ დილა უფრო ვაცხოვლო;  
მინდა რომ ვიყო ვარსკვლავი,  
განთიადისა მორბედი,  
რომ ჩემს აღმოსვლას ელოდნენ  
ტყეთა ფრინველნი და ვარდი;  
მინდა შენ იყო, სატრფოო,  
მშვენიერისა ცის ცვარი,  
რომ განაცოცხლო, შავარნო,  
მდელო სიცხითა დამჭკნარი:  
არეს ავსებდენ სიამით,  
მცენარეთ განმაცხოვლელად,  
იყვნენ მარადის, ჟხსნელად,  
სოფლისა განსათავებლად!  
ნუთუ ამ სულის წაღილსაც  
ჰრქვა სიყვარული სხვათაებრ?

(„ლექსიდან: „არ უკიუინო სატრფოო“)

მე ვფიქრობ, მაინც არ იქნებოდა სწორი, თუ მამა-  
შვილის უთანხმოებას მარტო ხასიათთა შეუთავესებლობას  
მივაწერდით. ზ. ჭიჭინაძის ცნობით, ივ. კერესელიძეს  
უთქვამს: ნიკოლოზი სწორედ მამის „უგვან წესებს ვერ  
ეთვისებოდა და მიტომ არც ენატრებოდა მასთან ცხოვ-  
რებაო“.<sup>1)</sup> ნამდვილი მიზეზი ამაზე შეტი უნდა იყოს. <sup>2)</sup>

1) „საქ. ბატონიშვილის ფაქტიური მასალები“, 1922, ტ VI, 385.

2) დიდად საოცარია და საწყენი, რომ არც მელიტონი, არც პოე-  
ტის დები არ აფასებდნენ ნიკოლოზის პოეზიას. ქოტე ყიფიანი გად-



ჩვენ ზევით ვნახეთ, რომ ნიკოლოზ უბარძოშვილის  
პოლიტიკური და სოციალური აზროვნება რადიკალურად  
განსხვავდებოდა მელიტონის შემარიცებელი პოზიციისა-  
გან. ჩვენი პოეტი დიდი გულისტკივილით განიცდიდა  
ქართლის ბედს. ჭაბუქობის უამს ეს იყო მისი ჭმუნვისა  
და დრტვინვის უმთავრესი საგანი. პოეტის ცრემლდაყ-  
რილ სტრიქონებში ეროვნული სპლინია დაგუბებული.  
თუ შელიტონს თავი მოსწონდა, რომ ცეცხლითა და მახ-  
ვილით ანადგურებდა აჯანყების გზაზე დამდგარ ხალხს,  
ნიკოლოზ ბარათაშვილის სიმპათიები 1832 წლის შეთქ-  
მულთა მხარეზე იყო. პოეტს უგუნურებად მიაჩნდა სა-  
ქართველოს პოლიტიკური ბედის დაკავშირება მაშინდელ  
რუსეთთან, რომლის ხელისუფალთ მხოლოდ კოლონიზა-  
ტორული განზრახვები ამოძრავებდათ. „ხჯულის ერთო-  
ბა“, რომელიც პოლიტიკური ერთობის საფუძვლად მია-  
ჩნდა ირაკლის, ბარათაშვილისათვის სრულიად არ წარ-  
მოადგენდა ანგარიშგასაწევ დებულებას.

სახელმწიფოსა სჯულის ერთობა  
არა რას არგებს, ოდეს თვისება  
ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს.

მოგვცემს თავის დებიაგან გაგონილს: „...ძალიან მიკვირდა, რომ  
ამ დებმა არცერთი ლექსი თავიანთი ძმისა არ იცოდნენ. როდესაც  
იმათთან ჩვენ ვაქებდით და ვადიდებდით ჩვენს პოეტს, ისინი რო-  
გორლაც უნდობლად იღიმებოდნენ ჩოლმე“. და ეს მაშინ, როცა ბა-  
რათაშვილია „სულო ბოროტოს“ პოეტის სიცოცხლეშივე მღეროდ-  
ნენ კულტურულ ოჯახებში. გასაოცარია ისიც, რომ ნიკოლოზის  
სიკვდილის ჩემდევ, ლ. მელიქიშვილის ცნობით, პოეტის პატივის-  
მცემლებმა 1000 მანეთი შეკრიბეს და მელიტონს გადასცეს მის ლექ-  
სთა კრებულის გამოსაცემად, მაგრამ მელიტონს ამ ფულიდან მარ-  
ტო პანაშვილი გადაუზდია და, ვვუნებ, უბრალო ფიქალი დაუდვია  
მის საფლავზე, კრებული კი არ გამოუცია. რამდენი ლექსი გადაურ-  
ჩებოდა დაკარგდა!

დასასრულ გავიხსენოთ ის მოურიდებელი და მყაცრი საყვედური, რომლითაც პოეტმა ირაკლი შეფეს შიმართა. რა სითამამეა, რა მოსაწონი პირდაპირობა, და ბოლოს, როგორი რადიკალიზმი იმ დროის ლეგიტიმისტურად გან-წყობილი საზოგადოებრივი აზრისათვის.

მაგრამ შენ, მეფევ, ვინ მოგცა ნება—  
სხვას განუბოძო შენ ყმათ ცხოვრება,  
მისდევდე შენსა გულისკვეთებას  
და უთრგუნვიდე თავისუფლებას?  
შენ ერმან მოგცა პირველ ლირსება,  
რათა დაუცვა ყოფაცხოვრება,  
და რად ივიწყებ, რომე მარაჯის  
მეფის გულისთქმა ერსა ეკუთვნის!..

6. ბარათაშვილის პოლიტიკურ სოფლმხედველობაზე უეჭველად დიდი გავლენა ჰქონდა სოლომონ დოდაშვილს. ჩვენ ვიცით, რომ დოდაშვილი მელიტონის ოჯახში დაიარებოდა. შემდეგ მას გიმნაზიის მასწავლებლად ვხედავთ და ნიკოლოზს—მრს მოწაფედ. მაგრამ ეს გავლენა, რა თქმა უნდა, არ მიღიოდა ისე შორს, როგორც ზაქარია ჭიჭინაძეს წარმოუდგენია: სოლომონ დოდაშვილი რომ არ ყოფილიყო ბარათაშვილის პოეზია უიდეო და ცარიელი ჩონჩხი იქნებოდა. <sup>1)</sup> ეს განცხადება უთუოდ უსაუკველოა, თუმცა გავლენა მაინც უდაოდ იყო და უეჭველია ნაყოფიერიც. სოლომონ დოდაშვილისაგან გაეცნობოდა პოეტი 1832 წლის შეთქმულების პოლიტიკურ პრინციპებს. ეს კი ნიშნავდა მთელი ოპოზიციური ჯგუფის იდეოლოგიური საჭრველის გაცნობას. უნდა ვიგულისხმოთ,

<sup>1)</sup> ზ. ჭიჭინაძე: „სოლ. დოდაშვილი და ნიკ. ბარათაშვილი“, გვ. 15.

რომ ბარათაშვილი ამ ჯგუფის საქმიანობაშია იწებოდა ჩახედული. სადამდე შიდიოდა ეს, ძნელი სათქმელია, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად რჩება.

შეთქმულების აღმოჩენის შემდეგ, ნიკოლოზიც გაუჩხრევიათ. აი რას მოგვითხრობს პოეტის ნაამხანაგარი გრიგოლ გურიელი: ბარათაშვილი და მე ერთ სკამზე ვიჯებით. ტატო გაჩხრევას მოელოდა. მას მრავალი ლექსი ჰქონდა დაწერილი რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ. ერთ დღეს შინ ადრე წავიდა და მეც თან წიმიუვანა, ყველა თავისი ნაწერი ბუხარში შეყარა და ცეცხლს მისცა. ის ის იყო ყველაფერი ცეცხლმა შთანთქა, რომ პოლიციელებიც გვეწვივნენ. ყველაფერი სასტიკად გაჩხრივეს. მერე ტატოს სხვადასხვა ლექსებს უჩვენებდნენ და ეკითხებოდნენ: შენი დაწერილი ხომ არ არისო? ტატო უარს ეუბნებოდა.

ჩხრევის შემდეგ უთხრეს: დაპატიმრებული ხარ, როგორც სოლომონ დოდაშვილის მეგობარიო. ტატომ განუმარტა: მე მისი მეგობარი კი არა ვარ, არამედ ყოფილი მოწაფე; დოდაშვილი მხოლოდ რუსულ სახელმძღვანელო წიგნებს მაკითხებდათ. ამას სხვებიც დაასაბუთებენ.

მაგრამ არ დაუჯერეს, დაპატიმრეს და თან წიყვანეს. სულ ორი კვირა გასტანა ამ პატიმრობამ...<sup>1)</sup>

1832 წლის შეთქმულების დამარცხების შემდეგ, რაიც ქართველი არისტოკრატიის მეამბოხე იდეების სრულს და საბოლოო კატასტროფას წარმოადგენდა, ნიკოლოზ ბარათაშვილის სულში ძლიერი მწუხარება დაბინავდა. გულგატეხილი პოეტი ემდურის ბედასა და ქართველობას. მისი აზრით, ეს საბედისწერო კატასტროფა ეროვნული დაქსაქსულობისა და დაუძლეურების შედეგი უნდა ყოფი-

<sup>1)</sup> ჟ. ჭიჭინაძე: ibid., 17.

ლიყო. „ქართველი თავისიანს არ გამოატევებოს“, ჩივის  
პოეტი.

ბარათაშვილისათვის უაღრესად დამახასიათებელია  
ის ეპიზოდი მისი ცხოვრებიდან, რომელიც პოეტის მე-  
გობარმა კ. მამაცაშვილმა შეგვინახა.

„მახსოვეს ერთ ივლისის ლამეს, 1838 წელს, მე და  
ტატო წავედით სასეირნოდ გარეთუბანს (ახლანდელი  
რუსთაველის პროსპექტი, გ. 6.). ტატო ძალიან მხიარუ-  
ლი იყო და თავისებურად მშვენივრად ხუმრობდა. მერე  
ჩამოვარდა ლაპარაკი ჩვენს წარსულს ცხოვრებაზედ და  
ტრაგიულს დასასრულზედ 18-ის საჭკუნისა, მეფის ირაკ-  
ლის მოხუცებულობის გამო ულონობაზედ, ჩვენის თბი-  
ლისის წახდენაზედ 1795 წელსა 12 სექტემბერს და სხვ..

ამ ლაპარაკის დროს, ნიკოლოზს, ყოველთვის მოცი-  
ნარს და მხიარულს, სახე გამოეცვალა, დაიწყო ხელსა-  
ხოცით ცრემლების წმენდა და ოლელვებულმა მითხრა:

— ჩვენმა უხეირობამ დაგვლუპა!

და ოხვრით დაუმატა:

— გაი ჩეენო ქართლის ბედო!

დიდხანს დავდიოდით თავჩალუნული და მოწყენილი“...

ჩვენ ვიცით, რაოდენ მძლავრია ეროვნული ჰანგი ორი  
დიდი ქართველი რომანტიკოსის — ოლექსანდრე ჭავჭავაძის  
და გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაში. მართალია,  
ბარათაშვილის პოეზიას ქართული მწერლობა მსოფლიო  
ლიტერატურის ორბიტაში შეჰყავს, მაგრამ მისი შემოქმე-  
დება უცვლელად ინარჩუნებს ღრმად ეროვნულ ელფერს  
და ამ მხრით თანამდევრულად აგრძელებს ჩვენი რომან-  
ტიზმის მაგისტრალურ ხაზს.

ავიღოთ მშვენიერი ლექსი: „სუმბული და მწირი“,  
სადაც ბარათაშვილმა ფილოსოფიურად განსაჯა თავის-  
უფლების დიადი პრობლემა.

აი რას ეუბნებოდა მწირი სევდით მოცულ სუმბულს,  
რომელიც ქოთანში ჩაურგავთ და მდიდრულ დარბაზში  
მოუთავსებიათ:

ნუთუ ვერ ჰპოვებ აქ სანაცვლოს, ვერც რას  
საამურს,  
სადაც ოქროთი და ვერცხლითა გიმკობენ  
სადგურს;  
სადაცა კაცი შეხს შვენებას ესრეთ ინახავს,  
რომ მჩე ვერ გიჭინობს და სიკივე ვერა  
დაგზარავს?

• . . . .  
სუმბულო ტურუავ, მოიგონე ბკაცრი  
ზამთარი.

მისგან შენ ახლა იქმნებოდი უწყალოდ  
მკვდარი;  
ნახე, რა ძალუძს შენთვის მზრუნველს კაცისა  
ხელსა,  
რომ მისი სუსხი ვერ შეგირყევს ვერც თუ  
ფურცელსა.

სუმბული უპასუხებს მწირს:  
მაგრამ მარქვ, რა არს ჩემთვის სახლი დიდ-  
მშვენიერი,  
ვით გაალიმებს ჩემს შვენებას ხშული ჰაერი:  
არლა მევლება გარე წყარო, ცივი, კამკაში;  
არლა მეცემის დილით გულსა სიცოცხლის  
ნამი.

• . . . .  
ჰე, მწირო, სოფლად ყოველსა აქვს უაში და  
ბოლო,  
მაგრამ ამას ვწუხ, რომ უყამოდ მეღების  
ბოლო!

ზამთრით ბუნება არა ჰკვდება,  შეიცვლის,  
იმოსეის, 

რომ თავისს სატრფოს, გაზაფხულსა,  
განეშორების,

და მყის ვითარის შვენებითა კვლავ  
შეიფურცვლის,  
ოდეს მერცხალნი ახარებენ მოსვლას  
საყვარლის!

ახ, როდის ვნახო მეცა ველად ჩემი  
ბულბული,  
რომ განვიშალო კვლავ სიტტრფით მისი  
სუმბული!

რა შესანიშნავი ლექსია! რა ბრძნულად არის განკვრეტი-  
ლი თავისუფლების სიდიადე და სიამტკბილე! ამ პატარა  
გაბაასებაში ბარათაშვილმა მოკვეთილად, ნათლად და  
აზრიანად გამოთქვა ის უდიდესი ჭეშმარიტება, რომე-  
ლიც მოწინავე ადამიანთა ბრძოლისა და ფიქრის საგანს  
წარმოადგენდა მარადეამ: მონობა უმძიმესი თანჯვაა  
და არარაობა, თავისუფლება—უმაღლესი სიტკვრება  
და ყველაფერი.

მაგრამ ვინ არის ეს „ჩემი ყვავილი“, რომელიც სუმ-  
ბულივით განაშორეს სამშობლო ველს?

—ქართველობა და საქართველო! ასეთია პასუხი,  
რომელიც თავისთავად გვებადება.

აბა შეადარეთ სუმბულის სიტყვებს სოლომონ მსაჯუ-  
ლის მეულლის—სოფიოს შესანიშნავი აზრი:

რა ხელპყრის პატივს ნაზი ბულბული,  
გალიაშია დატყვევებული!

და ველად იგი, ამხანაგო შორის,  
ჭირსაც ვით ლხინსა ერთგვარ დამღერის!  
ესრეთ რას არგებს კაცსაც დიდება,

თუ შოაკლდება თავისუფლება;  
 თავის მამულში მას გაჭირება  
 სხვადასხვა რიგად ენუგეშება:  
 მუნ სულსა სული თვისად მიაჩნის  
 და გულსა გულის პასუხი ესმის!

ასეთი იყო ნიკოლოზ ბარათაშვილის პოლიტიკური შეხდულებანი, რაც არსებითად გამოხატავდა პროტესტანტულად განწყობილი არისტოკრატიის აზრს. პოეტი პრინციპულად, გადაჭრით არ იზიარებდა თავისი მამის შემარიგებელ პოზიციას. უეჭვილია, თუ ამას აშვარად არ ამხელდა, გულში მაინც ორმაღ უკმაყოფილო უნდა ყოფილიყო.

ცნობილია, რომ 1832 წლის შეთქმულების ლიკვიდაციამ საქართველოს არასტოკრატიის შეგნებაში იდეურ-პოლიტიკური პოზიციის გადაფასება გამოიწვია. ამიერიდან ყველა დარწმუნდა, რომ ამბოხების პოლიტიკა უნაყოფო გამოდგა, მან არაფერი მოიტანა, პირიქით მოწინავე ძალები შეიწირა და დაქსაქსა. პირველ ხანს ერთგვარი დაბნეულობა დაეტყო ყველას, მერე თანდათანობით გამოიკვეთა მოქმედების ახალი პროგრამა. ამბოხების ნაცვლად შერიგება—ასეთი იყო ახალი სულისკვეთება. ნიკოლოზ ბარათაშვილიც ამ საერთო მობრუნების ერთერთი მესიტყველ და გამოხატველი შეიქმნა. 1844 წელს მან დასწერა ლექსი: „საფლავი მეუის ირაკლისა“, სადაც ჩვენი ეროვნული მდგომარეობა ახალი თვალსაზრისით არის შეფასებული. პოეტი აღარ ემდურის ირაკლი მეფეს „რუსთ-ხელმწიფობისათვის“. პირიქით, ის ხედავს, რომ პოლიტიკურ ცვლილებას თავისი დადებითი შედეგებიც მოჰყავ:

ფამ-ვითარებით გარდახვეწილთ შენთ შვილთ  
 მიღამო

მოაქვთ მამულში განათლება და სამოსამო  
სადაც აქამდინ ხმლით და ძალით ჰყოლობდა  
ქართველი,  
მუნ სამშვიდობო მოქალაქის მართავს აწ. ხელი!

პოეტის „შერიგება“ აიხსნება აგრეთვე იმით, რომ საქართველოში ახალ პოლიტიკურ ვითარებაში შესძლო აელაგმა თავისი ისტორიული მოსისხლე მტრები და ჯავრიც ამოიყარა მათზე. გამარტლდა ირაკლის წინასწარმეტყველება: „მან (ე. ი. საქართველომ) საფარს ქვეშე მხოლოდ რუსეთის ამოიყაროს ჯავრი სპარსეთისო“ („ბედი ქართლისა“).



ମାର୍ଗତଥିବା

**3** იმნაზიის პერიოდი დასრულდა 1835 წელს. 6. ბა-  
რათაშვილი გამოეთხოვა სასწავლებელს და ცხოვრებაშ  
პარდპარ კანკელარიაში ამოაყოფინა თავი. 1837 წლის  
თებერვალში ნაღვლიანი პოეტი სწერს თავის ბიძას — გრი-  
გოლ ორბელიანს:

„აგერ წელიწადნახევარია, რაც გიმნაზიის კურსი  
დავასრულე და ვიმყოფები სუდაირასპრავაში. წარდევ-  
ნილი ვარ ჩინზე და ჩქარაც მოველი. მაგრამ უნდა აღ-  
ვიარო, რომ არც პანსონში უოფნის დროს, როდენ  
будущность моя представлялась мне в радужных меч-  
таниях и арци მერე, ვიდრე სამსახურში შევიდოდი,  
სულ არ მომსვლია ფიქრად სამოქალაქო სამსახური: ჩემი  
სურვილი იყო ჯარის-კაცობა, იგი მზრდიდა მე აქამძ-  
დენ და ახლაც ხანდისხან შთამოშეპარება ხოლმე გულ-  
ში.“

მაგრამ პოეტს არ ელირსა სურვილის ასრულება. მამის ქონქბრივი მდგომარეობა ამ დროს იმდენად შერყეული იყო, რომ შვილს ოჯახის პატრონობაზე უნდა ეფიქრა. ჯერ ეს არ გაუმტილეს და მიზეზად სიკოჭლე მოიყვანეს; მაგრამ როდესაც შვილმა უნივერსიტეტში გაგზავნა ითხოვა, მაშინ სახლის გარემოებაზე მიუთითეს. ნიკოლოზი იძულებული იყო მკაცრ ბედს დამორჩილებოდა და სამსახურში განწევებულიყო. 1836 წლის ივლისიდან საქართველოს უდიდესში პოეტმა პატარა მოხელის

ადგილზე დაიწყო მუშაობა უზენაესი მართვილობის ქა-  
მოსამართლო განცოფილებიში (Экспедиция суда и рас-  
правы).

ნიკოლოზ ბარათაშვილი მეტად მწვავედ განიცდიდა  
ბედის ამ საშინელ დაცინვას. იმავე წელს პოეტი ვრ. ორ-  
ბელიანს სწერს: „Круг чиновников не выгоден для обро-  
зования нравственности“.

დიდად საყურადღებოა ეს სტრიქონი. პოეტის აზ-  
რით, ზნეობრივობა ის უმაღლესი ინსტანციაა, ხადაც  
უნდა განისაჯოს აღამიანის ღირსება.

მორალური პრინციპების სისკეტაკე ცველაზე მეტად  
მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს მოეთხოვება. უდიდე-  
სი კმაყოფილების გრძნობით უნდა აღინიშნოს, რომ  
ქართულ კლასიკურ მწერლობას თავის უდიდეს დანიშნუ-  
ლებად მიაჩნია მორალური იდეების ქადაგება. ამ მაღალი  
დანიშნულების ტრადიცია რუსთაველიდან მოდის და ჩაუ-  
ქრობელი შარავანდედით მოსავს ჩვენი მწერლობის მაღალ  
შუბლს. მამუკა ბარათაშვილის, დავით გურამიშვილის,  
გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის და სხვა-  
თა შემოქმედება და ღვაწლი წარმოადგენს დიდი ჰუმა-  
ნიურობისადმი, ადამიანური ღირსებისადმი, კაცური კა-  
ცობისადმი მიმართულ მგზნებარე აპოლოგიას.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრების გზა მუდამ მძიმე  
და ეკლიანი იყო. დახმარებაზე მაინცა და მაინც არავინ  
იწუხებდა თავს. ყველაზე მეტი საყვედლური უთუოდ გრი-  
გოლ ორბელიანს ეთქმის. ზაქარია ორბელიანთან მიწერილ  
წერილში „ავარიის მთავარი“ რჩქვითა და სინანულით წერს  
„ურჩიე მელიტონს, რომ ეცადოს на казенном изждивении  
იმის გაგზავნა რომელსამე უნივერსიტეტში.— Жаль очень  
будет если умственные его способности останутся без  
развития.— ნეტავი გამოგზავნოს დერბასკის უნივერ-  
სიტეტში.

სიტეტში, რომელიც არის უპირველესი რუსეთში. ძალიან ადვილია ამის აღსრულება თუ მელიტონ ქსთხოვს ბარონს“<sup>1)</sup>

სამწუხაროდ არავითარი საფუძველი არ გვაქვს, ამ რჩევისა და სინანულის იქით რაიმე ხელშესახები დახმარება ვეძიოთ, რომელიც გრიგოლ ორბელიანის პიროვნებას, ძალას და გავლენას უფრო შეეფერებოდა. ნიკოლოზის მუდარას ყოველთვის სიტყვიერი გამოუხმაურება და „მწუხარების გაზიარება“ მოსდევდა. თითქოს ამის საპასუხოდ სწერდა პოეტი თავის გავლენიან ბიძას:

„შინაგანი ხმა მიწევს საუკეთესო ხვედრისაკენ, გული მეუბნება, რომ შენ არა ხარ ახლანდელის მდგომარეობისათვის დაბადებულიო!.. ნუ გძინავსო! მე არა მძინავს, მაგრამ კაცი მინდა, რომ ამ პატარა ლრე-კლდეს გაზიყვანოს და დავდგე გაშლილს ადგილს. ოჰ, რა თავისუფლად ამოვისუნთქავ მაშინ, რა ხელმწიფურად გარდავხედავ ჩემს ასპარეზსა! ჩემი ფიქრი მანდეო მოჰქმდის. ეცადე რომა რენენკამპთან დამანიშვნინო. ხომ ამ პირობით წახველ, რომ ეს მოგეხდინა ჩემთვის. ვიცი დაგავიწყდა, მაგრამ არა, არ დაგვიწყებია. ეს იმ სნეულების ბრალია, რომლისა გამოც ქართველი თავისიანს . რ გამოადგება... მე ახლავ მიტყობს გული, რომ ამ ჩემს მხურვალეს განპიჯას გამიტრიზვებ: ემირობა მასხარად აიგდე და მომავლის დიდების ფიქრს. რას უზავ? სხვებრ შენ იცი“<sup>2)</sup>)

მსუბუქი ირონიის საბურველიდან გამოსჭვივის გულნატკენი პოეტის მოურიდებელი და სამართლიანი გულისწყრომა.

1) ბარათაშვილის თხზულებათა 1922 წლის გამოცემა, გვ. 243.

2) Ibid., 104.

1836 წელს ბარათაშვილი „ჩუმი ნაღველითაა“ შეკვე-  
რობილი. მისი ლექსი „ხმა იდუშალი“ პირდაპირ იმერ-  
ჩებს გრ. ორბელიანთან მიწერილი ბარათის აზრსა და  
ტონს. „შინაგანი ხმა მიწევს საუკეთესო ხვედრისა-  
კენ, გული მეუბნება, რომ შენ არა ხარ ახლანდელის  
მდგომარეობისათვის დაბადებულიო“...

„ეძე, ყმაო შეჩ მხვედრი შენი,

ვინძლო იპოვო შენი საშვენი!“

შაგრამ მე მხვედრსა ჩემსა ვერ ვჰპოვებ  
და მით კაეშანს ვერდა ვიშორებ!

ვისია ეს საჯვირველი ხმა? ხომ არაა იგი შეუწყალო სინი-  
დისის ქენჯნა? არა, ზეობრივად უმანკო პოეტი თავის  
არსებაში ვერ ჰპოვებს სულ უმცირეს სიავეს შინაგანი  
ტანჯვისათვის. ეს ხმა მაღალი სულის პოტენციური დუ-  
ლილია, დიდი ინტელექტისა და გრძნობის ამბოხებაა,  
რომელიც თავის წილობას მოითხოვს ამ ხოჯლად.

როს ვჰსცნა მე ჩემი საიდუმლობა,

როს მხვდეს ამ სოფლად ჩემი წილობა?

ბარათაშვილის ტრაგედია ის იყო, რომ მისი დროის  
მახინჯ სინამდვილესთან შეჯახებაში იმსხვრეოდა თავი-  
სუფალი პიროვნების თამამი და სამართლიანი მოთხოვ-  
ნილებანი. თუ ჩვენი პოეტის ბაირონიზმზე ვილაპარაკებია,  
ეს განწყობლება პირველად 1836 წელს დაიბადა და  
მისი მკვეთრი გამოხატულება ამ ლექსში გვაძვს მოცემუ-  
ლი.

სამსახურში შესვლისას ნ. ბარათაშვილისათვის „მორჩი-  
ლებისა“ და „კეთილგონიერების“ პირობა ჩამოურომე-  
ვიათ. ჩანს, 1832 წლის შეთქმულების შემდეგ, ასეთი რამ  
წესად შემოულიათ, თუ ყველასათვის არა, ზოგიერთი  
„საეჭვო“ პირისათვის მაინც. აი ეს დოკუმენტიც:

„1836 წლის ივლისის 4 დღეს, მე, ქვემოხსენებუ-

ლი, საქართველოს უმაღლესი მთავრობის სასამართლოს  
და დასჯის ექსპედიციას ვაძლევ ამ ხელშეჩილს მასში,  
რომ როგორც აქამდე არ ვეკუთვნოდი, ისე შემდგომაც  
არ მივეკუთვნები საიდუმლო საზოგადოებას.“ ხელს აწერს:  
კანკელარიისტი თავადი ნიკოლოზ ბარათაშვილი.

პუნქტუალობა, რომელიც პოეტს გიმნაზიაში ახასია-  
თებდა, სამსახურშიაც გამოუჩენია. ი. მეუნარგიას მოჰ-  
ყავს გრ. ორბელიანის ნათქვამი:

„პალატის უფროსს ილინსკის არაფრად მოსწონდა,  
რომ შისი სტოლონახალნიკი ასე ბევრს დარბოდა, და  
ერთხელ რევიზია უყო. მაგრამ, რა დაინახა ყველაფერი  
სწორედ ჰქონდა, უთხრა:

— В таком случае продолжайте бегать сколько ва-  
шей душе угодно“.

მოხელის კარიერა დიდად სტანჯავდა პოეტს. ამას  
ემატებოდა მაშინდელი დაკნინებული საზოგადოებრივი  
ცხოვრების მძიმე ატმოსფერო, აუტანელი ისეთი ფაქტი  
გრძნობისა და ინტელექტის ადამიანისათვის, როგორიც  
ბარათაშვილი იყო.

და მართლაც, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება შეი-  
ძლება არასოდეს იყო ესოდენ დაბნეული, უსაგნო და  
უმიზნო, როგორც XIX საუკუნის პირველ ნახევარში,  
როცა რთულმა პოლიტიკურმა და სოციალურმა ცვლი-  
ლებებმა ამდენი სკეპტიკოსი და გზააცდენილი ახალ-  
გაზრდობა დაბადა. დიდი ტანჯვისა და მოწყენილობის  
მომგვრელი იყო ეს საზოგადოებრივი ატმოსფერო ბარა-  
თაშვილისათვის.

დიმ. ყიფიანი წერს:

„იმ დროს, რომელზედაც მე ვლაპარაკობ, ე. ი. მეო-  
ცე წლებში, ტფილისში არავითარი საზოგადო დროს-  
გატარება არ იყო. საიდანმე გაჩნდებოდნენ მოხეტიალე

უონგლიორები ან ჯამბაზები და ისევ წავიდოდნენ, იშვია-  
თად თუ გაიმართებოდა შინაური წარმოდგენა, სადაც  
ქალების როლსაც მამაკაცები ასრულებდნენ. ხანდახან  
შეიკრიბებოდნენ საცეკვაოდ, ჩაგრამ საზოგადოდ ჯერ  
კიდევ ცოტანი იყვნენ მოცეკვავე მანდილოსნები და,  
დროს მიხედვით, კავალრები უფრო ნაკლები.<sup>1)</sup> ახალგაზრ-  
და ოფიცირები თითქმის სულ ომში იყვნენ გაწვეულნი  
ირანში და ფრაკოსანი მოცეკვავე კი სამი-ოთხი თუ მოი-  
ძებნებოდა.<sup>2)</sup>

ირანის შემდეგ ახალი ფრონტი გაიხსნა კავკასიის  
მთებში და ახალგაზრდობამ იქეთ მიაშურა. სწორედ ამა-  
ზე სწერს ნიკოლოზი გრ. ორბელიანს: „ჩვენი ყმაწვილე-  
ბი და ხახვების ფრანტები სულ შამილის დასაჭრად წამო-  
ვიდნენ. ქალაქი მე დამრჩა. მოუსვი ბიჭი! ამისთანა ფარ-  
თე ოკეანე არც ერთს ხომალდს არ შეხვედრია“. (1848 წ.  
23 მაისი).

რა უნდა ეკეთებია კულტურულ კაცს ძველ ტფილის-  
ში? ქეიფი, კარტის თამაში და უმიზნო დროსტარება,—  
ამ მაშინდელი გართობა. ამაზე ამბობს ვახტანგ ორბე-  
ლიანი:

. . . . . შრომის წილ ზარმაცობა,  
სწავლის წილ—სმა და ძილი, ძმობის  
წილ—დავა, მტრობა!  
ზოგთა თავისი ქონება ბითურ-ცხრაში წააგეს  
და თავისი ცოლ-შვილი მშიერ გლახად  
დააგდეს!

1) ამაზე უფრო გვიან, ოსმოციან ჩლეპში ყოფილ ბალერინას  
ანტონელს საცეკვაო კლასი გაუხსნია, სადაც ვაუებს ახლოს არ აკა-  
რებდნენ. ცონბისმოყვარე ჭაბუკები აზუზული იდგნენ ანტონელის  
ბინასთან და ფანჯრებიდაა იჭრიტებოდნენ სა იუკვაო დარბაზში.  
(С. Кишмишев: „Тифлис сороковых годов“, Т., 1894, 12)

2) „მემუარები“, ტ., 1930, 4.

„თუ ჭალაქის ამბავი გინდა — სწერს ნ. ბარათაშვილი გრ. ორბელიანს — სწორე გითხრა ბევრი ჭორიანობა და ჭირიანობაა, ორივე ერთია; მაგრამ ჭირი ტყუილია ამ ხელად და ჭორი კი მართალი, — დიდი დაძერებებია ჭალებისა; დიდი აყალ-მაყალი, დიდი ტირილი; დიდი ლამის თვევაები; დიდი წვეულებაები ერთმანეთის ჯავრით“. (1841 წ. 29 მაისი). ნიკოლოზ ბარათაშვილიც ვერ გაექცეოდა ამ ჭაობს. მისი კერძო წერილებიდან და მეგობართა მოგონებიდან ჩანს, რომ პოეტი ხანდახან ჩათრეულიც ყოფილა ამ ჭაობში. ჩვენ აქ ვერავის დავდებთ ბრალს, ეს უგუნურებაზე მეტი იქნებოდა. 1845 წლის 23 აგვისტოს პოეტი ხუმრობით სწერს მურუტიდან ბაბალე საგინაშვილს: „თუმცა შენ ჭორი არ გიყვარს, მაგრამ ჩემის გულისთვის, ვიცი, რომ გაიგონებ და მასიამოვნებ ამ უბედურს ადგილს... ბატონ ძალუას ელისაბედს მოკითხვას მოგახსენებ; შენმა მზემ ბევრი რამ მაქვს მოსაწერი, მაგრამ ერთს სიტყვასაც არ მოვწერ, მინამ საკუთრალ წიგნი არ მომივა ჭორა-ჭურაებით სავსე“. მეორე წერილში ალექსანდრე საგინაშვილს სწერს: „შენ უნდა მომწერო წიგნი, რომ ტფილისი გატენილია ამბებით“. ნიკოლოზის წერილებიდან ჩანს აგრეთვე, რომ ეს „ჭორა-ჭურაები“, ახალ-ახალი ამბები „ავარიის მა ავარის“ გრიგოლ ორბელიანსაც სჭირებია გასართობად. ნიკოლოზი სწერს მას: „ახალი ამბავი ანუ ჭორი ხომ გიყვარს: ამ ხელად ეს არის, რომ ნ. ალ-ნა ოდესა ი მიღის 9 ივნისს. შენ მანდ გაჯავრდი“, (1844 წ. 23 მაისი <sup>1)</sup>). წაიკითხეთ თვითონ გრ. ორბელიანის კერძო ბარათები და დარწმუნდებით რაოდენ დიდ ადგილს უთმობს პოეტი ახალ-ახალ

1) ნ. ალ-ნა — ნინო ალექსანდრეს ასული ჭავჭავაძე, რომელიც უნუგეშოდ უყვარდა გრ. ორბელიანს.

შერილმანებს. როგორც ჩანს, ეს საზოგადო ხენი ყოფილი და იმ სესხს ყველაზე მშვავედ ნიკოლოზ ბატათაშვილი გრძნობდა.

ქართულ ლიტერატურის ბარითაშვილი წარმოდგენილი ჰყავს მარად მოწყენილ პოეტიდ, რომელიც ცხოვრებისა და იდამიანის დანიშნულების წყეულ კითხებს აღუსია უკურნებელი სევდით. არ იქნებოდა სწორი გვეფიქრა, რომ ასეთია მხოლოდ პოეტური სახე ბარათაშვილისა. ასეთი იყო თავის პირიდ ცხოვრებაშიც და იმ მხრით მის ბოგრაფიასა და შემოქმედებას შორის არავითარი გორჩება ამ არის, თუ ჩას ამბობს პოეტზე დის. კითხიანის მეუღლე: „Был неравногорчив. всегда пахмуренный. Он готов был молчать целый день, если бы с ним не заговаривали“.<sup>1)</sup>

მეტად დამახასიათებელია პოეტის განწყობილებისათვის მაიკო თრთელიანთან მიწერილი ბარათი:

კიდევ შორის ჩემთა ჩემულებისგან მოწყინებაში. ვისაც საგანი აქვს იმის სიამოვნება რა არის იმ საძაგელს ქვეყანაში, რომ ჩემი რა იყოს, რომელიც შენც იცი და დი ხანია ობოლი ვარ. არ დაიჯერებ, მაიკო! სიცოცხლე მამძულებია ამდენის მართობით. ზენ წარმოიდგინე, ბაიკო, სიმწერე იმ კაცის სდგომირეობისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაც, დემიც, მრავალნი მონათეხავენი და მაინც კიდევ ვერ ვის მიმკარებოთ, მაინც კიდევ ობოლია იმ სავაკ და ვრცელს სოფელში. ვინც მაღალის გრძნობის წეჭონი მევანა, ჩას სულ არა ჰქონია, ვისიც გონება მწამდა ზეცარდმო ხიჭად, მას არცა თუ განპსჯა ჰქონია; ვისიცა ცრემლინი შეგონებოდნენ ცრემლად სიბრალულისა, ვაძოშეტაველად მშვენიერის სულისა, თურმე

1) ბარათაშვილი: ოსაულესათა 1922 წლის გამოცემა, გვ. 245.



როდესაც ჩვენ ბარათაშვილის მოწყენილობაზე ვლა ბეჭდი  
პარაკობთ, განა ეს იმას ნიშნავს, რომ მის ცნობისმოყვა  
ვარეობას არ გააღიზიანებდა ცხოვრების ყოველდღიურო-  
ბა, რომ მის ბაგეს არ მიეკარებოდა ლიმილი, ან მისი  
თვალები მუდამ ცრემლნარევი უნდა ყოფილიყო?

სად ან როდის გვინახავს ასეთი აღაშიანი? ეს ხომ  
სულით ავადმყოფის სურათია!

ბარათაშვილი საღი და ნათელი აზრის პოეტი იყო.  
მისი სპლინი ავადმყოფური პუნების შედეგს კი არ წარ-  
მოადგენდა, არამედ სწორი დაკვირვებისა და განსჯის ნა-  
ყოფს. პოეტის ლექსებში: მძლავრ ვნებათალელვასთან ერ-  
თად მკვეთრად იგრძნობა ნათელი ინტელექტი, რომელ-  
საც შეუძლია ღრმად სუბიექტური განცდები ფილოსო-  
ფიური სიმშვიდით გადაგვიშალოს.

ვინ იცის, რა დაუდეგარი აღშფოთება ან გულსაკლავი  
სევდა იმალებოდა პოეტის სულში მაშინ, როცა მის ბა-  
გებს ვარდისფერი ლიმილი ეფინებოდა.

## ბარათაშვილის ფილისი

**ბ**არათაშვილს ჰყავს თავისი საყვარელი არსებანი, ის თავს ევლება ზოგიერთ საგანსა და ნივთს, რომელნიც ნუგაშის სხივსა ჰყენენ მის მარად დაფიქრებულ შუბლს. მისი შემოქმედება ამას თვალსაჩინოდ ამჟღავნებს.

ტფილისი—აი პოეტის საყვარელი არსება, რომელიც მის ცხოველ აღმაფრენას ადამიანური გრძნობიერებით დაუჯილდოვებია. პოეტი ისე მძაფრად გრძნობდა ტფილისის სუნთქვას, როგორც საკუთარი სულის უინტიმეს მოძრაობას.

რამდენი მწველი ფიქრი და ფაქიზი ემოცია გაუზიარა პოეტმა ტფილისის ლანდშაფტებს? ამიტომ მათზე უკეთ ვერავინ ვერ მოგვითხოვთ მის სულისკვეთებას.

ჩვენი რომანტიკოსი პოეტებიდან მხოლოდ ბარათაშვილის პოეზიაში გაცოცხლდა ტფილისის თვალწარმტაცი მშვენიერება, მისი მომხიბვლელი ლანდშაფტები.

მე ამჟამად მხოლოდ ერთი სურათი მაინტერესებს: გაზაფხული ტფილისში.

ვახტანგ მექვსემ ასეთი ლირიკული სტრიქონები უძლვნა ტფილისის მშვენიერებას მაისის თვეში:

რა სჯობს მაისში ტფილისსა,  
ვარდი ვარსკვლავებს ესხასა,  
მწვანედ ლელავდეს გარემო,  
ცის ცვარი მასზე ესხასა...

ფრედერიკა ფონ ფრეიგანგი, რომელმაც 1811 წელს  
ინახულა საქართველოს დედაქალაქი ასეთი მგრძნობიერი  
სტრიქონებით აღწერს გაზაფხულის მობრძანებას ტფი-  
ლისში:

„ტფილისი წარმოადგენს ნანგრევებს, სადაც შიშველი  
კედლებია გამოშვერილი. ეს არის აღა მაჟმად ხანის და  
მისი ჯარის უკანასნელი დარბევის სამწუხარო ძეგლი...

„ქალაქი გარშემორტყმულია ციხის გალავნით, გამო-  
ნაკლისს წარმოადგენს მხოლოდ მდინარის ნაპირი...

„განსაკუთრებით იპყრობდა ჩემს ცნობისმოყვარეობას  
ბაზარი და ქარვასლები... წარმოიდგინეთ გრძელი, ოდ-  
ნავ გამრუდებული და ვიწრო ქუჩა, რომლის ორივე მხა-  
რეზე ჩამწკრივებულია პატარა დუქნები სახურავებით,  
რომლებიც ერთსა და იმავე დროს ქუჩასაც ახურავს.  
აქ იშოვება ყოველგვარი სურსათ-სანოვაგე და საფაჭრო  
საქონელი.

„განსაკუთრებით თვალში გვხვდება ქართული და ირა-  
ნული ქსოვილები, ხალიჩები, შალები, აბრეშუმეული,  
ფირუზები და სხვა... ბოსტნეული, ყურძენი, ბროშეული,  
კომში და სხვა იყიდოებად არის ჩამწკრივებული დუქნე-  
ბის გასწვრივ...

„ქვის ხიდი აერთებს ქალაქს გარეუბანთან ეტკვრის  
მარცხენა ნაპირზე, სადაც მდებარეობს ძალზე ლამაზი  
მთა, სახელად ლაბარი (ავლაბარი). ამ ხიდიდან სტკბები  
მოშეიბულები სანახაობით: ერთი მხრით მოჩანს მტკვარი,  
გენერალ-გუბერნატორის სახლი და მაღლობზე მდებარე  
არსენალი, ქვევით — საავადმყოფო, ბოტანიკური ბალი,  
არტილერიის შენობა. ხოლო უკანა პლანზე აღმართუ-  
ლია კავკასიონის ქედი. მეორე მხარეზე კი იმყოფება  
ქალაქი, ციხე, სახლები და ბაღები, მთის კალთებზე მი-  
მოფანტული...



„აქ გაზაფხულია მთელი თავისი მომხიბვლელობით. ბუნების სილამაზე წარმოადგენს ცხოვრების ერთერთ ყველაზე უფრო აღმგზნებელ სიტკბოებას. საქართველოს ბუნება უაღრესად დიდებულია. საუცხოო დღეები ერთი მეორეს ენაცვლებიან. სიკამიამე და სიკაშკაშე თითქოს უფრო ამაღლებს ცის კამარას. მცენარეული იკვირტება და იფურჩქნება. ჰყავის ნუში. მთელი ბუნება ახალგაზრდავდება და თავს ილამაზებს საუკეთესო სამკაულით. რა არაჩეულებრივი სილამაზეა აქაური მზის ამოსვლა: ცის უამრავი მგალობელი ზეიმობს სინათლის დაბრუნებას. ჰაერი გაულენთილია ათასგვარი ბალზამისებური სურნელებით, რომელსაც აურქვევს მცენარეულთა სამყარო. ადამიანის თვალი ვერა ძლება მისი მრავალფერიანობით და ნორჩი სიმწვანით. მაგრამ ამ აღმგზნებელ და მრავალფერ სიტკბოებას იძლევა მხოლოდ აქიური გაზაფხული და, როგორც ჩანს, გაზაფხულზევე თავდება ბუნების სიტკბოება, რადგან, როგორც ამბობენ, მაისში სიცხე იმდენად დიდია, რომ სიმწვანე ჭინება. ვაგლაბ! ეს ნამდვილი სურათია სიცოცხლის სიტკბოების წარმავლობისა“. 1)

ვისაც უგრძვნია ტფილისის გაზაფხული, ის გულწრფელად დაიჯერებს ფრედერიკა ფონ ფრეიგანგის აღტაცებას. აყვავილებულ მაისში საქართველოს დედაქალაქი იშვიათი ფერებისა და ფაქიზი არომატების სამეცნიეროს წარმოადგენს. მზის ვარაყით მოოქროვილი არემარე წარმტაც ჰეიზაუებად იშლება ადამიანის თვალშინ. ეს ჯადოსნური სანახაობა მართლაც ხელოვანის ყალმის ღირსია.

ნიკოლოზ ბარათაშვილი აღტაცებული იყო ტფილისის

- 1) „ლიტერატურული საქართველო“, 1938, № 9.

გაზაფრულით. მისი მოხდენილი ლექსებიც გალვიშებულ ბერნებას გვიხატავენ, მაისის სიტქბოებით დამთვრალ ლაშტ-შაფტებს დასტრიალებენ თავს. მაგრამ თუ უცხოელი ქალი გატაცებული იყო მწის მომჯადოებელი სპექტრით, რომელიც ფერიდოვანი საბურველით მოსავს საქართველოს დედაქალაქს, ბარათაშვილს უყვარდა „მაისის ღამე, მიბუნდვილი, გრილი და ამო“ („ღამე ყაბახზე“).

ბარათაშვილის ტფილისში მხოლოდ მთვარის შუქია დაფენილი. ეს არის ტიპიური რომანტიული პეიზაჟი.

მხის ჩასვლა ფერებსა და კონტურებს უკარგავს ნივთებს. მთვარის ურცხლისებური შუქი ხავერდისა და აბრეშუმს აფენს. მაშინ პოეტის ცნობიერება საკუთარი ფანტასტიური ნივთებით დაასახლებს გაფერმურთალებულ ლანდშაფტებს, რომელთაც ძლარ შესწევთ ძალა თავისი მკვეთრი ფერებით და მოხაზულობით შეიჭრან პოეტის სულში, დაარღვიონ მისი შინაგანი მყუდროება, შესწყვიტონ წარმოსახვის შემოქმედებითი მუშაობა.

ამიტომ უყვარს რომანტიკოსს მთვარიანი ღამე.

მიყვარს ყაბახის არემარე, თვალად საამო  
მაისის ღამე, მიბუნდვილი, გრილი და ამო;  
მაგრამ უმეტეს მიყვარს ღამე, როს მთვარე  
შუქით

მოჰყენს ყაბახსა და კოჯორი დაპქრის

ნიაგით...

ბარათაშვილს უყვარდა ტფილისის მიღამოებში სეირნობა „ფიქრო გასართველად“. მთაწმინდა, მტკვრის სანაპირო, გარეთუბანი, ყაბახი—მისი საყვარელი ადგილები იყო. ბუნება, რომელიც ცოცხალ არსებად წარმოუდგენია პოეტს, ამშვიდებს მის მღლვარე სულს. განმარტოებული პოეტი მასავით მოწყენილ ლანდშაფტებში პოულობს სანუგეშო თანაგრძნობას.

ერთ წერილში ბარათაშვილი სწერს თავის ბიძას — გრ  
ორბელიანს:


„ამ წარსულს ზაფხულში, ერთს შვენიერს მთვარიანს  
ლამეში, ყაბახზედ დავიარებოდი, სადაც მისმან შვენებამ,  
სატრუოთ მარაქამ, მათმან უწინდელებრ კიდევ დარდი-  
მანდობამ სრულიად განატკბეს სახედველი, აღმიტაცეს  
ფიქრნი, წარმილეს გონება! კოჯრის ნიავის ქროლაზე,  
ძიავ, მერწმუნეთ, ოქვენ მომავონდით, მაშინ მომავონდა  
„გაცეცხლებულთა ლვინისგან შუბლთა კოჯრის ნიავი  
განვიგრილებდეს“ და მაშინვე განვიზრახე, რომ ამ ლამეს  
უთუოთ ალვწერ და გავუგზავნი ძია გრიგორის მეთქი და  
კიდეც ალვასრულე; მით უფრო ჩქარად, რომ ერთმა სა-  
განმა პირველ დამალო გულს კაეშანი“.<sup>1)</sup>

„ლამე ყაბახზედ“ უმშვენიერესი ლექსია ბარათაშვი-  
ლის პოეზიაში. აქ დიდი ხელოვანის გემოვნებით არის  
გამოძერტილი ძველი ტფილისის ბარელიეფი. პოეტი ორი-  
ოდე ფერადით გვაგრძნობინებს გარდასულ დროთა რო-  
მანტიულ სურნელებას. ლექსი სწორედ თავისი სისადავით  
და პოეტური ფერადების ზომიერებით არის შესანიშნავი.  
ეს ფერადები ისეა განლაგებული სტრიქონებში, რომ  
კითხველის ფანტაზია არავითარ ძალდატანებას არ გა-  
ნიცდის.

მაგრამ უფრო თვალწარმტაცია მაისის შწუხრი მთა-  
წმინდაზე.

რა საამო სანახაობა ეშლება ადამიანის თვალს! რო-  
მელ პოეტს დაუხატავს ასეთი მომჯადოებელი სურათი!  
რა ფაქტი საღებავებია, რა სათუთი არომატები! მსოფ-  
ლიოს საუკეთესო რომანტიკოსები აღტაცებაში მოვიდ-  
ნენ ამ წარმტაცი შემოლამებით ბარათაშვილის მთაწმინ-

<sup>1)</sup> პოეტის თხზულებათა 1922 წლის გამოცემა, 90.



და ამ. „მე შენსა მჭვრეტსა მავიწყდების საჭუთროება“, ამპირა პოეტი. ამ ლანდშაფტის მხილველისათვის ეს არაა დაუჯერებელი.

ბარათაშვილის ტფილისი ნამდვილი რომანტიული ქალაქია, როგორც თავისი პანორამით, ისე იმ ფიქრებითა და გრძნობებით, რომლებსაც ის აღძრავს პოეტის სულში. ტფილისის ლანდშაფტები მასში მოწყენილობის, სევდიანობის შთაბეჭდილების სტოკებენ. ასე როდია ყველგან და ყოველთვის. პოეტისათვის საქართველოს ბუნებაში შვება და ხალისი უკრო იგრძნობა, ვიდრე მოწყენილობა. აი როგორი მკვირცხლი ლექსით აღწერა მან არაგვის პირნი, შვებით მომზირნი:

მორბის არაგვი, არაგვიანი,  
თან მოსძახიან მთანი ტყიანი.  
და შეუპოვრად მოუთამაშებს  
გარემო თვისსა ატეხილ ჭალებს.  
ჰოი ადგილნო, არაგვის პირნო,  
მობიბინენო, შვებით მომზირნო,  
ქართველსა გულმან როგორ გაუძლოს,  
ოდეს შვენება თქვენი იხილოს,  
რომ თქვენს ბუჩქებში არა ჩამოხდეს,  
რაც უნდა გზასაც ეშურებოდეს!  
როგორ იქნება არ განისვენოს?  
სამჯერ ხომ მაინც გადაპკრავს ლვინოს,  
ცხენს მოაძმვებს, თვალს მოატყუებს,  
გამოილვიძებს, შუბლს განიგრილებს,  
ერთს ქართველურად კიდევ შესძახებს,  
არაგვი, მაგ შენს გამშვანებულ მთებს,  
და მერე თუნდაც დაუგვიანდეს,  
იგი იმისთვის აღარ დალონდეს!

ვინც ამ ლექსს დაუკვირდება, ის იმ დასკვენამდე შეივა-  
რომ საქირთველოს ბუნება სიცოცხლის წყურველს აღმ-  
რავს ადამიანში, მზიური სიხალისით ათბობს გრძნობებს.  
მაშ რა დაემართა ტფალისს? რამ დაანაოჭა მისი შუბლი,  
რატომაა იგი მდუმარე და მოწყენილი პოეტის სული-  
ვით?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ტფილისის მძიმე ის-  
ტორიული ანნალები უნდა გავიხსენოთ. ჩვენი ლიტერა-  
ტურის მატიანიდან კარგად ვიცით, რომ ისტორიზმი,  
საერთოდ ქართველი რომანტიკოსების შემოქმედებას ძი-  
რითად ტონს აძლევდა. ბარათაშვილის პოეზიის ერთერთი  
დამახასიათებელი ნიშანი სწორედ ეს რომანტიული ის-  
ტორიზმი იყო, რომელიც მის ფანტაზიას უდიდესი ძა-  
ლათ იზიდავდა. ტფილისის ლანდშაფტებში პოეტის ის-  
ტორიულმა სულისკვეთებამ მთელი თავისი ცხოველმყო-  
ფელი ენერგია გამოაჩინა. პოეტი მწუხარე თვალით შეს-  
ცერის დედაქალაქის გულზე მიმოფანტულ ნანგრევებს  
და მის ცნობიერებაში მოგონებებად იშლებიან ჩვენი  
წარსულის სისხლიანი ანნალები. აი რატომაა მოწყენილი  
ტფილისი, აი რატომ ირხევა სევდიანად მტკვრის პირას  
მდგომი მედიდური ჩინარი, აი რად ოხრავენ მტკვრის  
მღვრიე ზეირთები...

ვინ იცის, მტკვარო, რას ბუტბუტებ, ვისთვის  
რას იტყვი?  
მრავალ დროების მოწამე ხარ, მაგრამ ხარ  
უტყვი.

საგულისხმოა ის სულიერი სიმშვიდე, რომელიც დაეუფ-  
ლება ხოლმე პოეტს მოწყენილი ტფილისის მიდამოებში  
ხეტიალის დროს. ჩვენ ვგრძნობთ მის უდიდეს სიყვარულს  
ყველაზე გოლისხმიერი მეგობრისადმი.

## რომანტიზმი სალონი

რომანტიზმი ყველაზე უინტიმესი ლიტერატურული მოძრაობა იყო. რომანტიკოსი პოეტების აუდიტორიას უმეტესად შეადგენდა სალონი და ვიწრო პოეტური წრე. მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარსა და მეცხრამეტე საუკუნის პირველ ათეულ წლებში ევროპა და რუსეთი მოფენილი იყო ლიტერატურული სალონებით, რომელნიც შემოქმედების ნამდვილ ცენტრებს წარმოადგენდნენ. აქ იქმნებოდა პოეტური იდეები და ფორმები, მუშავდებოდა რომანტიული შემოქმედებისა და აღქმის გემოვნება. ეს წრეები და სალონები ზრდიდნენ აგრეთვე რომანტიული სკოლის მწერალს, ხელოვანს და მოაზროვნეს. ლიტერატურული აზრის და გემოვნების გამომუშავებაში ამ ეპოქის სალონს ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც აკადემიას ქლასიციზმის ეპოქაში. სამართლიანად წერს ბრანდესი: „რომანტიზმი იყო და რჩება უპირატესად სალონების პოეზიად, და მის იდეალს წარმოადგენს გონება-მახვილი საზოგადოება, რომელიც შეკრებილა ჩაის შესაქცევად და ესთეტიკის საკითხებზე სასაუბროდ“.

დასავლეთ ევროპის სალონს ხანგრძლივი და ბრწყინვალე ისტორია აქვს. მისი სამშობლო საფრანგეთია, დაბადების უამი—ლუი მეთოთხმეტის პრეციოზული ეპოქა, ხოლო სოციალური წრე—მაღალი არის ტოკრატიული საზოგადოება.

მე არ შემიძლია დაწვრილებით შევჩერდეთ სალონის  
ისტორიაზე, რომელიც მრავალ საინტერესო ფურცელს გეიცავს.

სალონში თავისებური სტილი და ეთიკეტი სუფევდა.  
ჩვეულებრივ მას მაღალი წრის ბანოვანები აწყობდნენ.  
მათი სახელი ხელოვნების ისტორიაში შემოდიან იმ პოე-  
ტებთან, მწერლებთან, მხატვრებთან და მუსიკოსებთან  
ერთად, რომელიც მათი სალონების სასურველი სტუმ-  
რები იყვნენ. ამ ქალთა დიდ უმეტესობას, მართლაც,  
განსაცვითრებელი ინტერესი, ცოდნა და გემოვნება ჰქონ-  
და ხელოვნების დაჯასებისათვის.

აი როგორი წრფელი და მიმხილველი ფერებით გვი-  
სურათებს ნეკროლოგში ელიზა ლესპინასის პიროვნებას  
მისი სალონის ერთერთი მგზნებარე თაყვანისმცემელი:

„რა ღამეა! რა სიცარიელე! საშინელი სიმბოლო ჩე-  
მი გულისა. ხვალ განიბნევა ეს ღიმე, მაგრამ მარად დარ-  
ჩება ის წყვდიადი, რომელიც დაეფინა ელიზას!..

„ვინ მიაგნო მასზე უკეთ მეგობრობის მწვენიერებას?..  
მან იცოდა უდიდესი საიდუმლოება, რომ სხვათა ბეღნი-  
ერებისათვის უნდა დაივიწყო თავისი თავი...“

„მაგრამ ყველაზე განსაცვითრებელი იყო ჰარმონია  
აზრებსა და მათ გამოხატვას შორის. მერე რა იშვიათად  
ვხვდებით ამ ჰარმონიას!“

„თუ ვილაპარაკებთ მის თვისებებზე, შეუძლებელია  
არაფერი ვთქვათ განათლებაზე. მან იცოდა ინგლისური,  
იტალიური და ზოგიერთი სხვა ენაც. მან უნაკლოდ შეი-  
თვისა თავისი მშობლიური ენა. არავის შეეძლო მასავით  
ზედშიწევნილი მნიშვნელობა შეიცა სიტყვისათვის. ამი-  
სათვის ის განუწყვეტლივ მუშაობდა სინონიმებზე და გრა-  
მატიკის დარგში, აფაქიზებდა თავის გემოვნებასა და სი-  
ყვარულს ზედმიწევნილი და გამომსახველი ფრაზისადმი.“

ხელოვნებაში მას უყვარდა ყოველივე უძრალო, გრძნობის  
აღმძვრელი, გულის სილრმეში ჩამწვდომი, ვერ იტანდა  
სულ უცირეს პრეტენციოზულობას და ნაძალადეობას.  
მისი გემოვნება გაიწრთვნა ჩვენი კლასიკოსების — ვოლ-  
ტერის, ლაფონტენის, რასინის მშვენიერ, უზადო და ზუსტ  
სტილზე. იგი ოლფრთოვანებული იყო რუსოთი, უყვარდა  
პრევო, მგრძნობიარე „მანონ ლესკოს“ ავტორი, ლესაუი,  
რიჩარდსონი, სტერნი. იგი მთელი საათობით უსმენდა  
გლუქის მუსიკას და ტიროდა, დაუსრულებლად იშეორებ-  
და ორფეოსის არიას...

„დაინტერესებული იყო მორალის საკითხებით, ხში-  
რად კითხულობდა მონტენს, სწავლობდა ლოკს, სტკე-  
ბოდა ტაციტით და მონტესკიეთი; თანამედროვეთაგან  
მაღლა აყენებდა აბატ კონდილიაკს.

„მაგრამ ყველაზე მეტად დასაფასებელია მისი წერი-  
ლები. მათ ჰქონდა ოვისი განსაკუთრებული სტილი, თა-  
ვისი ხასიათი, თავისი მანერა, რომელთა მსგავსი არა-  
ფერია...“

„ო, ელიზა! ელიზა! რა ფერმერთალია ეს ნარკვევი!  
ნუთუ არსებობს თუნდ ერთი ძვირფასი გრძნობა ან იშ-  
ვიათი ლირსება, რომ იგი შენი სულის თვისება არ ყო-  
ფილიყო?..“

დასავლეთ ევროპის სალონის ქალებმა შესანიშნავი  
მემუარებით და ეპისტოლარული მემკვიდრეობით გაამ-  
დიდრეს კულტურის ისტორია.

არ შემიძლია არ ვისარგებლო შემთხვევით ერთი სა-  
გულისხმიერო ფაქტის აღსანიშნავად.

გრწყინვალე იყო, ფრანგული სალონი მეთვრამეტე  
საუკუნის მეორე ნახევარში. სახელგანთქმული ენციკლო-  
პედისტები, ფაქტიზი ესთეტიკური გემოვნების პოეტები,  
მხატვრები და მოაზროვნენი ჭკვიანი და ლამაზი მანდი-

ლოსნების სალონებში წედებოდნენ იმ გონიერებას სილ  
საზოგადოებას, რომელსაც მათი მოსმენა და დაფასება  
შეეძლო. ამ სალონებში ქალს სრულიად განსაკუთრებუ-  
ლი აღვილი ეკავა. მის დამსახურებას მიეწერება იმდრო-  
ინდელი სალონის ის თავისებური მომხიბვლელობა, სადაც  
ასე წარმტაცად იყო შეზავებული ფრანგული გრაცია და  
სილალე ცხოვრების დაფიქრებულ განსჯასთან.

ლესპინასის სალონი ენციკლოპედისტების ნამდვილი  
თავშესაფარი იყო. სამართლიანად ამბობდნენ: აკადემიის  
კანდიდატების განხილვა და ჯილდოების მიკუთვნება ამ  
ბრწყინვალე სალონში წარმოებს და არა თვითონ აკადე-  
მიაშიო.

მაღამ დაუ დეფანის სალონი ტრადიციული ფრან-  
გული საზოგადოების გემოვნებას გამოხატავდა. მაგრამ  
მის სასურველ სტუმართა შორის ჩვენ ვხედავთ იმდრო-  
ინდელი მოწინავე საზოგადოების კორიფეებს: ფერნეის  
პატრიარქს—ვოლტერს, მონტესკიეს, დალამბერს.

სწორედ დაუ დეფანის სალონის ცხოვრებიდან მინ-  
დოდა აღმენიშნა საგულისხმიერო ფაქტი. მისი დამამშვე-  
ნებელი იყო წარმოშობით ქართველი თუ ჩერქეზი ქალი  
დაისხე (M-elle d'Aisse), რომელიც სალონის სტუმარ-  
თა ყურადღებას იპყრობდა თავისი განსაცვითრებელი  
სილამაზით და ფაქიზი გემოვნებით. მისი ბედი სრულიად  
განსაკუთრებული იყო და ყველას თანაგრძნობას იწვევ-  
და. ოთხი წლის დაისხე სტამბოლში იყიდა საფრანგეთის  
ელჩმა დე ფერიოლმა და აღსაზრდელად თავის ნაოესა-  
ვებს მიაბარა პარიზში, სადაც ბავშვმა შესანიშნავი გა-  
ნათლება მიიღო და ფრანგული მანერები შეითვისა.

დავუბრუნდეთ ისევ რომანტიზმის ეპოქას.

თუ დავუკვირდებით ქართული რომანტიზმის ბუნებას,  
მასში უთუოდ აღმოვაჩენთ იმ თავისებურებას, რითაც

სამართლიანად ამაყობს ევროპისა და რუსეთის ლიტერატურა. მსგავსება ისე შორს მიღის, რომ ქართული რომანტიზმი ლიტერატურული ცხოვრების გარეგან მომენტებსაც იმეორებს. გასული საუკუნის პირველ ნახევარში ჩვენშიაც არსებობდა სალონების სტილი. ალექსანდრე ქაგავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის და სხვათა პოეტური გემოვნება მუშავდებოდა ქართულ არისტოკრატიულ ოჯახში, მეგობართა ვიწრო წრეში, განათლებულ ქალთა მონაწილეობით, რომელნიც განთქმული იყვნენ არა მარტო კდემამოსილი სილამაზითა და თავაზიანობით, არამედ ფაქიზი ესთეტიკური კულტურითაც.

ამ სალონების ქალთა სახელებთან არის დაკავშირებული ჩვენი რომანტიკოსი პოეტების მთელი სატრადილო ლირიკა. ამ საონო ასულთა თაყვანისცემამ მშვენიერ ლექსებს აუხილა თვალი ქართულ პოეზიაში. ჩვენი რომანტიკოსი პოეტების შუბლს ეს გაფაქიზებული გემოვნების მანდილოსნები აძკოდნენ დაფნის გვირგვინებით.

აი რას სწერს ალექსანდრე ორბელიანი ნ. ბარათაშვილზე:

„ცოდო არ არის ეხლა შორსა გზაზედ იყო შენ—შენ კაცის გულის გამომექმელო სინაღვლისა, შენ ჩვენო საქართველოს უზადო პოეტო, ყმაწვილო კაცო, თავადო ნიკოლოზ ბარათაშვილო!.. ეხლა იყო დრო, ეხლა სრულსა ჰაზრისა აიღებდა პოეტობისას ის! ეხლა მის პატარა ლამაზსა თავზედ მამულისა პოეტობის ბრწყინვალებისა გვირგვინს დაადგამდნენ, კარგი ქართველთ წყნარი ქალებით, მოწიწებით შოკრძალულნი, იგი შვილნი მამულისა“.<sup>1)</sup>

<sup>1)</sup> ნაწერი, 1879 წ. 252—253

საყურადღებოა, რომ ქართული რომანტიზმის კაზე-  
რულ ხასიათს ხელს უწყობდა გასული საუკუნის პირვე-  
ლი ნახევრის საზოგადოებრივი ცხოვრება. ილია ჭავჭა-  
ძემ ასე დაახასიათა ამ პერიოდის ლიტერატურული მოძ-  
რაობა:

„მწერლობა ჩვენი ოცდაათიან წლებში ხელახლად ფეხ-  
იდგმული, პირველ ხანს უფრო შინაური საქმე იყო, ვიდ-  
რე საყოველთაო, უფრო შესაქცევარი, ვიდრე გარჯით  
მკვლევარი. შინაურს ვამბობთ, რადგან შინაურობაში  
იპადებოდა და ისე შინაურობის მოკლე წრეში ჰქონია-  
ლებდა, იმიტომ რომ მაშინ არც უურნალ-გაზეთობა იყო,  
არც ჩვეულება ცალკე წიგნად ბეჭდვისა და, სწორედ  
მოგახსენოთ, არც სათქმელი ჰქონდა საყოველთაო, რად-  
განაც საყოველთაო საგანი ახლად ახილებულ მწერლო-  
ბის თვალისათვის მიუწვდენელი იყო, თუნდ რომ თვით  
ცხოვრებაში ყოფილიყო მაგისთანა საგანი“.<sup>1)</sup>

საკმაოდ ცნობილია ჩვენი ლიტერატურის ისტორია-  
ში მანანა ორბელიანის, ნინო და ეკატერინე ჭავჭავაძეე-  
ბის სახელი.

„თ. ალექსანდრე გარსევანის-ძე ჭავჭავაძის ოჯახი ბა-  
რონ როჩენის, გოლოვინის, ნეიდჰარტის და ცოტათი  
ვორონცოვის დროსაც კი ტფილისში პირველ ოჯახიდ  
ითვლებოდა“, სწერს ბოროზდინი.<sup>2)</sup>

დიმიტრი უიფიანი ასე ახასიათებდა ალ. ჭავჭავაძეს  
და მის სახლს:

„Как отличный семьянин, он был обворожителен. Прелестное его семейство, из которого вышли две наши знаменитости, две дочери его, Нина Александровна, избранная разборчивым сердцем Грибоедова,

<sup>1)</sup> თხზულებები ტ. IV, 1927., 227.

<sup>2)</sup> „სამეგრელო და სვანეთი“, მოგონებანი, 1934 წ., 7.

подруга его и Екатерина Александровна Дадиан, светлейшая саном, наружностью и душою, супруга владетельного князя Мингрельского, было в Тифлисе единственным семейством, в котором заезжие гости с севера и запада находили начала святого патриархального гостеприимства в полном согласии с условиями образованного европейского общества, и истинным неподдельным радушием и благочестием, к которому благоговели все".<sup>1)</sup>

„უბრწყინვალესი ოჯახი პქონდა ტფილისში მანანა ორბელიანს. აი რას წერდა მას გრიგოლ თემირხანშურიდან:

„თქვენი გაბრწყინვალებული სალონი სავსეა ანგლიჩნებით, ფრანცუზებით, პინდოელებით; ჭეშმარიტად მშურს შათი ბეჭნიერება და ვაშბობ, ნეტავი მათ რიცხვში გეცვიყო".<sup>2)</sup>

ა. ჭავჭავაძისა და მანანა ორბელიანის ოჯახები თავისი დროის კულტურულ ცენტრებს წარმოადგენდნენ. მათში საამურად იყო შეხამებული სალონური, ევროპეიზმი ქართულ ტრადიციულ დარბაზობასთან.

საინტერესოა კიდევ ერთი ცნობა:

ფრედერიკა ფონ ფრეიგანგი, რომელმაც 1811 წელს ინახულა ტფილისი, ასე აგვიწერს იმდროინდელ დარბაზობას მარკიზ პაულუხის ცოლთან, რომელიც საღამონბით ღებულობდა ქართველ მანდილოსნებს და მათ შორის თეკლე ბატონიშვილს:

„მანდილოსნები სადარბაზოთ მოდიან ცხენებით, რომელსაც წინ მოუძლვიან მოახლეები. თავიდან ფეხებამდე

1) Кавказ, 1846, № 45, ნეკროლოგი ალ. ჭავჭავაძის გარდაცვალების გამო.

2) წერილები, ა. გაწერილიას რედაქციით, ტ. I, 119.



ისინი გახვეული არიან თეორ საბურველში. შეპინდებისას შორი მანძილიდან ცხენოსანთა ჯგუფი მოჩვენებათა ქარაგანს უფრო მიაგავს. გენერლის კოლის ოჯახში შესვლისას ზოგი მათგანი იხსნის საბურველს და რჩება თავის ქართულ ტანისამოსში. გენერალმა აგრძნობინა მანდილოსნებს თავისი სურვალი, რომ შეეცვალათ ეს იშვიათი ტანისაცმელი ევროპულით. ზოგიერთმა ქართველმა ქალმა გამბედაობა გამოიჩინა და გასწია რისკი შემოელო ახალი ტანისამოსი<sup>1)</sup>.

იმ პერიოდში, როცა ქართული საზოგადოება მოკლებული იყო პრესას და კულტურულ ორგანიზაციებს, განათლებულ ოჯახს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. აქ მსჯელობდნენ ჩვენს ისტორიულ წარსულზე, ქართლის ბედზე, ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე. 6. ბარათაშვილის პოეზია თავის ცხოველ გამოხმაურებას და დაფასებას, უწინარეს ყოვლისა, ამ პატარა ლიტერატურულ ცენტრებში ჰქონდებდა. პოეტს გულითადი მეგობრობა ჰქონდა მრავალ საინტერესო პიროვნებასთან. ის იყო მათი ოჯახების სასურველი სტუმარი. ეჭვი არაა, ამ წრეებში დაიბადებოდა მისი პირველი სატრუიალო გატაცებანი. ამ გრძნობებით არის შთაგონებული არაერთი შესანიშნავი ლექსი, თვალწარმტაც ყვავილებად რომ გაიშალნენ ჩვენი ლირიკული პოეზიის ბალში.

მეტად დამახასიათებელია 6. ბარათაშვილისათვის ლ. მელიქიშვილის მიერ ნაამბობი ეპიზოდი: „პოეტი მიუწვევიათ საგინაშვილის სიდედროან სალამოზე და იქიდან შემოვარდა ყაფლან ორბელიანთან, საცა დაუხვდა იმას ლევან მელიქიშვილი.

<sup>1)</sup> „ლიტერატურული საქართველო“ 1938, №9.



„ლევან, ლევან! გავგიუდი! მეტი არა ვარ! უკატერინა იქ არის და მისმა საყურეს თამაშმა გადამრია! ღვთის განაჩენი კაცი ვერა ნახავს ვერაფერს უკეთესს“, და ამ საღამოს სახსოვრად დასწერა ლექსი „საყურე“. <sup>1)</sup>

ქართული სალონი, რა თქმა უნდა, მოკლებული არ იქნებოდა რომანტიული ეპოქისათვის დამახასიათებელ ეპიკურეიზმს. ფიქრი ცხოვრების ამაოებაზე უნებურად წარმოშობს სიყვარულს იმ წარმავალი სიტყბოებისას, რომელსაც არავითარი დანაშნულება არა აქვს, გარდა თავდავიწყებისა და სულიერი ტკივილის მიყუჩებისა. ჰედონიზმი რომანტიზმის დამახასიათებელია და მან ქართველი ჰოეტების შემოქმედებაშიაც იჩინა თავი. სიყვარულის გრძნობის აღწერაში, ქალისა და ღვინის კულტში ქართველმა რომანტიკოსებმა ისეთი რაფინირებული გემოვნება გამოიჩინეს, რომ არცერთი ქვეყნის რომანტიკოსებს არ ჩამოუვარდებიან.

რა შეედრება ალ. ჭავჭავაძისა და გრ. ორბელიანის ბაიათებსა და მუხამბაზებს, სადაც აღმოსავლური მგრძნობელობა ასე ფაქიზად არის შეხამებული სიყვარულისა და დროსტარების ქართულ ტრადიციულ გემოვნებას-თან!

მაშინ მთელი რომანტიული საქართველო მღეროდა ალ. ჭავჭავაძის მუხამბაზებს. ქართულ სალონშიაც ეს ჰედონისტური სული ტრიალებდა.

გრ. ორბელიანი სუბუქი ხუმრობით სწერდა მანანა ორბელიანს: „...თქვენ და ნინო ჰშთაფლულხართ ამ სოფლის წარმავალს სიამოვნებაში და არა ჰფიქრობთ სულისათვის, საუკუნო ცხოვრებისათვის, რომელიცა მიგველის ჩვენ და რომელიცა ესრეთ მწარედ დაგივიწყებიათ.

<sup>1)</sup> ი. მეუნარგია: ibid., XVIII.

დროა, დროა, გეყოფათ! ორმოცი წელიწადი გირაკუნებს და  
კარსა! აბა მომხედეთ მე. წინ მიძევს დავითნი და ყოველი  
დილით თითო კანონს ვპკიოხულობ ცრემლითა და შენა-  
ნებითა, რომ ესოდენი წელიწადნი ჩემნი წასულან ამაოდ,  
უფიქროდ, უსარგებლოდ სულისათვის ჩემისა და არცა  
მოყვასთა ჩემთათვის საკეთილოდ. დღეს დადგა დიდმარ-  
ხვა, ვაი თქეენდა შეუნანელთა; ვაი ნინოს და მანანას,  
რომელთა გამოფხიჩლება ამაო ცხოვრებისაგან იქმნების  
საზარელ, რომელთა ალარას უშველის არცა კბილთა  
ლრწენა, არცა სასოწარკვეთილება! თუ დამიჯერებთ,  
მოიქეცით თქვენ და ნინო გზასა ზედა ჭეშმარიტებისასა,  
დაუტევეთ ეშმაკი, რომელიცა წინაგიძლვისთ თქვენ სუ-  
ლისა თქვენისა წარსაწყმედელად".<sup>1)</sup>

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაში მძლავრად გამომ-  
ულავნდა რომანტიული ეპოქის ჰედონიზმი. სიყვარულის  
საკითხს დაწვრილებით ქვევით შევეხები, ახლა კი საკმა-  
რისია ყურადღება მივაქციოთ მისს ლექსს „ჩემთ მეგო-  
ბართ“. პოეტი ასე მიმართავს ახალგაზრდობას:

ჭაბუკნო, ვიდრე ცხოვრების დღეთ დილა  
გინათებთ

და სიყვარული გულის ჭირთაც გისიამოგნებთ,  
არ დაიჩიოთ შავი შედის მპსწრაფულნი  
ლახვარნი

და შეუპოვრად წარიხოცეთ ცრემლნიცა  
მწარნი.

1) წერილები, ტ. I, 119—120.

აჰყევით სოფელს შეურჩენელს და მომლერალს,  
ნუ მოარიდებთ სიყმაწვილეს ტრუბისა ალს  
სასაცილოა ბერიკაცი რომ ყმაწვილობდეს,  
და საბრალოა, როს ჭაბუკი ბერიკაცობდეს.

მას ვაქებ, ვინცა თვის სიცოცხლე ასე ატარა,  
რომ ყოველი დრო შესაფერად მიმოიხმარა!

\* \* \*

ევროპული სალონის მსგავსად ქართული დარბაზობის  
სული და გული იყო სალამაზით, გონიერებით და თავა-  
ზიანობით განოქმული მანდილოსანი. ზემომოყვანილ ნეკ-  
როლოგში დიმ. ყიფიანი აღნიშნავს: ალ. ჭავჭავაძის  
ოჯახის სიცოცხლესა და სიხარულს მისი ქალიშვილები  
შეადგენდნენ, რომელთა სიყვარულით გულს ვერ იჯერებ-  
დიო.

ქართველი ქალის განსაცვიფრებელ სილამაზეს მუდამ  
აღტაცებაში მოჰყავდა უცხოელი მოგზაურები. ჯერ კი-  
დევ ანტიკური ქვენის სახელმოხვეჭილი ისტორიკოსები  
ჰეროდოტი და სტრაბონი მაღალი სიტყვით აქებდნენ  
ივერიელთა მშვენიერებას. შარდენის, ზოდენშტედტის,  
პუშკინის, ლერმონტოვის, დელაპორტის, რიტცელის და  
სხვათა ნაწერებში ჩვენ ვხვდებით მგზნებარე სტრიქონებს  
ქართველი ქალის კდემამოსილი სილამაზის შესახებ. შვეი-  
გერ-ლერხენფელდა წერს:

„ვის არ მოხიბლავს სიტურფითა და კეთილშობილე-  
ბით აღსავსე სამხრეთელი ქალი!.. გაზაფხულზე სალამოს  
ეამს, როცა ფრთამალი სიო ეალერსება მტკვრის ზეირ-  
თებს და მთათა სილუეტები ცისფერ ჩრდილებს აფენენ,  
ტფილისელი ლამაზი ქალები თავისი დახშული ოთა-

ხებიდან გამოიშლებიან ხოლმე გარეთ. სახლების ტე-  
რასები და აივნები ივება მოჩურჩულე ან მოკისკი-  
სე ქალთა გუნდებით. მაშინ შეიძლება დასტკპეს კაცი  
იმ ტურფა სანახაობით, რომელიც ასე მხატვრულად დაგ-  
ვინატა ბოლენშედედმა: <sup>1)</sup>

Иль балкон, иль галлерей  
Каждый домик окружает...  
Придет вечер, и балконы  
Рой красавиц наполняет.  
Месяц блеском серебристым  
Освещает их так мило:  
Видны маленькие ножки  
Сквозь узорные перила.  
Опершись на балюстраду  
Смотрят девушки с улыбкой;  
На их лицах покрываются  
Веют легкой, белой дымкой;  
Но сквозь дымку покрывают,  
Лучезарней звезд средь ночи,  
Сиянней алмазов,  
Блещут чудные их очи... <sup>2)</sup>

ქართული რომანტიზმის საუკუნე სამართლიანად ამა-  
ყობს ისეთი სახელოვანი მანდილოსნებით, რომელიც  
პოეტურ შთაგონებას იწვევდნენ სიტყვის ოსტატებში.  
გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის

1) გერმანელი პოეტი ფრიდრიშ ბოლენშტედტი ტფილისში ცხოვ-  
რობდა ბარათაშვილის დროს, 1840—1843 წლებში.

2) Швейгер Лерхенфельд: „Женщина, ея жизнь, нравы и общественное положение у всех народов земного шара“, 1882.

ლექსები ანტუან ვატოს და ფრაგონარის ფერებით ხატა  
ვენ მაშინდელი ქალის გარეგნულ მიმზიდველობას.

აი სოფიო ორბელიანის პორტრეტი:

მერცხალნი—თვალნი შენი  
გონების სხივთ მომფენი!  
ვარდი—შენი ბაგენი,  
მარად მომლიმარენი.  
თოვლ-ღვინო—შენი ღაწვნი  
მათხე გარდაშლილ ზილფნი...  
შენი წელი კიბაროზ!  
და შენი ხმა სირინოზ!  
ხან სიამით მავსებენ,  
ხან ცრემლთ მაფრქვევინებენ!  
ზოგჯერ მტანჯვენ, შმაგ-მყოფენ  
და ხან უცებრ მალხენენ!...

რა ნათელი პოეტური სალებავებია! გრ. ორბელიანის  
ლექსებში ქართველი ქალის სახე ფერწერის პლასტიუ-  
რობით არის შესრულებული. ბარათაშვილი არ ჩამოუ-  
ვარდება თავის ბიძას ქალის მშვენიერების აპოლოგიაში.  
მან მოგვცა არაერთი მაღალპოეტური სურათოვანი ლექ-  
სი, სადაც გაცოცხლებულია ქართული სალონის მანდი-  
ლოსანთა პორტრეტები.

ღაწვნი ნაცრემლნი,  
ტრფიალთ დამწველნი,  
უფროს შვენოდენ,  
თმანი ნაშალნი,  
მკურდზედ დაყრილნი,  
ემუქმებოდენ.



უუფუნა თვალნი,  
გულთა მომკვლელნი,  
მოცინა-რობენ,  
პატაწა ტუჩნი,  
ვარდებრ ნაფურცლნი,  
ლხენას მოპერვენ!

მიყვარს თვალები, მიბნედილები,  
ეშხისა ცეცხლით დაქანცულები;  
მაგრამ როს ვუჭვრეტ, ზამბას-ვარდო ველად  
განეწონვიან მათი ისრები.

შენი დალალნი ყრილობენ გველად  
სპეტაკს მკერდზედა ტრფობისა ველად,  
და თვალთა ჩემთა ადავრიშებენ  
ხან ნუგეშისთვის, ხან დასაწველად!

ქართული სალონების უბრწყინვალეს მანდილოსნებს —  
ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულებს გრ. ორბელიანმა და ნ.  
ბარათაშვილმა უკვდავი ლექსები უძღვნეს. ბარათაშვილის  
სალებავებიც მკვეთრია და გამომსახველი, და, რაც მთა-  
ვარია, პოეტი მუდამ საკუთარ სულში იყურება, ცდა-  
ლობს გადმოგვცეს თავისი შოაბეჭდილებანი, ის შინაგანი  
ფსიქიური მოძრაობა, რომელსაც საყვარელი აღამიანის  
ხილვა იწვევს.

აი როგორია პოეტის თვალი ეკატერინე ჭავჭავაძის  
პორტრეტში:

ხმით მშვენიერით  
ტკბილის სიმღერით  
ჰაეროვანო, სულს ელხინები;  
თვალთ არონინებ,

გულს დააწყლულებ  
და ღიმილითა ესაჲბუნები.

სადა ხარ, იმ არეს  
მოჰვენ ხიამეს—  
უშენოდ მოსცდეს მხიარულება.  
შენის ენითა  
სავსე ლხენითა  
ვინ არა იგრძნოს გულკეთილობა!

მახსოვს სიამით,  
ოდეს ტკბილის ხმით  
ვარდსა და ბულბულს მოელხინარე,  
პირმკინარითა,  
სინარნარითა  
მგოსნის ყარიბ სულს ესხიომფინარე!

ხაზგასმული სტრიქონები გვიჩვენებენ პოეტის სტილს:  
გადმოგვცეს ის სულიერი განცდები, რომლებსაც ბადებენ  
საგნები მის პოეტურ აღმაფრენაში. ასეთი განწყობილე-  
ბით არის დაწერილი ბარათაშვილის ყველა სატრფიალო  
ლექსი. საერთოდ პოეტი ფსიქოლოგიზმის ტყვეა. საყუ-  
რეს ხილვით მოახიბლულს ძლიერი სურვილი აღეძვრის და  
თითქოს ჯნებურად შესძახებს:

ჰომ საყურეო,  
გრძნობით ამრეო,

ვინ ბაგე შენს ქვეშ დაიტკბანუროს?

შემოხვევითი როდია, რომ ქართველი რომანტიკოსე-  
ბის შემოქმედებაში სიყვარულის გრძნობა ესოდენ მძღავ-  
რი, მე ვიტყოდი, ღომინიური განცდაა. ეს ის ღრმა და  
საამური სულიერი მოძრაობაა, რომელიც დაიბადა ქარ-

თულ სალონში და იმეამად მის გარეშე წარმოუდგენელიც იქნებოდა.

აქ უნდა აღინიშნოს ერთი საგულისხმო მომენტი.

ევროპული სალონისაგან განსხვავებით ჩვენს დარბაზობაში სულ სხვა ზნეობრივი სული სუფევდა.

ფრანგულ არისტოკრატულ სალონში განვითარდა ის თავისებური სილადე და სითამამე სიყვარულის გრძნობის განცდაში, რომელმაც სრულიად აღკვეთა ელემენტული თავდაჭერილობის გრძნობა ქალ-ვაჟთა უინტიმეს ურთიერთობაში. გაფაქიზებულმა გრძნობიერებაშ უძალლეს წერტილს მიაღწია და ყველა სახლვარი გადალახა. ცოლ-ქმრული ერთგულება მოსაწყენ ადამიანთა საქმედ გამოაცხადეს, ხანგრძლივი სიყვარული — პარადოქსად. თუ იმდროინდელ სალონს ვეწვეოდით, წერს იპ. ტენი, უმალ შევჩიშხავდით, რომ იქ დამსწრე ქალთა შორის სწორედ ის იყო მეუღლე, რომელსაც მამაკაცი ყველაზე ნაკლებ ყურადღებას აქცევდათ და პირიქით.<sup>1)</sup>

„სიყვარულში ყველაზე საუკეთესო მისი ფიზიკური მხარეა“ (Je n'y a de bon dans l'amour que le phisique). ეს ფორმულა, რომელიც ბუფონმა გადმოისროლა, მთელი ამ ეპოქის არისტოკრატიის შეხედულებასა და გემოვნებას გამოხატავდა. გონკურმა მოსწრებულად დაახასიათა ეს დრო: „მეთვრამეტე საუკუნის საფრანგეთში.. სიყვარული შესცვალა ვიღაც ავხორცობაშ, წარმავალმა და მოურიდებელმათ“. ამასვე ამბობს ხტენდალი თავის საინტერესო ტრაქტატში „სიყვარულისათვის“.

<sup>1)</sup> Ипполит Тэн: „Происхождение общественного строя современной Франции“, СПБ, 1880, 181. ამ გამოკვლევის მეორე წიგნი (გვ. 121—230) საკმაოდ ნათელ წარმოდგენას იძლევა ძველ ფრანგულ არისტოკრატიულ სალონზე.

სულ სხვაა საქართველო და მისი ზნეობრივად ფაქტი ზი სალონი! ქართველი ქალი საუკუნეთა განმავლობაში მტკიციდ ინახავდა იმ ამაღლებელი სიყვარულისა და ტრფიალების გრძნობას, რომელსაც ასე ლრმად და წარმტაცად უმღეროდა რუსთაველი. მე უკვე აღვნიშვე, რომ ქართულ მწერლობას თავის წმინდა დანიშნულებად მიაჩნდა მორალური იდეების ქადაგება. ეს ყველაზე მეტად სიყვარულს ეხებოდა. ახალი საუკუნის მიჯნაზე მამუკა ბარათაშვილმა მომავალ თაობებს უანდერძა: პოეტს მართებს ავი ამბავი არ გალექსოსო. მეთვრამეტე საუკუნეში, როდესაც ევროპის სალონებში მაღალგონიერი და სახელმოხვეჭილი მწერლებიც კი გაფაქიზებული ავხორცობის კულტს ჰქადაგებდნენ, საქართველოში დავით გურამიშვილი უმღერდა სპეტაქსა და უცოდველ სიყვარულს. ნიკოლოზ ბარათაშვილმა სულის მშვენიერება ხორციელ სილამაზეზე მაღლა დააყენა. სილამაზე წარმავალია, როგორც ყოველივე ამ სოფლად, უკვდავება მხოლოდ მშვენიერ სულში მდგომარეობსო, ამბობს პოეტი.

მხოლოდ კავშირი ესერთთ სულთა ჰშობს  
სიყვარულსა,  
ზეგარდმო მაღლით დაუხსნელად დამტკიცებულსა.

მხოლოდ მათ შორის არის გრძნობა, ესთ  
სანუქველი,  
რომ მის უტკბილეს არც თუ არის სასუფეველი!  
მას ცისა სხივით აცისკროვნებს მშვენიერება  
და უკვდავებით აგვირგვინებს ჰეშმარიტება!

რა დიდი განსხვავებაა ბარათაშვილსა და ფრანგ მორალისტებს შორის! მეცხრამეტე საუკუნეში, როცა ევროპის ქროლვა შემოიჭრა საქართველოში და „პირუმტკა-

კობის „მოდამ“ შეიძყრო ზოგიერთი, ბარათაშვილი ასე  
იცავდა ტრადიციულ მორალს:

„ჰგმადლობთ, — მითხრა მან, — რომ თქვენ მაინც  
გახსოვარო კიდევა:  
ახლა მოდაა, ვინც გის იცნობს, ივიწყებს  
ისტვა.—“

„დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ვერც  
მოდები  
ვერ მამიშლიან თქვენსა ხსოვნას და ვერა  
დროები“. •

ქართველმა რომანტიკოსებმა მაღალპოეტური ქება შეა-  
სხეს ქართული სალონის მანდილოსნებს არა მარტო კდე-  
მამოსილი სილამაზისათვის, არამედ ზნეობრივი სიფაქი-  
ზისთვისაც. გრ. ორბელიანი ასე მიმართავდა ეკატერინე  
ჭავჭავაძეს:

წინანდლის ვარდო!

სულითა ტრედო,

გულით წმინდავ, ვით მთისა წყარო.

6. ბარათაშვილის პოეტური თვალი ლამაზი ქალის ხილ-  
ვაში ცდილობს დაიჭიროს სათნოებით აღსავსე სულიერი  
სამყარო, რომელიც ასპეტაკებს აჯამიანის არსებას.

შენის ენითა,

სავსე ლხენითა,

ვინ არა იგრძნოს გულკეთილობა!

მიმართავს პოეტი ეკატერინეს.. 6. ბარათაშვილს სწამდა  
მხალოდ ღრმა და სერიოზული სიყვარული, რადგან რუ-  
სთაველის უკვდავი იდეა: „სიყვარული აგვამაღლებსო“  
მხოლოდ ასეთ გრძნობას შეეხება:

არ შეემსჭვალო მოკისკასეს, კეკელა ქალსა,  
სულის დამტყვევნელს და გრძნობათა ცრუდ  
მომლერალსა!

აშიგის ენა მას ახარებს, მას ასულდებულება  
ხოლო სიყვარულს გული მისი ვერ მიიკარებს

\* \* \*  
სალონის გარდა ჩვენს გონიერ ახალგაზრდობას კიდევ  
სხვა შესაძლებლობაც ჰქონდა პულტურული და ინტელე-  
ქტუალური ცხოვრებისათვის.

კ. მამაცაშვილი თავის მოგონებაში წერს: „ჩვენი დროს-  
გატარება იყო ან ერთად სადილი, ან ერთად საღამო-  
ზედ ყრილობა. ხშირად შევიყრებოდით ხოლმე ახალ-  
გაზრდა ამხანაგები ხან ნიკოლოზ ბარათაშვილთან, ხან  
ლევან ივანეს ძე მელიქოვთან, ხან საჯილად გარეთუბნის  
ბალებში. ჩვენი დროსტარება იყო: ლაპარაკი მაშინდელს  
ლიტერატურაზედ, სწავლაზედ, სხვადასხვა ჩვენს გარე-  
მოებაზედ. ქართული დიარბაისული მეტყველი ხუმრობა,  
სიმღერა, ვისაც სურდა ქალალდს თამაშობდა, ნარდს,  
ჭადრაკს. ქალალდის თამაშობაში ხანდისხან ნიკოლოზ ბა-  
რათაშვილიც მიიღებდა ხოლმე მონაწილეობას, მერე მეგობ-  
რული ვახშამი და ვახშამ შემდეგ სეირნობა მთვარიან ლამეს  
ქუჩებში და ზოგჯერ ბალებშიაც (მაშინ მთელი ტფილისი  
შემორტყმული იყო ბალებითა, მთელი სოლოლაკის უბა-  
ნი ბალები იყო).

„ხშირად გვქონდა ლაპარაკი ჩვენს წარსულს ცხოვ-  
რებაზედ. ერთ საღამოს ბარათაშვილის სახლში გადავ-  
წყვიტეთ, რომ, რადგან არა გვაქვს ქართული რიგიანი  
ისტორია, გავიყოთ V-ის საუკუნისაგან დაწყებული,  
თითომ თითო საუკუნე იიღოს და შეადგინოს ისტორია  
იმ საუკუნისა“.

ნ. ბარათაშვილს გარს ეხვივნენ ნიჭიერი და მცოდნე  
პირები, რომელთა შორის სერიოზული მწიგნობრებისა  
და პოეტების სახელები გვხვდება. ნიკოლოზი ძალიან  
ახლოს იყო გრიგორ ორბელიანთან არა მარტო როგორც

მთაო ცხოველო, ხან მცინარო, ხან ცოტემლიანო  
 ვინ მოგიხილოს, რომ მყისვე თვისთა ფიქრო  
 შვება

არა იპოვნოს და არ დაჰსნის გულსა ვაება,  
 გულდახურულთა მეგობარო, მთავ ღრუბლიან!

• • • • • • • • • • • •  
 ჰოი სალამოვ, მყუდროვ, საამოვ, შენ დაშთი  
 ჩემად სანუგეშებლად  
 როს მჭმუნვარება შემომესევის, შენდა  
 მოვილტვი გასაქარვებლად.

აქედან ცხადია, რაოდენ მართებული იქნება ის შეხედუ-  
 ლება, რომელიც ბარათაშვილის სულიერ ტანჯვას ჩვენი  
 სოციალური ცხოვრების ტკიფილებით ახსნიდა. არსებული  
 მატერიული სინამდვილე, ეს მშვენიერი დედამიწა თავისი  
 ნაირ-ნაირი ფერებით და სურნელებით, ეს თოვლწაყრი-  
 ლი მთები, ატეხილი ტყეები და მჩქეფარე კასკადები, ეს  
 უშველებელი თალი ჩვენს ზევით ასტრალური საიდუმლო-  
 ებით—ლამაზია, ამაღლებული, მიმზიდველი და მანუგეშე-  
 ბელი პოეტისათვის. უან-უაკ რუსოსი არ იყოს, ბილწი და  
 ბოროტი მხოლოდ ადამიანია. იმ ბარათაშვილის ფილო-  
 სოფიის დედაარსი.

\* \* \*

პესიმიზმს უხანგრძლივესი ისტორია აქვს. მისი ძირი-  
 თადი ფორმულა: „ამაოებათა ამაოება და ყოველივე  
 ამაო“ ეკლეზიასტიდან მოდის. ძველი საბერძნეთისა და  
 რომის, აზალი დროის დასავლეთის ფილოსოფოსები, მო-  
 აზროვნე მწერლები და პოეტება დაუსრულებელი ვარია-  
 ცებით ამეორებენ ეკლეზიასტის ფორმულას. შეიძლებო-  
 და უამრავი პარალელი მოგვეყვანა მსოფლიო პესიმისტუ-

რი ლიტერატურიდან ბარათაშვილის პოეზიის სიილუს-  
ტრაციოდ, მაგრამ ვერცერთი პარალელი ვერ გახსნის  
ბარათაშვილის პოეზიის რკალს, ვერ აგვიხსნის მისი პო-  
ეტური სოფლმხედველობის კომპონენტებს.

ნიკოლოზ ბარათაშვილის სახით ქართული რომანტი-  
ზმი მსოფლიო ლიტერატურის ორბიტში შედის. მისი  
პოეზია ეხმაურება ყველა იმ საკითხს, რომლის ამოცნობას  
ამაოდ ლამობდნენ მსოფლიოს უბრწყინვალესი პოეტები.  
მაგრამ ასეთი მასშტაბის მიუხედავად, ბარათაშვილი ბო-  
ლომდე რჩება ეროვნულ პოეტად, რომელსაც იდეური  
ფესვები ჩვენი ქვეყნის სოციალურ ცხოვრებაში და ჩვენს  
მდიდარ მწერლობაში აქვს გადადგმული. ამიტომ ვისაც  
მისი შემოქმედების გაგება სურს, მან ქართული ნიადაგი  
უნდა შეისწავლოს. აქედან მოემართებიან პესიმისტური  
განწყობილების ცრემლიანი ნაკადები, იდეები, თემები,  
პოეტური სამკაულები.

რამდენიმე მაგალითს შეუძლია დაგვარწმუნოს ამ აზ-  
რის სისწორეში.

სოფლის ამაოების თემას შორეული ისტორია აქვს  
ქართულ მწერლობაში. ამჟამად უძველესი პერიოდები  
რომ განუხილველი დავტოვოთ, ჩვენი საკითხისათვის  
საკმარისია თვალი გადავავლოთ მარტო იღორძინების  
ხანის ლიტერატურულ ფაქტებს. თეიმურაზ პირველის,  
არჩილ მეფის, ვახტანგ მეექვსის, თეიმურაზ მეორის, მა-  
მუკა ბარათაშვილის, დავით გურამიშვილის და ბესიკის  
შემოქმედების საერთო განწყობილებას უთუოდ პესიმიზმი  
შეადგენდა. ამ პოეტების წრეში შემუშავდა ქართული  
პესიმისტური პოეზიის კლასიკური ფორმა, მეტად თავი-  
სებური და საინტერესო მხატვრული კულტურის თვალ-  
საზრისით. ეს არის „გაბაასება კაცისა და სოფლისა“,  
რაღაც საშუალო ფორმა ლირიკულ პოემასა და ლექსს

შორის, რომელიც თავისი წყობით ანტიკური ფილოსოფობის და განვითარების დიალოგებს მოგვაგონებს.

აღორძინების პერიოდის მწერლებმა თავის პოეზიაში გამოფინეს პესიმისტური ფილოსოფიის მთელი ის სააზროვნო მასალა და განცდების მრავალნაირობა, რაც დასავლეთის პესიმიზმს ახასიათებდა. რა თქმა უნდა, აქ არავითარ გავლენაზე არ შეიძლება ლაპარაკი. ქართული პესიმიზმი საკუთარ ნიადაგზეა წარმოშობილი, მისი სარჩული ჩვენი ცხოვრების პოლიტიკურ და სოციალურ ვითარებაშია საძიებელი.. საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ მოხდა, რომ ქართულმა მწერლობამ ასე ექნავტურად „განიმეორა“ მსოფლიო პესიმიზმის შემოქმედებითი პროფილი, სცილდება ჩვენს თემას, ლიტერატურის ფილოსოფიის პრობლემათა რიცხვს ეკუთვნის და ამჟამად ვერ გახდება ჩვენი მიმოხილვის საგანი <sup>1)</sup>).

აღორძინების პერიოდის მწერალთა შემოქმედებაში ვპოვებთ ბარათაშვილის პოეზიის იდეურ ფესვებს. სოფელი მიუნდობია და მუხთალი, ადამიანის ტანჯვა უფრო მეტრა და მძაფრი, ვიდრე ის სიამტკბილე, რასაც საწუთო იძლევა,—ასეთია ამ პოეზიის ლაიტმოტივი.

აქ დაწვრილებით ვერ შევჩერდებით ამ საკითხზე. საილუსტრაციოდ საკმარისია ორიოდე მაგალითი მოვიყვანოთ.

### თეიშურაზ პირგელი:

ნერიავი ყველამ იცოდეთ სოფელი როგორ  
მენელია,  
კაცსა მიინდობს ლალატად, ცბიერი, ვითა  
მელია,

<sup>1)</sup> იხ. ჩემი წერილი: „გაბაასება კაცისა და სოფლისა“.

ანაზდალ გარდუბრუნდების, მით გული  
გარედაშელია,  
მას არვინ უნდა მიენდოს, ესე ნათქვამი ძველი



### შამუკა ბარათაშვილი:

სოფელია ყოვლთა მწველად,  
რასთვის მიჩნდა იგი მშველად?  
ნათქვამია სიტყვა ძველად,  
ვინ მიენდოს მისთა მჭვლელად?

წყევა მაქვს საკურველისა,  
მუხანათისა, ჭრელისა,  
საწუთროს წამთა მქნელისა,  
დიდების დამცემელისა.

### დაგით გურაშიშვილი:

ფუ, შე ცრუო საწუთროვო,  
რაღ არ მძულდი, რაღ მიყვარდი?  
შენ ყოფილხარ მწარე შსნაკვი,  
მე მეგონე ტკბილი ყანდი.

### ბესიკი:

ვინ პოვა სოფლისაგან ბედნიერება?  
ვინცა სცნობს წყეულსა — დაეკრძალება.  
უნუგეშოს მართებს მართლად ვაება,  
სტიროდეს და რბოდეს ველად და ველად.

რა იწვევდა ამ სამდურავს, რა იყო მიზეზი ჩვენი მწერ  
ლების ასეთი უიმედო ვაებისა? რასაკვირელია, ჩვენი სამ  
შობლოს მწარე სინამდვილე, რომელიც საქართველოს  
საზღვრებიდან სდევნიდა, როგორც გვირგვინოსწენ მეფეებს  
ისე უგვირგვინო არისტოკრატიას, ხოლო გაპარტახებულ  
ბალხს უცხოელი დამპყრობელების სათელად ხდიდა. ალორ-

ნათესავი, არამედ როგორც პოეტიც. მასთან მიწერილ  
წერილებში ჩვენ ვხვდებით ლექსებს, რომლებიც ეგზაუ  
ნებოდა პოეტ-საჩიდალს, ქართული ლიტერატურული რო-  
მანტიზმის მეტრს. 6. ბარათაშვილის მახლობელი პირე-  
ბიდან საქმარისია დაგასახელოთ პლატონ იოსელიანი,  
დიმიტრი ყიფიანი, მიხეილ თუმანიშვილი, გიორგი ერის-  
თავი, ალექსანდრე ორბელიანი და სხვები, რომელთაც  
დიდი დამსახურება მიუძღვით ჩვენი მწერლობის წინაშე.  
საინტერესოა საქართველოში გადმოსახლებული პოლონელი  
პოეტის ლადი-ზაბლოცკის და მაშინდელი ქართველი  
მწერლების, კერძოდ ბარათაშვილის ურთიერთობა.

მიუხედავად იმისა, რომ მეცხრამეტე საუკუნის პირ-  
ველ ნახევარში ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება ესო-  
დენ შეზღუდული და დახშული იყო, და ქართულ მწერ-  
ლობას მხოლოდ კამერული არსებობა შეეძლო, ნიჭიერი  
პოეტები მაინც ახერხებდნენ შემოქმედებით მუშაობას.  
მართალია, გარევნულად ეს შემოქმედება არ არის ფარ-  
თო, ექსტენსიური, სამავიეროდ მძლავრია ვისი შინაგანი  
ხმა, მაღალპოეტურია მისი ძალა.

საყურადღებოა ამ საკითხზე ნიკოლოზ ბარათაშვილის  
აზრი, რომელიც მან ჩვეულებისამებრ თავის ბიძას — გრ.  
ორბელიანს გაუზიარა კერძო წერილში 1841 წელს:

„ლიტერატურა ჩვენი, ღვთით, დღე და ღამე შოუ-  
ლობს ახალთა მოყვარეთა. მრავალნი ყმაწვილნი კაცნი,  
მოცლილნი სამსახურითგან, მყუდროებაში და მარტოე-  
ბაში, შეეწევიან მამულის ენას, რაოდენიცა ძალუძთ. ესე  
საზოგადო სული ბუნებითის ენის ტრაფიალებისა ყმაწ-  
ვილთ კაცი შორის აღმოაჩენს, რომ ქართველთ არა  
სძინავთ განებით“.

## სიცოცხლის დასასრული

**ნ**იკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრების უკანასკნელი ქრონიკა რაღაც საბედისწეროა, აჩქარებულად მსრბოლი ზმანების შთაბეჭდილებას სტოვებს.

აჲ, რა მოულოდნელი იყო მისი სიცოცხლის დასასრული!

გარევნულად ქველაფერი უცბად შეიცვალა, თითქოს დაბინდული გულის მალხინებელმა ვარსკვლავმა გამოიდარა, ნამდვილად კი დარჩა ისევ ის უფერული ცხოვრება, „უსარგებლო გონებისა და გულისათვის“.

1844 წლის ნოემბრის დამდეგს ნახიჩევანის მაზრის უფროსის თანაშემწის ადგილი შესთავაზეს. ასეთი უცაბედი „წარმატება“ მისი მეჯობრის — ლევან მელიქიშვილის დახმარებით უნდა მომხდარიყო... ის ხომ მაზრის უფროსი იყო! ადვილი წარმოსადგენია ის მწუხარება, რომელსაც გამოიწვევდა პოეტში ტფილისის მიტოვება. განა ეს ნამდვილი იძულება არ იყო? რა უნდა ყოფილიყო ნახიჩევანი ტფილისის შემდეგ? აკი დიღხანს არც შერჩენია ამ აღგილს.

პოეტი სწერს თავისი გულის მესაიდუმლეს — მაიკო ორბელიანს: „ჩვენი აქ ცხოვრება, პსწორე გითხრა, ტანჯვისა და უსიამოვნობის მეტი არა არის რა!.. ეს ერთი კაცი გვევანდა პოლქოვნიკი ფორსტენი, ეს წამოვიდა და შენი მტერი, ჩვენ მარტო დავრჩით“.

ინგლისის არმიის მხედარი ფორსტენი პოეტის გუ-

ლის მესაიდუმლე ყოფილა დაკარგულ პროცენტიაში. ამ უკი  
იცის, იქნებ ბაირონის სიყვარულიც ამეგობრებდა ამ უკი  
მთხვევით ნაცნობებს <sup>1)</sup>.

ექვიოდე თვის შემდეგ ლევან მელიქიშვილი დაუბრუნ-  
და ტფილის და სრული მარტოობის შიშით შეღონებუ-  
ლი პოეტიც თან გამოჰყოლია... დიდხანს უსაქმოდ გაჩე-  
რება არ შეეძლო. მაშინვე იმავე თანამდებობას თხოუ-  
ლობს თელავში, მაგრამ მოულოდნელად შეხვედრია გან-  
ჯის მაზრის უფროსს—მამუკა ორბელიანს, რომელსაც  
თავის თანაშემწედ წაუყვანია. ეს შემთხვევა საბედისწე-  
რო აღმოჩნდა პოეტისათვის.

ბარათაშვილის კერძო ბარათებში შენახულია სამი  
უკანასკნელი წერილი მურუტიდან: ერთი ეკუთვნის ჭაი-  
კო ორბელიანს (1845 წ. 10 აგვისტო), ორიც საგინა-  
შვილებს (1845 წ.-23 აგვისტო). სიკვდილის წინ პოეტი  
თავისებურად ხუმრობს, მაგრამ გულშე მარტოობისა და  
მწუხარების ლოდი აღევს. „ტყუილად ვხუმრობო“, დას-  
ძენს პოეტი თავის უკანასკნელ წელილში, „ეკუჩი, ეკუ-  
ტი“, იმეორებს ლერმონტოვის საყვარელ სიტყვებს.

კ. მამაცაშვილი წერს: ბარათაშვილი ავად გახდა გან-  
ჯის ცუდი ციებითო, ი. მეუნარვია კი გვიამბობს: პოე-  
ტი მთაში წასულა ყაჩალების დასაჭერად და იქ გაციებუ-  
ლა. ერთხანს მოჩენილა, მაგრამ ხელახლა გამხდარა ავად,  
რადგან უდროო დროს ერთობ ბევრი ცუდი ლუდი და-  
ულევიაო <sup>2)</sup>. არავინ იცის, როგორ მოხდა ეს. შესახედა-  
ვად ჯანმრთელი კაცი ავადმყოფობის შეტევამ ასე მოუ-  
ლოდნელად წააქცია. ეს მოხდა 1845 წლის 9 ოქტომ-

<sup>1)</sup> გ. ლეონიძე „ნ. ბარათაშვილი—მოხელე“, „სალიტერატურო  
გაზეთი“, 1933, № 12 (38).

<sup>2)</sup> ibid., XXXV.

ბერს. მესამე დღეს პოეტის ცხედარი დაკრძალუს განჯის  
მართლმადილებელთა ეკლესიის გალავანში.

რა მტკიცნეულად განიცდიდნენ პოეტის სიკვდილს ახ-  
ლო მეგობრები, მისი ნიჭის დამფასებლები, ჩანს ლევან  
მელიქიშვილის წერილი ზან, რომელიც მას გრიგოლ ორ-  
ბელიანისათვის გაუგზავნია:

„...Тяжело, мой Григорий, тяжело потерять человека,  
который теплым сердцем и теплою душою  
мирил нас с людьми, с этими созданиями ничтожны-  
ми, слабыми, черными и злобными. Тяжело осиротеть  
душою! и не один я попес эту ужасную потерю,  
Грузия потеряла в нем человека, любящего ее всею  
поэтическою душою и ставившаго эту любовь выше  
всех обязанностей своих; молодого человека с прек-  
расными способностями, от которого ожидала более,  
чем от кого либо из нынешних своих молодых сынов.  
Родители лишились в нем единственной подмоги святой  
старости и всего их семейства, родственники его,  
доброго родственника; грузины одного из лучших сво-  
их соотечественников“.

ნიკოლა ბარათაშვილის პოეტური სახელი გაიზარ-  
და მისი გარდაცვალების შემდეგ. არ შეიძლება არ აღი-  
ნიშნოს აქ ილია ჭავჭავაძის დამსახურება. მას ეკუთვნის  
ბარათაშვილის ხელმეორე აღმოჩენა ქართული მწერლო-  
ბის ისტორიისათვის. გამართლდა დიდი ქართველი მთაბ-  
როვენის სიტყვა:

ვაი ჩვენ, ოვარემ შენ მით მაინც ხარ  
• ბედნიერი,

რომ შენი ლექსი თვით მკვდრეთითაც  
აღგადგენს შენა.

აი რას წერს კოხტა აფხაზი თაგის მოგონებაში: „მახ-

სოვეს ერთხელ პავლოვსკიდან ცარსკოე სელოში წავიდა  
და იქ ვეწვიეთ ქალბ. დადიანისას. ქ. დადიანისამ გამოიტა-  
ნა და მოგვცა წასაკითხავად ბარათაშვილის ლექსები,  
რამდენადაც მახსოვეს, ბარათაშვილის საკუთარი ხელნაწე-  
რი. ეს იყო „ქართლის ბეჭი“ და „მერანი“. ვერ წარ-  
მოიდგენთ, რა შთაბეჭდილება მოახდინეს ამ ლექსებმა  
ილიაზე. თითქმის მთელი ერთი კვირა ყმაწვილი ჰპოდავ-  
და ბარათაშვილით“.

ეს პირველი აღტაცება და სიყვარული ასე აღბეჭდა  
ილიამ თავის ლექსში:

როს წავიკითხე მისი ლექსები  
ვერა რა ვთქვი რა განცვიფრებულმა!  
ვით ქარიშხალით ატეხილ ბუქმა  
ცას განუბნიოს შავი ღრუბლები,  
ისე იდარა ჩემ მწუხარ შუბლმა.

ხალხო ობოლო, შენ მებრალები,  
რომ დაგომბლა მის ციურ შუქმა,  
და განგაშორა მისი ლექსები!..  
როს წავიკითხე მისი ლემსები,  
ამოვიკვნესე დაობლებულმა“.

1892 წელს ილიამ დაბეჭდა ბარათაშვილის პოეზიის კრი-  
ტიკული განხილვა, რომელშიაც მოცემულია ძირითადი  
დებულებები პოეტის შემოქმედებითი სოფლმხედველობის  
სწორი შვერასებისათვის.

„იგი მით იყო უფრო ძლიერი ლირიკაში აღ. ჭივჭა-  
ვაძესა და გრ. ორბელიანზედ, — წერდა ილია, — რომ მისნი  
გულისთქმანი, მისნი გრძნობანი, მისნი ჭირნი და მშუხა-  
რებანი საყოველთაო, საკაცობრიონი არიან, ვიდრე კერ-  
ძონი, ვიდრე მარტო მის საკუთარ გულისანი. მისი კვნე-

სა კაცობრიობის კვნესაა, მისი ჩივილი კაცობრიობის ჩივილია, მისი ვერ მიწვდენა სურვილისა კაცობრიობის ულონობაა“<sup>1)</sup>.

პოეტის გარდაცვალებიდან 47 წლისთავზე—1892 წლის 9 ოქტომბერს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ (თავმჯდომარე: ილია ჭავჭავაძე) დაადგინა: „ეოხოვოს გიორგი ორბელიანს, როგორც მახლობელ ნათესავს განსვენებულისას, ნებართვა მიიღოს გადმოსვენებისა. დაინიშნოს თანაშემწედ თ. ორბელიანისა ბ-ნი ჭყონია და კარიჭაშვილი“.

პოეტის ცხედრის გადმოსვენება მხოლოდ შვიდი თვის შემდეგ მოხერხდა. 1893 წლის 24 აპრილს წერა-კითხვის საზოგადოების წარმომადგენელთა (გ. ორბელიანი, გ. იოსელიანი, ა. ჭყონია) დასწრებით გათხრილ იქნა პოეტის სამარე. აი როგორ აგვიწერს „ივერიის“ კორენსპონდენტი ამ ამბავს:

კუბო თითქმის არ შენახულიყო. სამარეში ესვენა მგოსნის ჩონჩხი, დაუმიწებელი, მაგრამ სახსრებად დაშლილი. აღმოჩნდა სერთუკის ოთხი უანგმოდებული თითბრის ფოლაქი, რომლებიც მაღდის ნაგლეჯებზე ეკიდა. შენახულიყო სახელოს ერთი ნაჭერი, რომელსაც სამოქალაქო უწყების ოქრომკედული არშია ჰქონდა მოვლებული და ზედ ფოლაქი ეკერა. იპოვეს აგრეოვე ცალი ლანჩა, ცალი ქუსლი და ცალი ყელიანი საპირე. მგოსანს ძველებური ქართული სამოგვის წალა უნდა სცმოდა, რადგან შესაკვრელი თასმებიც ზედვე ჰქონდა.

ყველა ნიშანი უტყუარად ამტკიცებდა პოეტის გვამს... კუბო, ტანსაცმელი და ჩონჩხის წვრილი სახსრები სრულიად გახრმილიყო. ამბობდნენ, ამის მიზეზი აკაკის ხე

<sup>1)</sup> „ივერია“, 1891, № 77.

უნდა იყოსო, რომელიც იქვე ყოფილა და გული და რომ-  
ლის ძირზედაც ამჟამად პატარა ყლორტებია ამოხეთქილი  
თურთე ამ ხეს რწყავდნენ და წყალი კუბოს თავზე იწუ-  
რებოდა. ამას მოუსწრაფებია გახრწნა....

საქმაოდ მოზრდილი თავის ქალა დაუშლელი იყო.  
განსვენებული მგოსანი, როგორც ერთმა იქ დამსწრე  
ექიმმა სთვეა, მოსული ვაჟკაცი ყოფილა.

ამოკრიფეს ძვლები და ჩონჩხის გაყოლებით მიწაც  
ამოიღეს. ყოველივე ეს დაკრძალეს კუბოში, მხოლოდ ფო-  
ლაქები დასტოვეს. ზევით, ისინი ალექსანდრე ჭყონიამ  
ჩაიბარა. კუბოს სახურავი დაჭრეს და უვავილებითა და  
და ორი გვირგვინით შეამკეს. ერთი გვირგვინი განჯის  
ქართველმა საზოგადოებამ მიუძღვნა მგოსანს, მეორე —  
განჯის რკინიგზის სადგურის ქართველმა მოხელეებმა.

მეხუთე საათზე პროცესია დაიძრა სადგურისაკენ. კუ-  
ბოს მოასვენებდნენ ჩოხაში გამოწყობილი რკინიგზელები.  
ასე გაიარეს ხუთიოდე ვერსტი სადგურამდე.

ასევე დაწვრილებით აგვიწერს კორესპონდენტი პოე-  
ტის ნეშტის დედაქალაქში ჩამოსვენების გრანდიოზულ  
სურათს:

კვირა დილას, 25 აპრილს დიდძალმა ხალხმა მოიყა-  
რა თავი რკინიგზის ვოკზალზე. მის არე-მარესა და  
მისასვლელ მოედანზე ჭედვა იყო...  $9\frac{1}{2}$  საათზე მოვიდა  
მატარებელი და ვაგონიდან გადმოასვენეს კუბო ძვირფა-  
სის ნეშტით. კუბოს მოჰყვნენ: პოეტის ნათესავნი, ლვიდ-  
ლი ბიძა თ. გ. ი. ორბელიანი და პატივცემულნი ქარ-  
თველნი, რომელნიც გაგზავნილი იყვნენ განჯას. მცირე  
პანაშვიდის გადახდის შემდეგ ნეშტი გამოასვენეს ვოკზ-  
ლიდან სამგლოვიარო „წმინდაო ლმერთოს“ გალობითა.  
აქ ვოკზალთან ზღვა ხალხმა მუხლი მოიდრიკა და პატი-  
ვი სცა დიდებული მგოსნის ცხედარს. შემდეგ პროცესია

დაიძრა და გაემართა ღიღუბისაკენ. ამფიონი შემცული  
იყო ძვირფასი გვირგვინებით, კუბო ხელში ეჭირათ ხან  
ქალებს, ხან ჭაბუკებსა და ნათესავებს. გზად რამდენიმე  
გუნდი გალობდა: ტფილისის დედათა სასწავლებლის  
კურსდასრულებული მოსწავლეებისა, სასულიერო სემინა-  
რიისა და სათავადაზნაურო სკოლის შეგირდებისა და სხ.  
როცა ლიტანია ეკლესიას მიუახლოვდა, ხალხმა კვლავ  
მოიდრიკა მუხლი სახელოვანი ქართველი მგოსნის ცხე-  
დრის წინაშე.

რამდენჯერმე იქნა გადაღებული პროცესიის სურა-  
თო.

ახალი სამარის წინაშე მგზნებარე სიტყვები და ლექ-  
სები წარმოსთქვეს: ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა,  
ნ. ორბელიანისამ, ქუთაისის ქალაქის მოურავმა ლოლუამ,  
ქუთაისის დეპუტატმა დ. ბაქრაძემ, გ. წერეთელმა, ახალ-  
გაზრდა პოეტმა ოვანეს თუმანიანცმა, ბიძინა ჩოლოყა-  
შვილმა და სხვათა.

ილიამ სხვათაშორის სთქვა:

„გარდაცვალების ერთის წლის წინად (მგოსანმა) ეს  
სიტყვები ამოაკვნესა, რომლებიც წინასწარმეტყველებად  
გადაექცა ბოლოს:

ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში,  
ჩემთა წინაპართ საფლავებ შორის,  
ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა,  
ნულა დამეცეს ცრემლი მწუხარის!..  
შავი ყორანი გამითხრის საფლავს  
მდელოთა შორის ტიალის მინდვრის,  
და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა  
ზარით, ღრიალით მიწას მომაყრის!..  
სატრუოს ცრემლის წილ მკვდარსა, ოხერსა,  
დამეცემიან ციურნი ცვარნი,



ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად  
მივალალებენ სვავნი მყიფარნი.

ეს მწვავე წინასწარმეტყველება გაუმართლდა: იგი არ  
დაიმარხა თავის მამულში, მას არ დაედინა ცრემლი თა-  
ვისი ქვეყნის შვილისა. ეს ჯავრი თან ჩაიყოლია ამ ჩვენმა  
განმაღიდებელმა კაცმა, და დღეს ჩვენ, ჩვენდა სასახელოდ,  
მოვასვენეთ აქ მისი მტვერი, მისი ნეშტი, რომ დღესი  
ამას იქით მისმა სამშობლო ცამ თვისი ნამი ცრემლად  
ზედ ადინოს, მისმა სამშობლო მიწამ გული გადაიხსნას  
და მისი მტვერი მიიბაროს, მისდა განსასვენებლად და  
ჩვენდა სალოცავად.

მართალია, ეს მოგვიხდა ორმოც და შვიდს წელიწადს  
შემდეგ, და იქნება სთქვან, გვიან არისო, მაგრამ რა არის  
ორმოც-და-შვიდი წელიწადი უკვდავებისათვის? მხოლოდ  
ერთი წამია. ნიკოლოზ ბარათაშვილი უკვდავია და  
უკვდავისათვის არც რაიმე ქვეუნიერობაზე გვიანია, არც  
რაიმე აღრე“. <sup>1)</sup>

ნიკოლოზ ბარათაშვილი იყო თავისი უკულმართი  
ღროის მკვეთრი ფიგურა. ამ ღროის ტკივილები და სია-  
მენი, წინააღმდეგობანი და უკეთესი იდეალები შესანიშ-  
ნავად ასახულა მის პოეზიაში. რომანტიზმი იყო ეპოქის  
ქროლვა. და ბარათ.აშვილი—მისი სული და გული. მაგ-  
რამ პოეტის ნათესავებმა და მეგობრებმა მისი სიკვდი-  
ლით დაპქარებს აგრეთვე გულისხმიერი აღამიანი, მუდამ-  
უმ ფაქიზი და წრფელი თავის ზნეობრივ მოვალეობათა  
წინაშე.

ნ. ბარათაშვილი ეკუთვნის იმ მცირერიცხოვან ხელო-  
ვანთა გუნდს, რომელნიც რამდენიმე ლექსით შედიან  
კულტურის საუნჯეთა ისტორიაში და იქ მტკიცედ მკვი-

<sup>1)</sup> თხზულებანი, ტ. VI 284—285.

დორდებიან. მის მეტკვიდრეობას შეაღვენს ორმოცდაშუთაში-  
დე ლექსი (ვარიანტებით), ერთი პოემა (ბედი ქართლისა)  
და რამდენიმე კერძო წერილი. ლევან მელიქიშვილის წე-  
რილიდან, რომელიც ნაწილობრივ ზევით მოვიყვანეთ,  
ჩანს, რომ პოეტს დარჩენის საგრძნობი რაოდენობა ორი-  
გინალური და თარგმნილი ნაწარმოებებისა. კ. მამაცაშვი-  
ლი დაწვრილებით მოგვითხრობს პოეტის შემოქმედე-  
ბაზე:

ნიკოლოზ ბარათაშვილმა ადრე დაიწყო ლექსების  
წერა. ზოგიერთი ლექსი დაწერილია მაშინ, როცა ის  
სასწავლებელში იყო. ბევრი ლექსი დაიკარგა, რადგან  
მაშინ არ შეიძლებოდა მათი დაბეჭდვა.

მე მახსოვს მისი დიდი პოემა, რომელიც ჩემთან  
წაუკითხავს — „ივერიელნი“. ამ პოემაში აწერილი იყო  
ჩვენი აყვავებული ცხოვრება X—XII საუკუნეებისა, მას  
უნდოდა გადაეკეთებია ეს ლექსები, რომელიც ისედაც  
მშვენიერი იყო.

ყმაწვილობაში სწერდა ხშირად სიყვარულზე, მიჯნუ-  
რობაზე და ქალებზე. „ასე დაუწყვიათ ყოველივე დიდ  
პოეტებსაც, როცა ყმაწვილები ყოფილანო“, დასძენს  
პოეტის მეგობარი.

1841 წლის 28 მაისს ბარათაშვილი სწერდა გრ. ორ-  
ბელიანს: „ჩვენმა ლიტერატურამ ორი კარგი თარგმანი  
იშოვა: კიბიანმა გაღმოთარგმნა Romeo и Джульєта შექს-  
პირის ტრალედია და მე ვთარგმნე Юлий Тაუენტსკიй,  
ტრალედია ლაიზევიცისა... მე ძალიან მომეწონა და  
ჩვენმა განათლებულმა ქალებმაც, ასე გასინჯე, იტი-  
რეს“.

იოჰან ლაიზევიცი ცნობილი გერმანელი მწერალი იყო,  
„შტურმისა და დრანგის“ პერიოდის წინამორბედი. მისი  
ერთადერთი ხუთმოქმედებიანი ტრაგედიის რუსული თარ-

გმანი დაიბეჭდა 1840 წელს ეურნალში: **Библиотека для чтения.** „იულიუს ტარენტელი“ მრავალმხრით საყურადღებო ნაწარმოებია. ლარზევეცმა ის დასწერა პაზბურგის ნაციონალური თეატრის მიერ გამოცხადებულ კონკურსისათვის და პიესამ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა გოტჰოლდ ეფრაიმ ლესინგზე, რომ მან მის ავტორად გოვთე მიიჩნია. შემაგომ ლესინგმა მისთვის ჩვეული მოკვეთილობით „იულიუსის“ ავტორზე თქვა: „ლაიზევიცმა მხოლოდ ერთი ლეკვი დააგდო, მაგრამ ლეკვი ლომისაო“.

და მართლაც ამ ტრაგედიაში ჩვენ ვხვდებით დიდად და-საფასებელ მხატვრობას და მეტად თამამ აზრებს იმდროის გერმანიის სოციალურ საკითხებზე. ამ ტრაგედიის თარგმნა და ჩვენი საზოგადოების მიერ მოწონება ნათლად ამტკიცებს, რომ ასეთი თამამი იდეები ნ. ბარათაშვილისა და მაშინდელი საზოგადოების ცნობიერებაში შესაფერ ნიადაგს ჰქოვებდნენ. <sup>1)</sup>

\* \* \*

დასასრულ რამდენიმე სიტყვა ნ. ბარათაშვილის პორტრეტზე.

მეგობრები ასე ახასიათებენ მას: მიმზიდველი სახის ტანიდი ადამიანი, ოდნავ პირხმელი, შავთვალა, წაბლის-ფერთმიანი... ჩაცმა ფაქიზი და კოხტა იცოდა. სამსახურში ევროპულად იცვამდა, მანამდე კი, როგორც იმდროის ყველა ახალგაზრდა, ჩოხა-ახალუხში ცყო გამოწყობილი.

მიხეილ ბირთველის ძე თუმანიშვილის არქივში აღმოჩნდა პოეტის პორტრეტის ესკიზი, რომელიც ფანჯრი-

<sup>1)</sup> იხ. ჩემი წერილი: „ბარათაშვილი და ლაიზევიცი“, „მნათობი“, 1938, № 4.



თაა შესრულებული. გ. თუმანიშვილმა განაცხადა: მამა  
ჩემმა საქმაოდ კარგად იცოდა ხატვა და ნაპოვნ ესკიზში,  
ალბათ, დაცულია საერთო მოხაზულობა ბარათაშვილის  
სახისაო. უკანასკნელი გამოკვლევებით დასტურდება, რომ  
ჩვენს საზოგადოებაში ამეამად გავრცელებულ პორტრეტს  
არაფერი აქვს საერთო ნ. ბარათაშვილთან. ამ ყალბი  
პორტრეტის შემქნისა და გავრცელების ინიციატივა  
ეკუთვნის ზაქარია ჭიჭინაძეს, რომელსაც ერთი ქართლე-  
ლი კაცის — ალ. ციციშვილის სურათი „შეუკეთებია“ და  
პოეტის სურათად გაუსაღებია.

ჩვენი აზრით, ეს საქითხი სავსებით გამორკვეულად  
უნდა ჩაითვალის, და გავრცელებული პორტრეტის ად-  
გილი მ. თუმანიშვილის ესკიზის მიხედვით აღდგენილ  
პორტრეტს უნდა დაეთმოს.

## სოცლის ხაშღაზი

ჩვენ ვნახეთ, რომ ბარათაშვილის ცხოვრება არაფრით განირჩევა მისი დროის ჩვეულებრივ ადამიანთა ცხოვრებისაგან. უფრო მეტი: მისი ბიოგრაფიის სურათს ზოგგან ის სალებავებიც კი აკლია, რაც ასე დამახასიათებელი იყო არისტოკრატული ახალგაზრდობისათვის მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში. სწორედ ფრესკების შთაბეჭდილებას სტოვებს ეს სურათი. მისი ნახაზობა და სალებავები გახუნებულა, ალაგ-ალაგ მთლად წაშლილა, მაგრამ სიღიადე და მიმზიდველობა მაინც არ დაუკარგავს.

პოეტის ცხოვრების გარეგანი ქრონიკა ლარიბი და უფერული იყო. ამაოდ შევეცდებოდით მოგვენახა აქ ბაირონის, ლამარტინის ან ალფრედ დე მოუსეს ბიოგრაფიის ელვარება, ფაქტების მძაფრი კონტრასტები, უცაბედი აფრენა ცხოვრების მწვერვალებზე და მოულოდნელი უვსკრულები. დიახ, ასეთი უნდა ყოფილიყო მისი მღელვარე და მოუსვენარი სულის ცხადება. ნამდვილად რა შორსაა ყოველივე ეს სინამდვილისაგან!

მაგრამ რისთვის დაგვჭირდა ეს შორეული პარალელი. განა ბარათაშვილის ცხოვრება ოდნავ მაინც შეედრება მისი პოეტური თანამოაზრების — ალ. ჭავჭავაძის და გრ. ორბელიანის ამქვეყნიურ სიღიადეს და ბრწყინვალებას? სად მათი ბიოგრაფიის მასშტაბი და სად პატარა მოხელის მიუსაფარი ყოფა! შეიძლება მომავალმა ჭადევ არაერთი დეტალი მიუმატოს ბარათაშვილის ბიოგრაფიულ ქარგას,

მაგრამ ეს ვერ შესცვლისაჩვენს წარმოდგენისაუმის პო-  
ტურ და ადამიანურ ბუნებაზე.

აქ უნდა აღინიშნოს ერთი მომენტი. ვინც ჩვენი მგოს-  
ნის ბიოგრაფიულ ფაქტებს დააკვირდება, იმ ღასკვნამდე  
მივა, რომ პოეტის ბავშვობასა და სიჭაბუქეს შორის  
შესამჩნევი განსხვავებაა. მისი ბავშვობის წლები უზრუნ-  
ველად ჰქონია. ის არ განიცდის „საწუთროს ვნებას“,  
მას ჯერ არ შეუცვნია „სოფელი მომღერალი“. კეთილ-  
შობილთა სასწავლებლის პერიოდზე პოეტი თვითონ  
ამბობს: მაშინ ჩემი მომავალი მესახებოდა, როგორც  
წარმტაცი ოცნებათ (будущность моя представлялась  
мне в радужных мечтаниях), მაგრამ მყაცრმა სინაზღვი-  
ლემ მალე დაამსხვრია ულმობელად პოეტის ოცნებანი.  
ის პირისპირ წარუდგა „ცრუ და მუხთალ“ სოფელს,  
რომელშაც სამუდამოდ მოჰკლა მასში „ყმაწვილის ბრძა  
სარწმუნოება“. ის გულნატკენია „კაცთა სიავით და ბე-  
დის ბრუნვით“. მართალია, ჯერ სრულიად ახალგაზრდაა,  
მაგრამ უკვე მოსძულებია ცრუ და მუხთალი სოფელი. ის  
ობოლია და მწირი, „ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სუ-  
ლით მახვრალი“.

არ შეიძლება არ აღანიშნოს პირადი ცხოვრების გავ-  
ლენა პოეტის პესიმისტური სოფლმხედველობის გამომუ-  
შავებაზე, ყოველ შემთხვევაში, მისი სევდიანი სულის-  
კვეთების გამძაფრებაზე. პირადი ცხოვრება არც ისეთი  
პატარა მოვლენაა ადამიანისათვის, რომ შეიძლებოდეს  
მისი უგულებელყოფა. რა თქმა უნდა, სიკოჭლე აქ ყვე-  
ლაზე ნაკლებ სახსენებელია, მაგრამ პოეტისათვის სრუ-  
ლიადაც არ იყო უმნიშვნელო ყველა იმ იმედის და ოც-  
ნების კატასტროფა, რომლებიც მისი ჭაბუკური გატაცე-  
ბის საგანს შეადგენდნენ. როგორც ლექსები, ისე კერძო  
წერილები საქმაო საფუძველს გვაძლევენ ბარათაშვილის

განწყობილებათა გარდატეხაში პირად ფაქტორს თვალ-  
საჩინო როლი მივაკუთვნოთ.

ეს პერიოდი ძალიან აღრე დაიწყო. მისი დაახლოვები ით  
საზღვარი 1832 წელს უნდა გავავლოთ. მთელი შემდგომი  
ცხოვრების განმავლობაში პოეტი უკურნებელი სევდითაა  
დაავადებული. ის გაექცა მასინჯ სინამდვილეს, საკუთარი  
განცდების ოკულში ჩაიკეტა, ფსიქოლოგიური რეფლექსი-  
ების ტყვე გახდა. ამას უველაზე უკეთ მისი ცრუმლდაყ-  
რილი პოეზია ამჟღავნებს. პოეტი განუწყვეტლივ ყურს  
უგდებს თავისი სულის უფაქიზეს ბოძრაობას. იხედება  
მის სილრმეებში და უმდიდრეს შინაგან სამყაროს გვი-  
შლის თვალშინ.

ბარათა შვილის შინაგან და გარეგან ცხოვრებას შო-  
რის დიდი დისპროპორცია. რაღდენადაც ლარიბია და  
უფერული პოეტის ბიოგრაფიული ქარგა, იმდენად ლრმაა,  
მდიდარი და მღელვარე მისი სულიერი სამყარო. ნაწი-  
ლობრივ ამით უნდა აიხსნას უიმედობისა და სევდიანო-  
ბის გრძნობათა გამძალება. რა უნდა იყოს იმაზე უფრო  
მძიმე, როდესაც აღამიანის თვალი მშრალია, გული კი  
მტირალი? ბარათა შვილს ჭერ უპოვია თანამგრძნობი  
აღამიანი, რომ თავისი მწუხარება გაუზიაროს, გულის-  
ტკევილი შეიმსუბუქოს. პოეტი საშინელ მარტოობას გა-  
ნიცდის. კიდევ ერთხელ გავიხსენოთ მაიკო ორბელიანთან  
მიწერილი ბარათის სტრიქონები.. „არ დაიჯერებ, მაი-  
კო! სიცოცხლე მამდულებია ამდენის მარტოობით. შენ  
წარმოიდგინე, მაიკო, სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა,  
რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალნი მო-  
ნათესავენი და მაინც კიდევ ვერ ვის მიჰკარებია, მაინც  
კიდევ ობოლია ამ სავსე და ვრცელს სოფელში!“

ძნელი არის მარტოობა სულისა,  
მას ელტვიან სიამენი სოფლისა...

ფრანგი რომანტიკოსებიდან პოეტმა ალფონს ლაშან-  
ტინმა ერთს თავის ლექსში შესანიშნავად გადაგვიშალა  
მარტოობის მტანჯველი ტკივილი. პოეტს არ ახარებს  
არაფერი. მისი გრძნობები ლიაა ბუნების შუვენიერებათა  
შეგრძნებისათვის, მაგრამ გამოფიტულ გულში აღფრთო-  
ვანების სიმები არ იძვრის. ბარათაშვილიც ლამარტინის  
მსგავსად მარტოობას შეუპყრია, მაგრამ ფრანგი რომან-  
ტიკოსისაგან ჩვენი ოეტი მაინც დიდად განსხვავდება.  
ამამარტინის მარტოობა აბსოლუტურია, უკანასკნელ წვე-  
ამდე უნუგეშოა, სულიერი ცხოვრების სრული სიცალი-  
ერეა და კატასტროფა. არც ადამიანი, არც ბუნება არ  
აღძრავენ მასში არავითარ შინაგან მოძრაობას, სიმშვიდეს  
ან თანაგრძნობას. ბარათაშვილი მარტოობას მხოლოდ  
ადამიანთა წრეში გრძნობს. „კაცთა ხიაგით“ შეწუხებუ-  
ლი პოეტი ბუნების წიაღში უდიდეს შეებას და ნეტარე-  
ბას განიცდის. ბარათაშვილის აზრით, ბუნება ლამაზია  
და კეთილი, ადამიანი კი მუხთალი და ბოროტი.

ქართველი რომანტიკოსებიდან ბუნების სიღიაღის შე-  
გრძნებაში ბარათაშვილს ვერავინ ვერ გაუტოლდება. თა-  
ვისი წინაპრების გაფაქიზებულ ემოციებში, რომლებსაც  
ბუნების მოვლენები ბადებდნენ, მან ფილოსოფიური ში-  
ნაარსი ჩასდო. ბუნება ამაღლდა ადამიანის თვალში, იგი  
პანთეისტური სულით აღიჭურვა.

მრწამს რომ არს ენა რამ საიდუმლო უასაკო-  
თაც და უსულთ შორის  
და უცხოველეს სხვათა ენათა არს მნიშვნელობა  
მათი საუბრის.

ბარათაშვილი ბუნების უდიდესი მოტრფიალე იყო. ის  
თავის საუკეთესო ლექსებში გვეუბნება ბუნება გულდა-  
ხურულ ადამიანთა მესაიდუმლეაო.

ნების ხანის მწერლობაში მოცემულია მთელი ჩვენი  
ლის საშინელი წარსული, სისხლიანი და აუტანელი,  
ედამჟამ ბობოქარი და მოუსვენარი. ამავე დროს ეს  
მწერლობა თვალშინ გვიშლის იმ მხეობას და სიმამაცეს,  
იმ განსაცვიფრებელ სულიერ სტოიციზმს, რომელმაც გაა-  
კლკლდევა ხალხი და გამარჯვებული ატარა საუკუნეთა  
მანძილზე.

ბარათაშვილის დროს ჩვენი ისტორიული ბედა ასევე  
ტკივნეული იყო მთელი ქართველი ხალხისათვის, რო-  
ელსაც ხელახლა გაუცრუვდა იმედები მეფის რუსეთის,  
კოლონიზატორული პოლიტიკის დამკვიდრების გამო.  
მიტომ სწორი იქნება თუ ვიტყვით: ბარათაშვილის წევ-  
დასა და უიმედობაში გამოხმაურება პოვა ქართველი  
ხალხის სულისკვეთებაშ.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ პოეტის  
ემოქმედების მთელი იდეური სამყარო ნაციონალური  
რობლეშით ამოიწურება, ან მისი განცდების სამკვიდრო  
ხოლოდ ნაციონალური სულისკვეთებით განისაზღვრება.  
რაფერი არ შეიძლება იყოს ამაზე უფრო შემცდარი.  
ბარათაშვილის პოეზიაშ ქართული რომანტიზმი ფილო-  
ოფიური შეგნების უმაღლეს საფეხურზე აიყვანა. მისი  
ებრწყინვალესი ლექსები თავს დასტრიალებენ იმ შეულ  
კითხვებს, რომელთა გადაჭრას მრავალ საუკუნეთა მან-  
ძილზე ამაოდ ლამობდნენ კაცობრიობის საუკეთესო მო-  
ზროვნენი და პოეტები.

როგორ მივიდა ბარათაშვილი ამ ფილოსოფიურ იდე-  
ოდ სამკვიდრომდე? სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ  
აციონალური პრობლემა წარმოადგენდა. იმ ენერგიულ  
ამბულსს, რომელმაც პოეტი „ყოფნა-არყოფნის“ საკითხზე  
ააფიქრა. საერთოდ ჰამლეტიზმი, რომელიც მარადება  
წვალებდა პოეტს, გარკვეული გზით უნდა შესულიყო

მის შეგნებაში. რას უნდა ეთამაშა აქ ერთვეარი ტრამ პლინის როლი, თუ არა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების გაუკულმართებას, „ქართლის ბედის“ პრობლემას, რაც ასე ღრმად აშფოთებდა მის მგრძნობიარე სულს?

**საქართველო და ქართველები** — აი ის უდიდესი საკითხი, რომელსაც XIX საუკუნის პირველ ნახევარში ესოდენი გულისტკივილით განიცდი და მთელი ჩვენი ხალხი.

**კონფლიქტი სინამდვილესა და ადამიანს შორის** — აი ის ფილოსოფიური პრობლემა, რომლის სიმაღლეზე ბუნებრივი გზით ავიდა პოეტი იმისათვის, რომ უნივერსალურ ცნებებში განეჭვრიტა თავის დროის ისტორიული საკითხები. აქ ჩვენ საქმე გვაქვს ემპირიული სინამდვილის მიერ მონაცემი ფაქტების ფილოსოფიურ გააზრებასთან. ერთი სიტყვით, პოეტის სოფლმხედველობა ქართულ ნიადაგზე აღმოცენდა და შემუშავდა.

რა პასუხი გასცა მან ამ უდიდეს რომანტიულ კითხვას?

ბარათაშვილი ეკუთვნოდა იმ ბრწყინვალე პოეტების პლეადას, რომელნაც ქედმოუხრელნი იღუპებიან სინამდვილესა და ადამიანს შორის ატეხილ უთანასწორო ბრძოლაში. აი რა მღელვარე სიტყვებით მიმართავდა იგი თავის მერანს:

გაჰსწი, გაფრინდი ჩემო მერანო, გარდამარარე  
ბედის სამძღვარი,  
თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს  
შენი მხედარი!

დაე მოვპკვდე მე უპატრონოდ მისგან ოხერი!  
ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა მოსისხლე მტერი!

\* \* \*

ასეთია ბარათაშვილის შემოქმედების გენეზისი. საქართველოს ისტორიული სინამდვილე და ქართველი ხალხის ტრაგედია, ჩვენი მდიდარი მწერლობის დაუშრე-



ტელი საგანძურები, და ბოლოს — პოეტის პირადი ბეჭრა  
— აი სადაა მოთავსებული მისი შემოქმედების ფესვები.

6. ბარათაშვილის პოეზიის უდიდეს ღირსებას მარტო  
ის თვისებები როდი შეადგენენ, რომელთაც ჩვენი რომან-  
ტიზმი განავითარეს დილოსოფიურად და მსოფლიო ლი-  
ტერატურის სამკუიდროში შეიყვანეს. მისმა პოეზიამ იმავე  
დროს დახურა ქართული რომანტიული ეპოქის შესანიშ-  
ნავი წიგნი და მომავალ თაობებს განახლების იდეა მისცა:

მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან — შვილნი სოფლისა  
უნდა კიდეცა მივსდიოთ მას, გვესმას მშობლისა.

არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ეშსგავსოს,  
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს!

୬ ୯ ୯ ୩ ୦

୩୩

୧. ଶାରୀରାତ୍ମକାଲୀନ ଅଜ୍ଞାର୍ଥ	9
୨. ବ୍ୟାଙ୍ଗିକାଳୀନ ଶିଖିତ ପ୍ରକାଶକାଳ	22
୩. ମାମା ରା ଶିଖିତ	34
୪. ମାର୍ତ୍ତିକାଳା	45
୫. ଶାରୀତ୍ମକାଲୀନ ବ୍ୟାଙ୍ଗିକାଳୀନ	55
୬. ହରମାନର୍ତ୍ତିକାଳୀନ ସାଲାନା	62
୭. ସିଦ୍ଧାଂତକାଳୀନ ରାଜ୍ୟକାଳୀନ	82
୮. ସାମାଜିକାଳୀନ ସାମରଶ୍ଵରାଜ୍ୟ	93



01036300  
302-000005

3